



140 / 9  
1984 / 10

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՅԵՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ



# ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ

10  
1984





# წიგ, წითელპარსკვლავიანთა გპარდიამ!

თავაჩალთა მე-3 საკავშირო  
ზაქრავის მონაწილთა

## მიმართვა

ჩვენი ქვეყნის თავაჩალთა  
განდახისა და ყველა  
თავაჩალისადმი

მეგობრებო!

თემურელთა მე-3 საკავშირო შეკრება უკრაინის მიწაზე გაიმართა, სადაც დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში მამაცურად იბრძოდნენ საბჭოთა მეომრები და გმირულად დაიღუპა მწერალი-მებრძოლი, მწერალი-წინამძღოლი არკადი გაიდარი. შეკრებაზე შევაჯამეთ 5 წლის მანძილზე განეული მუშაობის შედეგები, გადავწყვიტეთ, როგორ ვიმოქმედოთ მომავალში...

თემურელთა საკავშირო გუნდი მრავალმილიონიანი წითელვარსკვლავიანთა გვარდიაა. პიონერის მკერდზე თემურის ვარსკვლავი სამშობლოს ერთგულების ნიშანია.

შეკრების მონაწილენი ჩვენი ქვეყნის თემურელებს მოგინოდებთ, ყოველთვის აქტიური პოზიცია დავიჭიროთ ჩვენს ირგვლივ მომხდარ ამბებში.

აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისათვის მზადებაში, ჩვენს წვლილს შევიტანთ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს სიძლიერის განმტკიცებაში.

მზვერავები, პირველი გზამკვლევეები ვიქნებით ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშზე. ჩვენი ადგილი იქ არის, სადაც მეტი სიძნელეა, სადაც დახმარება სჭირდებათ. გაცხდებით პიონერული მოქმედების ზონის ნამდვილი ბატონ-პატრონნი. გადამწყვეტ ბრძოლას გამოვუცხადებთ მათ, ვინც არღვევს საბჭოთა კანონებს, მორალს, არ უფრთხილდება ხალხის საკუთრებას, ჩაგრავს პატარებს.

განვაგრძობთ გაიდარის ცხოვრების შესწავლას; უფრო მჭიდროდ ვიმეგობრებთ მისი წიგნების გმირებთან,

მათგან ვისწავლით ჩვენი ხასიათის წრთობას, ყოველგვარი სიძნელის გადალახვას. თუ საჭირო იქნება, როგორც ისინი, მუდამ მზად ვიქნებით სიძნელეთა დასაძლევად.

დავეყრდნობით სხვადასხვა თაობის თემურელთა გამოცდილებას, გავალვივებთ მათ ტრადიციებს. დაე თითოეულ სოფელში, თითოეულ ქალაქში, მოქმედებდნენ თემურელთა მებრძოლი გუნდები, რომლებიც მუდამ მზად იქნებიან დღისით თუ ღამით, პირველი დაძახებისთანავე აღმოუჩინონ დახმარება ადამიანებს. ვიმუშავეთ გაბედულად, დამოუკიდებლად, შემოქმედებითად.

წინ, თემურელებო!  
სალუტ, გაიდარ!

1984 წელი. ივლისი.  
უკრაინის სსრ.  
ქ. ჩერკასი.



თემურელთა  
შეკრების  
ისტორიიდან

## საქოზლოს ანთოჟულაჟის ნიჟანი!

თემურელთა შეკრება მგზნებარე საუბარია უკვე გაკეთებულზე, სამომავლო გეგმებზე, მომავალი შეკრებისათვის მზადებაზე.

პირველი შეკრება 1973 წლის ოქტომბერში, არტეკში გაიმართა. მასში 3460 პიონერი მონაწილეობდა. მაშინ შედგა ბევრი საინტერესო დისკუსია, აინთო გაიდარული კოცონი, ჩატარდა კონფერენცია თემაზე „არკადი გაიდარი და 70-იანი წლების გაიდარელები“. შეკრებას თან ახლდა „შრომითი დესანტი“. პიონერები მშენებლებს არტეკის კეთილმოწყობაში მიეხმარნენ; თითოეულმა დელეგატმა დაწერა თხზულება თემაზე: „ის, რაც გაიდარისაგან და მისი წიგნების გმირებისაგან ვისწავლე“.

თემურელთა მეორე საკავშირო შეკრების ალამი 1979 წლის ივლისში უკრაინაში — ჩერკასში, კანევსა და ლეპლიავში აღიმართა. პიონერებმა ლეპლიავში ინახულეს ადგილი, სადაც გაიდარი დაიღუპა; დნეპრის სანაპიროზე აღმართულ მწერლის ძეგლთან მიიტანეს ცოცხალი ყვავილები. კანევში, არკადი გაიდარის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დატოვეს შეგროვილი მასალები. ამ შეკრებაზეც კვლავ იყო „შრომითი დესანტი“, კვლავ შედგა შეხვედრები ომის ვეტერანებთან, მწერლებთან და კომპოზიტორებთან, გაი-

დარის თანამებრძოლებთან; მიიღეს მიმართვა ქვეყნის ყველა თემურელისადმი.

1984 წლის ივლისში კვლავ იმ



არკადი გაიდარის შვილი თემურ გაიდარი შეკრების მონაწილეობდა.

ადგილებში შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული პიონერები, სადაც მეორე საკავშირო შეკრება გაიმართა.

### დელეგატები საპარტეზლოდან

თემურელთა მესამე საკავშირო შეკრებაში 600-მდე პიონერი მონაწილეობდა. მათ შორის საქართველოდან იყვნენ: თბილისის 126-ე სკოლელი ხათუნა ხავთასი, ქუთაისის მე-3 სკოლის მოსწავლე ზაზა ცუცხვაშვილი, ქობულეთის 1-ლი სკოლიდან ირმა ნემსაძე, ოჩამჩირელი თემურ კორტავა, გარდაბნის

რაიონის სართიჭალის მე-2 სკოლის მოსწავლეები გოჩა ლომიძე და ილია გენგაშვილი, ლანჩხუთის 1-ლი სკოლის მოსწავლე ირმა სამსონაძე, ცხინვალელი ალან ცხოვრებოვი, რუსთავის 21-ე სკოლის მოსწავლე ზურაბ ასანიშვილი.

ჩერკასიდან დაბრუნების შემდეგ შევხვდით ირმა ნემსაძეს, ილია გენგაშვილსა და გოჩა ლომიძეს. გავეცანით ხათუნა ხავთასისა და ალან ცხოვრებოვის მიერ შეკრებისათვის მომზადებულ მასალებს, ზაზა ცუცხვაშვილის ჩანაწერებს.

**ხათუნა ხავთასი:** — „ჩვენ თემურელთა მოდემისანი ვართ!“ — ასე ერქვა ჩემს ნაშრომს, რომელიც შეკრებაზე ჩავიტანე; ოპერაცია „წიგნად შეკრული სხივები“ თემურელთა მე-2 საკავშირო შეკრებამ გვიკარნახა. საქართველოს პიონერებმა იციან, რომ „წიგნად შეკრულ სხივებში“ ჩვენი რესპუბლიკის გმირული, რომანტიკული ცხოვრების მაგალითების ფონზე ის სასიკეთო ცვლილებები წარმოჩინდება, რაც დადგრილი სისხლისა და გმირული თავდადების შედეგად მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში. თითოეული პიონერი, რგოლი, რაზმი და რაზმეული ამ მასალას თავისი სახლის, ქუჩის, სოფლის, რაიონის ფარგლებში ეძებს, მოძიებული მასალები დღევანდლობასთან ორგანულ კავშირშია და იქმნება ნაწარმოები „წიგნად შეკრული სხივები“. იგი კოლექტიურად იქმნება და თავისებურად აგრძელებს არკადი გაიდარის მოთხოვნას „უკანასკნელი ღრუბლები“, რომელიც გაგრასთან, მდინარე ფსოუს ვაღმა ნაპირზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაიწერა. ეს ოპერაცია წლების მანძილზე მიმდინარეობს საქართველოს ტელევიზიის საბავშვო პროგრამების მთავარი რედაქციის ხელმძღვანელობით. აქიდან ერთი თავი „ვისი გორისა ხარ?“ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს მიუუძღვნით. ტელეეკრანიდან ვთხოვეთ

საპარტეზლოს ალკ. მკ. ის. და პ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საპარტეზლო ვარაუდი

**პიონერები**

**10 ოქტომბერი 1984**

საქ. კვ. მკ. ის. ბავშვთა განყოფილება

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიზლიოთიქა

დიდი სამუშაო ომის მონაწილეთა შვილიშვილებს მოეწერათ იმ ადამიანებზე, რომლებიც ისინი ამაცობენ, მათგან მივიღეთ წერილები საბჭოთა კავშირის გმირებზე, ომის ვეტერანებზე: პლატონ წიქორიძეზე, გურამ ბასიშვილზე, ანტიპო არნანიძეზე, არსენ გოჯილაშვილზე, ნიკო მოსახლიშვილზე და სხვებზე. მათ შორის ყურადღებით გამოვარჩევთ წითელვარსკვლავიან კონვენტებს, სადაც ნარკვევები დევს სათურით „ჩვენ თემურელთა მოდგმისანი ვართ!“ საკავშირო შეკრებაზე ძალიან საინტერესოდ ეჩვენათ ამ მიმართულებით ჩვენი საქმიანობა და სტენდს — „ჩვენ თემურელთა მოდგმისანი ვართ“ არ სცილდებოდნენ. როცა გვითხრეს, კარგად მოგიფიქრებიათო, გული სიამაყით აგვევსო.

**გოჩა ლომიძე, ილია გენგაშვილი:** — სანამ გავემგზავრებოდით, წინა ორი შეკრების მასალები მოვძებნეთ. ყველაფერი წავიკითხეთ. ჩასვლისას ძალიან მოგვეწონა ჩერკასი. აქ შევხვდით არტეკელ, ჩვენს ორიოლელ მეგობრებსაც. ორიოლში განისვენებს ძველი რევოლუციონერი



**გოჩა ლომიძე**

— ჩვენი თანასოფლელი გიგო მათიაშვილი. დელეგატი ზოია ანუკინა შეკრების მონაწილეებს მოუყვა, როგორ უვლიან ჩვენი თანამემამულის საფლავს. დაგუმეგობრდით ჩიტელ თემურელებს. მოგვეწონა მათი საქმიანობა. თურმე მთელი ქალაქის ქუჩები და სახლები თემურ-

ელთა გუნდებზე აქვთ განაწილებული. ჩვენც გვინდა ჩვენი სოფელი



**ილია გენგაშვილი**

ასე დავანაწილოთ. ერთმანეთს გავეჯიბრებით მშობლიური სოფლისათვის ზრუნვაში.

**ზაზა ცუცუაშვილი:** — ბევრი რამ ვუამბე იქ ვაცნობილ ამხანაგებს ჩვენი ქალაქის თემურელებზე, შემდგომშიც ყოველდღიური საქმიანობით ვუბასუხებთ თემურელთა მე-3 შეკრების მიმართვას ჩვენი ქვეყნის ყველა პიონერისადმი.

**ირმა ნემსაძე:** — ჩერკასში საქართველოს წარმომადგენლებს ყველგან გულთბილად გვხვდებოდნენ. ლებლიავში, რკინიგზის გადაღმა, ტყისპირას, სადაც არკადი გაიდარი მოკლეს, აღებულნი მიწით გატენილი



**ირმა ნემსაძე**

მასრა ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელს გაატანეს. საქართველო-

დან მე: მერგო. მას ქობულეთელ თემურელთა შეკრებაზე, ეჭვგარეშე: ილიაშვილების გაზიარების შედეგად, გობრობის ხეივანში წავიღებთ, გაიდარის სახელზე დარგული ქართული მუხის ფესვებს მივაცურით.

**ალან ცხოვრებოვი:** — გაიდარი დაიღუპა, მაგრამ მისი ხსოვნა არ წაშლილა. პიონერ-თემურელები გაიდარის განაწესს ასრულებენ. სამხრეთ ოსეთში თემურელთა კლუბი „არგონავტები“ პიონერთა საოლქო სახლთან მოქმედებს. იგი საძიებო მუშაობას წარმართავს. მოვძებნეთ ჩვენი ოლქის პირველი თემურელი ვოლნინ ცხოვრებაშვილი. ხშირად ვაკითხავთ „არგონავტების“ საპატიო წევრს, ყოფილ ფრონტელს კაუტრბეკ გაბარაევს.

### **ჩერკასელთა გამოცდილებიდან**

დელეგატების უბის წიგნაკები სავსეა ჩანაწერებით. მათ შორის ყურადღება მიიქცია ფურცლებმა, სადაც ეწერა: „ჩერკასელთა გამოცდილებიდან“. გავაცნობთ ამ ჩანაწერს:

... ქ. უმანში გაიდარელთა პოლკი 1975 წელს შეიქმნა. იგი სკოლების თემურელთა საგულშემაჯგობრებლად აერთიანებს. აქ ნამდვილი ზეიმია „გაიდარელთა კვირეული“; იგი ნოემბერსა და იანვარში ტარდება. საგულშემაჯგობრებლად თემურ გაიდართან 1978 წლიდან მეგობრობენ. თემურელთა მოპოვებულ მასალებს კანფერში გაიდარის ბიბლიოთეკა-მუზეუმს უგზავნიან. თემურელთა შტაბს აქვს ალბომი-მატიანი: „ლაპარაკობენ თემურელთა ვარსკვლავები“.

კორსუნ-შევჩენკოს რაიონში თემურელთა 6 გუნდი მუშაობს. თითოეულს თავისი სახელი, დევიზი და პაროლი აქვს. თემურელთა საქალაქო შტაბს მერვეკლასელი ვლადიმერ დოროშენკო ხელმძღვანელობს. შტაბის ბრძანებას ხელს აწერს არკადი გაიდარის შვილი თემური. შტაბმა 1983-84 წლებში 13 ბრძანება გამოსცა. ჩაატარა ამდენივე ოპერაცია: „თემურელთა დესანტი“, „წყარო“, „ფოთოლცენა“, „თოვლი“, „სწორება კომუნისტებზე“, „ფრონტ-“

სანი მეგობარი“, „მწვანე აფთიაქი“, „გამარჯვების პარკი“, „ძიება“, „სსოვნის კვირეული“ და სხვა. თემურელთა მუშაობის შემოწმება ყოველ წელს, თემურის დაბადების დღეს ხდება.

სმელიანსკელი თემურელები მეგობრობენ ვ. ლატკოსთან, რომელმაც დიდი სამამულო ომის დროს 198 ბავშვი გადაარჩინა; მათ ეხმარება ნ. კარცუნენკო, კიევში პირველ თემურელთა გუნდის მეთაური. მას ჰქონდა ბედნიერება არკადი გაიდარს შეხვედროდა კიევში, როცა ამ ქალაქში ფრონტის ხაზი გადიოდა. ვეტერანი თემურელი ხშირად გამოდის პიონერების წინაშე მოგონებებით.

### ეს გაიდარზე იტყვა

თემურელთა მე-3 საკავშირო შეკრების დელეგატებმა საინტერესო ბროშურა — „მესაყვირე“ გვიჩვენეს, რომელიც მათ ჩერკასში გადასცეს. აქ გაიდარზე ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებია დაბეჭდილი. ეს დაინტერესება არც არის გასაკვირი. უკანასკნელი 40 წლის მანძილზე პიონერთა ორგანიზაციის რიგებში გავლილი რომელი თაობის კომუნისტსა თუ კომკავშირელს არ უნდა ჰკითხო, ბავშვობაში წაკითხული წიგნების ავტორთაგან ვინ იყო შენი ერთ-ერთი კარგი მეგობარი მწერალი, ყველა არკადი გაიდარს დაგისახელებს.

გარბის წლები, ადამიანის სულში კი ყმაწვილობის დროს წაკითხული ამ მწერლის თხზულებათა კვალი არ ქრება. ეს არა მარტო მისი საინტერესო წიგნებია, არამედ მისი ცხოვრებისეული პოზიციაც, რომელიც ასე ნათლად განსაზღვრა მწერალმა თავის ნაწარმოებებში. გაიდარის მოთხრობის გმირის — თემურის სახელით დღეს ჩვენს ქვეყანაში ათასობით ბავშვი მოქმედებს, ბაძავს მას კეთილ საქმეში. გაგაცნობთ „მესაყვირეში“ დაბეჭდილ ნათქვამებს, რომლებიც ირმამ, ილიამ და გოჩამ გამსაკუთრებით გამოარჩიეს.

საბჭოთა კავშირის გმირი, მფრი-

ნავი-კოსმონავტი გერმანე ტიტოვი: — „მიმაჩნია, რომ გაიდარის შემოქმედებაში ყველაზე ძვირფასი მოქალაქეობრიობაა!“

ლენინური პრემიის ლაურეატი, მწერალი ნიკოლოზ ტიხონოვი: „...მან ბევრი კარგი რამ დანერგა, პატარა მკითხველს ბევრი კარგი და ღრმა გრძნობა აღუძრა... ნორჩებს თავისი ნაწარმოებებით მოუწოდებს, რომ მთავარია მეგობრობა, ურთიერთბატისციცემა, ლენინის, სამშობლოს, ჩვენი პარტიის სიყვარული. ის ხომ ისე მოქმედებდა და ცხოვრობდა, როგორც წერდა.“

სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბორის ჩირკოვი: „...მისი წიგნების კითხვისას მას ისე მიეგვაქვე, როგორც პატიოსან, სუფთა და კეთილ ადამიანს, ისეთს, როგორც თვით მას სურდა ენახა თავისი თანამედროვენი“.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი სერგეი ბარუშინი: „30-იან წლებში კარგად ვიცნობდი გაიდარს, ხშირად მოდიოდა მოსკოვის საქალაქო პიონერთა სახლის ლიტერატურულ სტუდიაში, სადაც მეც დავდიოდი. ასე რომ, „ცისფერი ფინჯანის“ და „მედოლის ბედის“ რამდენიმე თავი ჩვენ პირველი წყაროებიდან ვვაქვს მოსმენილი — თვითონ გვიკითხავდა. ჩემთვის გაიდარის შემოქმედება იყო და დარჩება ბავშვებისათვის საბჭოთა ლიტერატურის შექმნის, საუკეთესო ხასიათების შექმნის განუმეორებელ ნიმუშად. იმ წლებში გაიდარისაგან ბევრი რამ ვისწავლე“.

ლენინური კომკავშირისა და რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი მარია პრილეჟაევა: — „გაიდარზე მეკითხებო? — იგი ძალიან ნიჭიერი, კეთილი და დიდი პატრიოტი იყო“.

### თემურ გაიდარის რჩევა

ჩვენი ქვეყნის ყველა პიონერისადმი შეკრების მიმართვასთან ერთად თითოეულ დელეგატს თან გაჰყვება საკავშირო ჟურნალ „პიონერთან“

შექმნილ თემურელთა საკავშირო შტაბის წევრის თემურელების რჩევა: „წინ დიდი მუშაობის გზით, ისეთი, როგორც ის გაიდარმა ჩაიფიქრა; თემურელები ჩვეულებრივი საბჭოთა ბავშვები არიან, ისინი არ ელოდებიან კარნახს, ბრძანებებს, გული კეთილი საქმისკენ მიუწევთ, ყველა საქმეში უფროსების გვერდით დგანან.“

ერთ-ერთ თქვენს მუდმივ საზრუნავს დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე ზრუნვა წარმოადგენს, ზრუნვა იმათზე, რომლებმაც სამშობლოსა და ხალხის წინაშე მამაცურად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

ვეტერანი ჩვენს გვერდით ცხოვრობს. საჭიროა მოძებნოთ იგი და დაეხმაროთ, გახდეთ მისი მეგობარი; ეს დიდი საპატიო ამოცანაა, რაც კეთილ გულსა და ყურადღებიან თვალს მოითხოვს.

და კიდევ ერთი; საჭიროა გულდასმით მოგუსმინოთ ვეტერანებს; მათი საბრძოლო გამოცდილება, დიდი ცხოვრება მისაწვდომი უნდა გახდეს თითოეული ჩვენგანისათვის. ჩაიწერეთ მათი მოგონებები, შემდეგ ერთად შეკრიბეთ. საინტერესოა და საჭიროც ამ ამოცანის შესრულება.

გისურვებთ მუშაობაში წარმატებას, ძლიერ, კარგ მეგობრობას; როცა გვერდით საიმედო ამხანაგი გეგულვის, როცა არის ძლიერი მეგობრობა, შეიძლება ყველაზე ძნელი ამოცანა წარმატებით გადაწყვიტოთ.

ქართველი თემურელები თემურის სიტყვის ერთგულნი რჩებიან; მათ იციან, რომ მკერდზე გაიდარის თემურის ვარსკვლავი სამშობლოს ერთგულების ნიშანია!

### ნათელა ფაილოვა



არაკალი გაიდარის მასრა

ვ. სანაიას ფოტო

# კვამლე მთაში

ალექსანდრა ლორია

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— ჰო-ო! — სევდიანად ამოიხვნეშა ცხენიანმა კაცმა. მთებს გახედა. მცირე ხანს მდუმარედ უყურა მათ და კვლავ გააგრძელა სევდიანი ხმით: — ცოტათი დაგიგვიანიათ, შვილებო!... — ცა შეათვალიერა, მზეს გაუჭვრიტა მოჭუტული თვალით, — ისე იკბინება, დარიც შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ, მგონი, კი მოასწრებთ. არ გავიცუდდებთ საკვები. — მერე ისევ ჩაფიქრდა და თავის ქნევით დაუმატა:

— ასეა, ასე, აჩქარებული კაცის საქმე... თივა აქედან ჩაგაქვთ ბარში... აზირ, არ ჯობდა აქვე გამოგვეყენებინა?... აიყარა ამოდენა სოფელი...

— ამბობენ, ისევ უკან უნდა დააბრუნონო, — იმედიანი ხმით გამოელაპარაკა უცნობს ბესო, — მთავრობას გადაუწყვეტია... დადგენილება პარტიის. ყველაფრამდე შეუწყვეთ ხელი ხალხს, ნასოფლარები გააცოცხლონო.

— ეგ მეც გავიგე, შვილო, მაგრამ... — იჭვნეულად ამოიხვნეშა კაცმა. — იცოცხლე, კარგი ეგ იყოს... — ჩაფიქრდა, თითქოს ვერ ბედავს სათქმელსო, ისე დაუმატა: — ეხ, გაწყვეტილის გამთელება აღარ შეიძლება... მართალია, ამოვლენ უკან კაცები, მაგრამ ის კი აღარ იქნება, რაც იყო... უწინ თუ არ ეძნელებოდათ აქ ცხოვრება, ახლა გაუჭირდებათ, თუ ის არ ექნათ, რაც ბარად ნახეს.

— ჰოდა, ისიც ექნებათ სწორედ, — რინით დაუმატა გიგოლამ.

— ეჰ, — ეჭვს ველარ ფარავდა უცნობი, — ის სიკეთე აქ როდის ამოაღწევს... გაჭირდება... ჰოდა, აქედან თუ მეორედ გაიქცა კაცი, მერე უკვე ველარაფერი ველარ მოაბრუნებს.

— ნუ გეშინია, ძია-კაცო!.. ყველა ამბობს, ისევ გაცოცხლდება ჩვენი მთაო, და შენ რაღა ეჭვი შეგაპარვია? — მეგობრულად გადასძახა ცხენიან კაცს გიგომ და დაუმატა: — შენ ეგ მითხარი, ამ სიშორეზე რამ ამოიგიჟვანა, კაცო? ნაღდად, აქაური ხარ და მოგენატრა შენი ნაკომლარი... რა, ჯიგარი მოგეწვა, არა?... ეგრე ნამდვილა!

— ასეც არის და არც არის, — საქმიანად დაიწყო უცნობმა. — აქაური ვარ, მართალია, მაგრამ დანა-

ტრულებით არ ამოვსულვარ. მაგისათვის ვისა სცალია... ძროხა მყავს ერთი შეჩვენებული. სამი დღეა სახლში არ მოსულა, ყველაფერი გადავბრუნე და ვერაფერი ვიპოვე. ახლა ავდექი და აქეთ წამოვედი, ძველ ბაგას ხომ არ მოაკითხა-მეთქი... ერთ-ორჯერ გამიკეთა ეგრე.

— წითელი ძროხაა, ხომ? — აღტაცებით შესძახეს ბესომ და გიგომ.

— ჰო. ნახეთ განა?

— როგორ არა, ეზომია... შემოგვბღავლა... ხალხს ეძებს... ჯიქანი დატეტკილი აქვს... ცოდოა... — ერთმანეთს არ აცლიდნენ მძლოლი და ბიჭი.

— აგაშენოთ ღმერთმა, კაი მახარობლები ხართ! — მხიარულად თქვა კაცმა და წასვლას დაეშურა.

— აგე, ხომ ხედავ, ძიავე, — ხალისიანად დაადევნა მას გიგოლამ, — საქონელი ბრუნდება და ადამიანი არ დაბრუნდება?

კაცმა მშვიდობა უსურვა მათ და თავისი ნაფუძარი-საკენ გასწია. ერთი კი გამოხედა შემხვდურთ, როცა იმათი მანქანა გრუხუნით შეუყვავა ახალ აღმართს ქარბოსელსაკენ.

გზა უფრო და უფრო ძნელდებოდა. უკვე მოხრეშელიც კი აღარ იყო. აქა-იქ მთლად შეევიწროებინა მთიდან ჩამოსული მიწას და ჩამოღვარულ ლამს.

ნახევარი საათის შემდეგ კვლავ გადაეშალათ თვალწინ კიდევ ერთი მიტოვებული სოფელი, მაგრამ უფრო პატარა და ბეჩავი. იმ გზიდან, რომელზედაც მანქანა მიდიოდა, სოფელი კარგა მანძილით იყო განზე გამდგარი. ეტყობა, ერთ დროს შარავზის ერთი ტოტი მარჯვნივ მიემართებოდა ამ დასახლებული უბნისაკენ, მაგრამ იგი უკვე თითქმის სავსებით წაშლილიყო.

მანქანამ პატარა გორაკს შემოუარა და ახლა მალედიდან მოექცა ნასოფლარს. ბიჭმა მუდარის თვალით ახედა მძლოლს და ცოტა ხნით შეჩერება სთხოვა. გიგოლას თავადაც ძალიან აინტერესებდა აქაურობის შეთვალეირება და უარი არ უთქვამს, ოღონდ კაბინიდან არ გამოსულა, საფეხურზე ფეხებ-ჩამოწყობილი გადაწყურებდა ნასახლარებს.

ბიჭი ჩამოსტა. მანქანის წინ დადგა, დოინჯი შემოიყარა და ყურადღებით შეათვალიერა იქაურობა. დიდხანს იდგა. ბოლოს ამოიოხრა, უსიტყვოდ შემობრუნდა და თავისი ადგილი დაიჭირა.

— ეს ცნობილი ბორცოა, უკანასკნელი სოფელი მთაში, — თქვა მან, როცა მანქანა დაიძრა. — აქ ვიზრდებოდი, ვიდრე სკოლაში წამიყვანდნენ. მერე მე წავედი და ჩვენებიც აღარ დამდგარან დიდხანს.

გიგოლამ გაოცებით გამოხედა თავის პატარა თანამგზავრს.

— აკი არ გამიკვირდა, საიდან იცის აქაურობა ასე კარგად-მეთქი?! თურმე აქაური ყოფილხარ!

— აქაური! — დანანებით ჩააქნია თავი ბიჭმა. — ბარში რომ ჩამიყვანეს, ცუდად გავხდი, ძლივს გადამარჩინეს ექიმებმა. მართალია, არც ჩვენი ახლანდელი სოფე-

ლია დაბლა და ჰაერიც კარგი აქვს, მაგრამ რა შედარებაა. აქ სულ სხვაა!.. მე ყოველ წელს ზაფხულობით სადღაც-სადღაც მთაში მაგზავნიან ინტერნატიდან, მოგინდებო, და აქ კი გამოკეტილი სახლ-კარი მაქვს.

რაც უფრო მაღლა მიდიოდნენ, უფრო და უფრო მუნჯდებოდნენ. ალპური ზონის სიდიადე და ბუმბერაზობა გამაბრუებლად მოქმედებდა. ყურებში გაურკვეველი შხუილი ედგათ. უკვე საკმაოდ გრილოდა.

მზე ოდნავ გადაიხარა თუ არა, დასავლურმა ცივმა ნიავმა დაუბერა.

მაღე უღელტეხილს მიადგნენ და ისიც რომ „გადალუნეს“, უკვე ჩრდილოეთის ბორიომ დაჰკრა და ცაზე შავარშია ფთილა ღრუბლები წამოიშალნენ.

— საიდან გაჩნდნენ ეს ოხრები? — უგემურად ახედა ცას გიგომ და უკმაყოფილოდ მოწურა ტუჩები, — საქმე არ გავიფუჭონ. აქ რომ მოწვიმოს, ამ მიწაყრილზე, ისე გავიჭედებით, ბიჯს ვერ დავძრავთ.

— მგონი არ უნდა იწვიმოს, — უფრო თავისი იმედი გამოხატა ბესომ, ვიდრე რაიმე დაკვირვებით მიღებული დასკვნა. ასეთ საქმეში მას არაფერი გაეგებოდა და არც ცას ეტყობოდა მაინცადამაინც, რომ გაწვიმებას აპირებდა.

მანქანა ახლა თავქვე მიდიოდა და უფრო ჩქარაც მიგორავდა.

მაღე პატარა ღელეს მიადგნენ. წყალი ბროლის გამჭვირვალობითა და სიკასკასით მიანკარობდა.

მანქანამ სასიამოვნო შხრიალით გადაიარა წყალი და სწორ მდელოზე გავიდა. აქ გზა საერთოდ აღარ იყო, ოღონდ ნათლად ეტყობოდა ბალახზე ადრე გავლილი მანქანების საბურავების კვალი, და გიგოც იმას მიჰყვა. თანაც ბესოს შემოხედა დასტურისათვის, სწორად მივალ თუ არაო. ბესომ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, ეგაა სწორედ ქარბოსელას ქედო.

— რაცაა, კარგი რამ კი ყოფილა და... — გიგომ უსასრულო მინდვრებს გადახედა, რომლებსაც ბარის მინდვრებთან შედარებით უკვე კარგა მაგრად შეპარვოდათ ზამთრისპირული იერი. — ისე, კაცმა რომ თქვას, მართლა ქარბოსელა კია, აი!... ხედავ, როგორ უბერავს?... თითქოს ვიღაც ზღაპრული ბუმბერაზი ქმინავსო.

— მაღე უნდა მოვრჩეთ საქმეს! ბრეზენტი ხომ წამოიღე?

— ბრეზენტი და თოკები ჩემი მაქვს, ნამორი და წყვილი ფიწალი მეურნეობაში მომცეს.

— ახლო მიაყენე ბუჩოებთან... ისე გვიდგას, მანქანა იოლად მიადგება... მე მოგაწოდებ ნავარებს და შენ...

— შენ რისი შემძლე ხარ?.. — ღიმილით გადახედა ბიჭს მძლოლმა. — შენ ზევით ადი, მანქანაზე. მე ძარაში გადმოვუძახებ, შენ კი მიასწორ-მოასწორე და მოჯექე.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ კიდევ გამორჩნდა ოდნავ დაქანებული ტრიალი მინდორი მაღალ-მაღალი ზვინებით. უკვე ისე მომძლავრებულიყო ბორიო, რომ ბულულები საკმაოზე მეტად ირხეოდნენ. წვეროკინები ისე

უქანავებდათ, თითქოს მოსულთ სიხარულით ეგებებინათ და სალამს უძღვნიანო.

გიგო პირველსავე ბრჯგას მიადგა, მოხერხებულად მიატრიალ-მოატრიალა მანქანა, ხელსაყრელი მდებარეობა შეარჩია და სწრაფად გადმოხტა კაბინიდან. ბესო ძარაზე ავარდა. ძლივს გადმოაგდო დახვეული ბრეზენტი და სამიოდე გაუთლელი ხის ბიგი მანქანაზე თივის გასაბოკავად. გადმოისროლა ქვევით თოკები და ფიწალი და საქმეს შეუდგნენ.

ერთიმეორეზე აცვიოდა ბესოს თივის დიდ-დიდ ნართები. ძლივს ასწრებდა მათ გასწორებას და დაჯეკნას. გიგოლა დევივით ბრდღვინავდა, წელს ზევით გაშვივებული ისე მძლავრად იქნევდა მკლავებს, გეგონებოდა, ამისაგან არის ეს ქარი ატეხილიო. ხვითქი წურწურით ჩამოსდიოდა, თმები აშლოდა და ოფლისაგან დასველებოდა. ერთ ზვინს რომ მორჩებოდა, სწრაფად შენტებოდა მანქანაში და მეორე ზვინთან გადაიყვანდა. ხანაც კიდევ ძარაზე ავარდებოდა ბიჭის მისაშველებლად.

ნახევარი არც კი ჰქონდათ დატვირთული, რომ ცა სულ მოიღუშა. ისე ჩამოხნელდა, სიკეთის მომასწავებელი არ იყო. მართალია, ქარი ჩადგა, მაგრამ, ეტყობა, წვიმას დაუთმო ასპარეზი და წუთი წუთზე მაგარი თავსმა იყო მოსალოდნელი. მანქანა კი ჯერ მხოლოდ ძარის პირამდე იყო შევსებული. ორი თუ სამი ამდენი კიდევ უნდა დაეტვირთათ.

გიგომ შიშნარევი მზერით ახედა თივაზე შემომდგარ ბიჭს:

— რა ვქნათ, კაცო?.. ხომ ხედავ, რა მოდის? — სქელ, ჩაქუფრულ ღრუბლებზე ანიშნა. — ახლავე თუ არ გავუტყით აქედან, ამაღამ დარჩენა მოგვიწევს... და, ვინ იცის, რამდენი ხნით.

ბესომ სიმწრით განხედა ავის მომასწავებელ ღრუბლებს, მერე მზერა გიგოზე გადაიტანა, რომელიც უკვე მაისურს იცვამდა და წასასვლელად ემზადებოდა.

— არა!.. — უმისამართოდ, ბრაზითა და ბოლმით დაიძახა ბესომ. — არა!.. აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ მთლიანად არ დავუდებთ თივას.

გიგო თვალდაჭყეტიტ შეაჩერდა.

— გადაირიე?! იცი, მთაში დარჩენა რა არის?

— ეგ შენ არ იცი, რა არის.

— ჰოდა, თუ იცი, ჩამოდი ახლავე და წავიდე!

— არა!

— შენ ჭკუაზე ხარ?

— არ წამოვალ-მეთქი!

— ჩამოდი ახლავე, თორემ, თუ ამოვედი, ცოცხალი ვერ გადამირჩები! — უკვე მართლა გაცეცხლდა გიგოლა. თვალებს ავად აკვესებდა.

მაგრამ არც ბიჭი ჩანდა ჯაბანი.

— ამოსვლა არ დაგჭირდება, მე თავად ჩამოვალ, — თქვა და პირდაპირ გადმოხტა ძარიდან. წინ დაუდგა ახმას მძლოლს და დაურიდებლად მიახალა: — ჰო, მიდი!.. მიჩვეული გაქვს ხელები!.. მიდი!.. მცემე!.. მაგრამ,



შიშველი, გაოფლიანებული, გამხდარი, გაფითოებული და რამოდენა ძალას იქაღის!.. ხედავ? გიგოს ისიც კი აკვირვებს, რაც ამ ბიჭმა უკვე შეძლო და გააკეთა; ამდენსაც არ მოელოდა მისგან და ახლა უყურე ამას, რას სჩადის? ვითომც არაფერი, ისევ სამუშაოდ მიიწევს. ნეტავ რა აძლევს ამ კნაწას ამდენ ძალას?!

თვალი აარიდა. რაღაც მოიაზრა. ეშმაკურად ჩაილაპარაკა, ვითომდაც ვისმე სხვას ეუბნებო:

— რა გაეწყობა. არ მოდის და ნუ მოდის... მე აქ ვერ დავრჩები, — და მანქანაში ჩაჯდა. ერთხელ კიდევ გამოსძახა, თუ მოდინარო, და პასუხი რომ ვერ მიიღო, აათუსთუსა ძრავა და დაიძრა. თანაც გვერდითა სარკეს არ აცილებდა თვალს, რომელშიც კარგად ჩანდა თავჩაქინდრული, მკლავებჩამოყრილი ბიჭი. ნელა მიდიოდა, იქნებ შეშინდეს და გამოიქცესო... და მართლაც... აუხდა გუმანი: კარგა მანძილით რომ დაშორდა, ბესო მოსწყდა ადგილს და გამოუდგა მანქანას.

— ეი, ეი!.. გააჩერე!.. მოიცა!..

გიგომ დაამუხრუჭა მანქანა. ბესო მიიჭრა მასთან. არც საყვედური, არც შიში, არც გაბრაზება არ იგრძნობოდა მის გამომეტყველებაში. პირიქით, თითქოს შემ-

რიგებლურადაც კი ასძახა ზევით, კაბინაში, მძღოლს:

— რას შვრები, ადამიანო, ტანსაცმელს არ მიტოვებ?.. გადმომიყარე.

გიგოლამ ლამის თმებში იტაცა ხელი.

— შენ მართლა გადარეული ხარ, ვინცა ხარ!.. — გადმოსტა მანქანიდან და გაცეცხლებული ჩქარი ნაბიჯებით მოჰყვა ბოლთის ცემას. — შენ არა ხარ შენს ჭკუაზე... მარტოდმარტო აპირებ დარჩენას?..

— მე არა მიშავს რა!.. — სერიოზულად, დინჯად დაიწყო ბიჭმა, — ოღონდ ეს ნამორები და ბრეზენტი დამიტოვე. ერთად შევაქურებ ბულულებს, შევკრავ, გადა-



იცოდე, აქედან მხოლოდ მკვდარს თუ წამიღებ! მე ცოცხალი თავით არ გამოგყვები!

გიგო დაიბნა. უყურებს ამ ბიჭს და უკვირს. ღმერთო ჩემო, ამას ვის გადავეყარე, ეს რა ყოფილა!.. წარმოგიდგენიათ?.. დგას მის წინ ერთი ციდა კაცუნა, ნახევრად



ვაფარებ და მეც შიგ შევეძვრები, არ შემცივა. გადაი-  
ლებს ე ტიალი, სულ ხომ არ იწვიმებს? ასე უცაბედად  
მოსული წვიმა უცებვე წავა. ჰოდა, რო გაშრება, ამო-  
მაკითხოს ვინმემ და მეორე რეისით გავიტანთ ყველას.

— ვა-აჰ!.. — შუბლში იტკიცა ხელი გიგომ. — დამ-  
ცინი კიდევ, ხომ?.. შენ მე ნამდვილად ცოდვაში ჩამა-  
კრევიანებ ფეხს... — მიიხედა-მოიხედა უმწეოდ და, თით-  
ქოს ვისმეს უხილავს ელაპარაკებაო, ისე დაუმატა: —  
რა უნდა ვუყო ახლა მე ამას, ა?.. — გამწარებული დაჯ-  
და მიწაზე და სიმწრით განზე გააფურთხა.

ბესო თავს წაადგა. წყნარად შეაპარა:  
— მაგდენ ლაპარაკსა, ბარემაც დაგვეტვირთნა, ჰა?..  
აქამდის რამდენად წინ წავიგდებდით საქმეს.

გიგო გიჟივით წამოვარდა. რაღაც არაადამიანურ  
ხმაზე დაიღრიალა! ბესო განზე გახტა შეშინებული.  
თავში არ დამცეს რამეო. ის კი აქეთ-იქით გავარდა-  
გამოვარდა, მერე შეხტა კაბინაში, ლანძღვა-გინებით  
დაქოქა სატვირთო და ერთ-ერთ ზვინს მიაყენა დასა-  
ტვირთავად.

ბესო უთქმელად შეხტა ძარაზე და ის იყო გიგოსა-  
გან პირველი ფთილა მიიღო, რომ გაიეღვა, რასაც სა-  
ზარელი გრუსუნი მოჰყვა.

— აჰა, ხომ ხედავ?.. ჩავიხოცოთ უნდა არა ამ საოხ-  
რე ძროხების საჭმელისათვის?.. გახმეს მაგათი თავი!  
რა ეშმაკად მინდა მაგათი რძე, ბაღლობიდანვე მეჯავ-  
რებოდა და ახლაც მეზიზღება, — ისევ გაგესლიანდა  
გესლო.

— ყველი ხომ გიყვარს?.. ხაშლამა?.. — სცადა გაესა-  
ლისებინა პარტნიორი ბესომ. მაგრამ იმან ღრენით  
ამოხედა ქვემოდან, და გაჩუმდა. იმოღენა კონა ამოაგდო  
ერთი ხელის მოქნევით, ნახევარი ზვინის ტოლა იქნე-  
ბოდა.

ისევ გაიეღვა. კვლავ დაიგრგვინა. სადღაც გამაყრუ-  
ებელი ლაწანით დაეცა მეხი და მსხვილი წვეთებიც წა-  
მოვიდა ციდან.

უკანასკნელ ზვინს რომ ტვირთავდნენ, უკვე მაგრად  
უშენდა. მანქანა გადავსებულიყო და კენწეროში მოქ-  
ცეული ბესო ძლივს ახერხებდა მიეღო გიგოსაგან თივის  
ნავარები და გაესწორებინა. გამძვინვარებული გესლო  
უკვე აღარაფერს დასდევდა. გალუმპული ილანძღებოდა,  
იწყევლებოდა, იქოლებოდა, მაგრამ საქმეს თავს არ  
ანებებდა.

— აჰა, ვინდა დავიხოცოთ, არა?.. კარგი, დავიხო-  
ცოთ!.. მოხდეს მოსახდენი! ჯანდაბამდე გზა მქონია  
მენაც, შენაც და იმ ძროხებსაც!.. და იმ გიჟ ვანუასაც,  
აქ რო გამომგზავნა...

როგორც იქნა, მოათავეს დატვირთვა. არაქათი აღარ  
ჰქონდათ. სისველისაგან დამძიმებული ბრეზენტი ძლივს  
აათრიეს ზევით და გაშალეს. ახლა გიგოც აქ ამოძვრა,  
ბიჭთან, თივის გათოკვასა და დაფარებაში მოეხმარა.  
ოსტატურად შეკრა კვანძები, გადაჭიმა ბრეზენტი და  
თოკის ბოლო კიდურს ჯამბაზივით ჩამოჰყვა ქვევით,  
მაგრად მიაბა იქვე კაუჭზე და კაბინაში შერგო თავი.

ბიჭი უკვე იქ დახვდა მთლად გაწუწული. *ეროვნული*  
— უჰ!.. — ქშენით დაჯდა თავის ადგილზე *წმინდა*  
ბით ამოისუნთქა.

წვიმამ კიდევ უფრო მოუსხირა. ჭექა-ქუხილმაც იმა-  
ტა.

ოფლითა და წვიმით დასველებული მაშვრალნი ძლივს  
სუნთქავდნენ, ქშინავდნენ, შიშველი ხელით იწმენდნენ  
სახეს და ფრუტუნებდნენ.

თქმა არ უნდა, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ,  
და არავინ უწყობდა, წინ კიდევ რა ფათერაკი ედოთ. მაგ-  
რამ რაღაცნაირი სასიამოვნო, გამარჯვებული კაცის სი-  
ლაღე დაუფლებოდა ორთავეს. იმედიანადაც კი გაული-  
მეს ერთმანეთს.

გიგომ ხალისიანად ახედა ცას, როცა კვლავ გაიეღვა:  
— მიდი, პო, მიდი!.. აბა, ვნახავ, სანამდე დაუშენ!  
ბოლოსდაბოლოს რა უნდა დამემართოს?.. მოვკვდები  
თუ რა?.. — ნიშნის მოგებით გასძახა და ღიმილით გა-  
დახედა ბიჭს.

ბესოს გაეცინა და გალუმპული შარვლის გახდას  
შეუდგა.

სველი სამოსი გაიძვრეს, მშრალი თუ რამ შერჩათ,  
რაც კაბინაში ედოთ, ჩაიცვეს.

— ეგ სველები აგერ, ტორპედოს მივაფინოთ. ძრა-  
ვას ჩავრთავ და გაშრება, — მოისაზრა გიგომ. ასეც მო-  
იქცნენ.

ცოტათი რომ შეთბნენ და ტანიც გაუშრათ, წასვლაზე  
დაიწყეს ფიქრი.

აქ უკვე ახალი პრობლემები იყო დასაძლევნი.

ასეა ადამიანი: როცა ერთ საქმეს ეჭიდები და დაძ-  
ლევ, სიხარული აგიტაცებს, კმაყოფილების განცდა  
გეუფლება ისე, რომ ჯერ კიდევ არ უწყევ ანგარიშს იმას,  
რაც წინ გიდევს; მაგრამ, როდესაც მეორე საქმე გამო-  
ჩნდება, პირველზე ძნელი და თავსატეხი, ისე გაგიქ-  
რება ადრინდელი განწყობილება, ვითომ სულაც არა  
ყოფილიყოს.

ორთავენი მოიღუშნენ. მიხვდნენ, რომ ჯერ კიდევ  
აღრე იყო ბუკისა და ნაღარის ცემა. საქმის მხოლოდ  
ნახევარია შესრულებული.

— უნდა დავიძრათ, ვიდრე სულ არ დამბალა მიწა...  
თუ მშვიდობით ჩავალწიეთ მოხრეშილ გზამდე, მერე  
თავი ქუდში გვაქვს... თუმცა, ტაატით კი უნდა ვიაროთ,  
არ დავცურდეთ სადმე... მერე ასეთი უხერხული ტვირ-  
თით... შეიძლება გადაგაქანოს გვერდზე და გადაგიშვას  
რომელიღაც უფსკრულში... — თქვა გიგომ და ძრავა  
ჩართო.

მანქანა ნელა დაიძრა.

— მთავარია, ამ ფერდობზე არ გადავქანდეთ, — ჩუ-  
მად თქვა გიგომ და საჭე მაგრად ჩაბლუჯა ორთავე ხე-  
ლით. — ყველაზე ძნელი ამ ჟანტ მდგელოზე სიარულია...  
ამას თუ გავალწიეთ, მერე არა გვიშავს რა... — მაგრამ  
ეჭვის სიმი აუჟღერდა ხმაში: — გზა თუ უკვე ატალახე-  
ბულია, ეგა თქვი შენ!..

ცას ახედა. გადაღებას არ აპირებდა. წვიმდა და წვიმ-

და კოკისპირულად.

კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ.

თანდათან უფრო სწრაფად და სწრაფად ბნელდებოდა.

— ნეტავ რომელი საათია? — იკითხა გიგომ.

— რა ვიცი, — გაბზარული ხმით უპასუხა ბიჭმა და ხანგრძლივი ღუმილი ჩამოვარდა.

ორთავეს კარგად ესმოდა, რომ ეს სიბნელე მარტო ღრუბლის ჩამოწოლით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მოსალამოვდა კიდევ. ყველაზე საშიში ახლა შემოღამებია. როგორმე ბორცომდე რომ მიეღწიათ შებინდებამდე, მერე არა უშავდათ რა. მანქანას გზაზე დააყენებდნენ, ნასოფლარში ფენით ჩავიდოდნენ, ბიჭიანთა ნასახლარში გაათევდნენ ღამეს. ცეცხლს დაანთებდნენ, გათბებოდნენ... აჭ კი რა უნდა ქნან?

სიცივეც უმატებს თანდათან, თუმც მთოუხთუხე მანქანაში ჯერჯერობით არა უშავთ რა... მაგრამ, რომ დადგნენ და ვეღარ წავიდნენ?..

როგორც იქნა, აათავეს მინდორი და იმ ღელეს მიადგნენ, ღღეს რომ ასე ხალისით გადმოიარეს. აქედან, მართალია თითქმის უვალი, მაგრამ კარგად გასარჩევი გზა მაინც იწყებოდა.

გზა-კვალის გამოჩენა იმედს იძლეოდა, მაგრამ გიგო ხედავდა, მანქანა აღარ ემორჩილებოდა, — თითქოს მიწას ეწებება საბურავებიო, და ეს უფუჭებდა გუნებას. არავინ იცოდა რა ელოდა მოუხრეშავ შარაზე. იმით იმედიანობდა, ამ ღელეს გასცდებოდა თუ არა, მცირე ზეადმართების შემდეგ სულ თავქვე უნდა ევლოთ და მანქანა შეიძლება არ დაბუქსავებულყო.

მაგრამ დავძლევთ კი ამ პატარა აღმართს? — ეჭვის ჭია უღრღნიდა ტვინს საგონებელში ჩავარდნილ მძღოლს... თუმც რისი აღმართი? ჯერ ამ ღელეზე არ გინდა გადასვლა?

ეს პატარა ღელე ის აღარაა, რაც ადრე იყო, ნამდვილ მდინარეს დამსგავსებია: გაზრდილა, გაფართოებულია, ამღვრეულა, აქოჩრილა. ზრიალ-ღრიალით მიექანება და დიდ-დიდ ქვებს მიაყირავებს.

— ეჰა!.. — წამოიძახა გიგომ, ესღა გვაკლდა! ახლა ამაზე გადასვლა არ გინდა!


კაბინის კარი გააღო და ისე შეათვალიერა ფონი. წვიმა შენელებულიყო, აღარ უშენდა. დასავლეთით ცაზე მცირე სიწითლე დალანდა და იმედი მოეცა. ბესოსაც ახარა:

— გადაიდებს... ცოტა ხნით მაინც თუ შეწყდა წვიმა, ეს მდინარეც დაიკლებს. ხომ იცი, მთის მდინარე როგორია: უცებ იმატებს, მაგრამ უცებვე იკლებს... ჰოდა, გადავალთ. ახლა კი არ ღირს, მგონი, შეტოპვა... მართალი გითხრა. ვერ ვენდობი. წყალში რომ ჩავჯდეთ, მოგჭამაჭირი!

წვიმა შეწყდა. უცებვე დაეტყო წყალს დაწევა და იმედმოცემული მგზავრები ხალისიანად ალაპარკდნენ.

— ერთი მითხარ, თუ კაცი ხარ, — დაიწყო გიგომ, — ასე რომ გამოგიდვია თავი ამ ნახირისთვის, რა ეშ-

მაკად გინდა?.. გაძლევენ მაგაში რასმეს თუ?

— რა უნდა მომცენ?! — გაუკვირდა ყმაწვილი    
— ფული.

— არა. ეს ჩვენი ვალდებულებაა. ინტერნატელებმა ვითავეთ. დამხმარე მეურნეობა შევქმენით და ჩვენი თავი ჩვენვე უნდა დავიკმაყოფილოთ რძითა და წველულით. თორმეტი ძროხა უკვე გვყავს თავისი ნამატი. გადავწყვიტეთ, საკვებითაც ჩვენ მოვამარაგოთ... მეურნეობასაც ჩავაბარეთ და ჩვენც გვეყოფა... არდადეგებზე აქ ჩვენი რაზემელები ამოვიყვანე. მე ხომ ვიცოდი ეგ ადგილები... ოღონდ ჩატანა გაძნელდა. ტრანსპორტი ვერ მოგვცა მეურნეობამ.

— მარტო შენ რად შემორჩი ამ საქმეს? სხვები სადღა არიან? — დაინტერესდა გიგო.

— ახლა, ხომ იცი, რა დროცაა? ყველგან რთველია. ჩვენი ბიჭები ჩვენს საცდელ ნაკვეთში არიან... მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ აქ რომ არ წამოვსულიყავი, არაფრით არ შეიძლებოდა.

— ვითომ რა მოხდებოდა, ეს ერთი მანქანა თივა რომ დაგკლებოდათ?.. აკი თქვი, მეურნეობასაც ჩავაბარეთ და ჩვენც გვეყოფა?

ბიჭი გაოცებით შემობრუნდა თანამგზავრისაკენ, ეგ რა შესაკითხიაო. ზედმეტი ვის მოყირაჭებია, და ესეც რომ არა, განა საქმე მარტო მათი დამხმარე მეურნეობის ძროხების გამოკვებაა?.. წელს გვალვიანი ზაფხული იყო. ბალახი ცოტა მოვიდა. თივა ყველას გაუჭირდება. მეურნეობა წელეზე ფეხს იდგამს, იქნებ როგორმე გვგმა შეასრულოს, და ამ დროს გატეტკილი მანქანა თივა დაიკარგოს? ორ-სამ მოსახლეს ხომ მაინც ეყოფა?.. ცოტაა?

— ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, — განაგრძობს გულმოდგინედ პატარა მეურნე, — რაიონის გაზეთში გაგვწერეს მთელი რაზმი, სურათებიც გადაგვიღეს, ამდენი და ამდენი საკვები დაამზადესო. ფასიანი საჩუქრები უნდა გადმოგვცენ, დიდი ამბით მადლობა გამოგვიცხადეს... და რა გამოვა? დავამზადეთ კი, მაგრამ ვერ ჩავაბარეთ? ვის რად უნდა ეგეთი დამზადება?.. არა!.. — მტკიცედ განაცხადა ყმაწვილმა, — რამდენიცაა ნათქვამი, მითიბესო, იმდენი უნდა ჩავაბაროთ... ჩვენი რაზმი სოც-შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და ახლა ვულა-ლატოთ საქმეს? ხომ მოგვეჭრა თავი და ეგაა! ხომ იცი, ნათქვამია, სიტყვის გატეხას თავის გატეხა გერჩიოსო.

გიგომ მოწონების ნიშნად ტუჩები მომუწა და ისე ჩააქნია თავი, თითქოს ამბობდა, აი, ეს მესმისო!.. მოკრძალებით შესედა ბიჭს და თანაგრძნობითაც კი გაუღიმა. კვლავ აციმციმდნენ მინებზე წვიმის წვეთები.

სწრაფად გამოყო თავი გარეთ. დასავლეთის მხარეს წითლად აელვარებული ტატნობის ერთი ნაგლეჯიც — ამათი პაწია იმედი — სრულიად გამქრალიყო. ისევ ჩაშავებული და ჩაქუფრული ჩანდა მთელი ცა. კიდევ უფრო დაბნელებულიყო და წვიმაც ხელახლა იწყებოდა. უსიამოდ ხმაურობდნენ წვეთები და ავის მომასწავებლად ღრიალებდა წინ გაწოლილი ფაფარაყრილი მთის




მდინარე. ოდნავ დაეკლო, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა, შეუნელებელი მოაქანებდა მღვრიე ტალღებს და თავდაუზოგავად გარბოდა ბარისკენ.

— გავრისკოთ უნდა, სხვა გზა არ არის, — შიშნარევი ხმით განაცხადა გიგომ და პასუხს დაელოდა, თითქოს შეგულიანებას ელისო. ვერ ბედავდა ეს საქმე მთლიანად თავის თავზე აეღო. მერე თავისი წინადადების გასამართლებლად დაუმატა: — არ აპირებს გადაღებას. პირიქით, ახლა ისევ დასცხებს, და დაკლების მაგივრად ისევ მოიმეტებს ე ოხერტიალი მდინარე.

ცოტა ხანს გაჩერდა და მერე პასუხისათვის უკვე აშკარად მიუბრუნდა სულგანაბულ ბიჭს:

— პა, რას იტყვი, დავიძრათ?

იმანაც კვერი დაუკრა, მეტი რა ჩარააო.



დიდი რისხით შევარდა მანქანა წყალში. მიყარა რა რიყის ქვები. ააჩქაფა ისედაც აბორგებული მდინარე მთელი ხმით აღმუშვლდა და მეორე ნაპირს მიეტანა. ის იყო წინა ბორბლებით გავიდა კიდეც გაღმითა მხარეს, რომ შედგა და ერთ ადგილს დაუწყო ტკეპანა... განწირულივით აბლავლდა, მთელი ძალით გაიწია, მაგრამ ამაოლ. ბზრიალებენ ბორბლები წყალში, მაგრამ მანქანას ვერ სძრავენ. ძაგძაგებს მთელი სატვირთო, სროტინებს, ღმუის... ამაოდ ცდილობს გადაადგილდეს, როგორმე უკანა ბორბლებიც აათრიოს ნაპირზე.

წყევლა-კრულვით გამოაღო კარი გიგომ, ცალი ფეხი საფეხურზე ჩამოდგა, მთელი ტანით გაღმოიზნიქა და უკანა ბორბლებს ჩახედა, თანაც საჭეს მართავდა, ცდილობდა მანქანა როგორმე შეეგდო ნაპირზე.

ყველა ცდა რომ ამაო გამოდგა, ფეხზე დაიწყო გახდა. წვიმა უკვე მაგრად უშენდა და, სულ რომ არ დასველებოდა სამოსი, მხოლოდ ტრუსის ამარა დარჩა. სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, შეტოპა წყალში ჯა ბორბლების ქვეშ მოზრდილი ქვები შეყარა, რომ ქვიშაში არ ჩაფლულიყო თვლები. მერე ისევ საჭეს მიუჯდა სიცვისაგან აკანკალებული.

— როგორ აცივდა ე ტიალი და დოზანა! — კბილს კბილზე სცემდა... ისევ ჩართო ძრავა, სცადა დაეძრა მანქანა, მაგრამ ამაოლ. დაბზრიალებულმა ბორბლებმა ქვები მიმოყარა და ისევ ქვიშაში ჩაეფლო.

— ფუი, გაგიწყრეს გამჩენი!.. დაიწყევლა გამწარებულმა გიგომ. — ისე ღრმადაა ჩამდგარი, ვერაფრით ვერ შევუგდე ქვა ძირში, რომ იქნებ ზევით ამოზიდოს ე ოხერი!

— მე ვიზამ, — წასვლა დააპირა ბესომ, მაგრამ გიგომ არ დაანება, — მოიცადე, ისევ მე ვსინჯავ, უკვე გახდილი ვარ... მოდი, შენ საჭესთან დაჯექი.

უკვე იმდენად ბნელოდა, ფარების ჩართვა გახდა საჭირო.

გიგომ ისევ გადმოვიდა მანქანიდან და წყალში შევიდა ბორბლებისათვის ქვების შესაწყობად. ბესო საჭეს მიუჯდა და შეეცადა ნელა დაეძრა სატვირთო. როგორც კი ბორბლებმა ერთ ადგილას დიწყო ბზრიალი, გიგომ რამდენიმე ქვა შეუღო ქვეშ, მერე ძარის შვერილებს ჩაავლო ხელი და მთელი ძალით მიაწვა მანქანას, იქნებ ასე ვუშველო რამეო. მანქანა ცოტათი შეტორტმანდა და ღმუილ-ღმუილით დაიძრა წინ. გიგომ მთელი ხმით უყვიროდა საჭესთან მჯდარ ბიჭს:

— კარგია, მიდი, მიდი!.. არ შეაჩერო!.. აგრე, აგრე!.. მიდი!.. — და უცებ ტყაპანი და საშინელი ყვირილი ერთად გაისმა.

— ვაიმე, ფეხი, ფეხი!..

ბესომ წამში დაამუხრუჭა მანქანა, კარი გააღო და გარეთ გამოიხედა. უკანა ბორბალთან წყალში უჩვეულოდ დაგრაგნილი თუ ახორხლილი რაღაც მასა ეგდო. უცებ ვერც კი გაერკვა, რა უნდა ყოფილიყო. გიგოს დაუწყო ძებნა და, რომ ვერსად დალანდა, მთელი ხმით დაიღრიალა:



— გიგო!.. გიგო!..

ვერ გაერკვა, კვნესა შემოესმა თუ ღმუილი. მიხვდა, რაღაც უბედურება დაატყდათ თავს და ელვის სისწრაფით ჩამოსტა მანქანიდან, თვალის დახამხამებაში უკანა ბორბალთან ახორხლილ მასასთან გაჩნდა. მოეჩვენა, თითქოს ამოდენა კაცი ნაწილებად დაშლილიყო და წყალში მიმოფანტულიყო. ერთი გაარჩია: თავი მდინარეში ეგდო და მღვრიე ტალღები გადადიოდნენ ზედ. ანგარიშმიუცემლად დასწვდა და სცადა როგორმე ამოეთრია, მაგრამ ვერ მოერია. მთელი ძალა მოიკრიბა და, როგორც იქნა, ცოტათი ამოსწია ზევით... კიდევ ამოსწია, რამდენადაც შეეძლო... თავს ტანი მოჰყვა, ტანს — ძალაწართმეული ფეხები... უძრავი სხეული არ ემორჩილებოდა. იღლიებში შეუწყო ხელები უკანა მხრიდან, მკერდთან შეკრა თითები და რის ვაი-ვაგლახით ნაპირზე ამოათრია.

— გიგოლა!.. გიგო!.. — ჩაჰყვირა ბიჭმა და ნჯღრევა დაუწყო გულადმა გართხმულ ვეება სხეულს. ნიკაპში ჩააფრინდა და თავი შეუქანა.

— გიგოლა!.. გიგოლა!..

გიგოლამ დაიფრუტუნა, რაღაც სლოკინისმაგვარი

ამოუშვა ხორხიდან და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერით, უკან კი ოხვრა ამოაყოლა და უცებ ხშირ სუნთქვას დაიწყო დიდი ღლილი კაცივით.

ბიჭი ლოყებზე უტყაპუნებდა ხელისგულებს გრძობა-დაკარგულ კაცს და მუდარის ხმით ჩასძახოდა:

— გიგოლა!.. გენაცვალე!.. შენი ჭირიმე!.. გონს მოდი, რა!.. რა მოგივიდა ეგეთი, კაცო!.. რა მოხდა?.. ხმა ამოიღე, რა!..

— უ-უჰ!.. — ამოიქშინა გიგომ და ქუთუთოები გახსნა. ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდა ბიჭს, თითქოს არაფრის დარდი არა აქვსო, — არც ღამის, არც სიცვიის, არც თავსხმა წვიმის, რომელიც სახეში სცემდა და თვალების გახელას უძნელებდა.

— რა მოგივიდა, არ იტყვი, კაცო?.. გიგოლ, გენაცვალე, გიგოლ!.. მითხარი რამე, რა!.. ვერა მცნობ?.. მე ვარ, მე, ბესო!.. შენი გამამწარებელი... მცემე!.. დამარტყი, რა!.. ჩემი ბრალია ყველაფერი... გამლახე, რა!.. მე შენი პატარა ძმა ვარ!.. გესმის, შენი ძმა!.. გიგოლ, გაიგე?.. შენ ხომ სცემ იმას, როცა ცუდად იქცევა?.. ჰო-და, მეც მცემე!..

— ჩემი ძმა?! — მიღეული ხმით იკითხა ბოლოს და ბოლოს გონებადაბრუნებულმა გიგომ და უაზროდ მიმოიხედა. ბეჯითად დააკვირდა ბიჭს და საოცრად დანგრეულად, რაღაც დაშლილად გაუღიმა.

— ჰო, გიგოლ, ძმა ვარ!.. ხომ მიცანი?

— გიცანი... — ცოტათი გაუმაგრდა ხმა მიწაზე გართხმულ გოლიათს, — ბესო ხარ.

— ჰო, ბესო ვარ ბესო!.. — სინარულით აენტო ყმაწვილი. თავი წამოუწია. გიგომაც ძალა მოიკრიბა და წამოჯდა კიდევ. თავი გააქნია, სახე ფრუტუნით მოიწმინდა ხელისგულებით და შვებით ამოისუნთქა:

— გადავრჩი, მგონი, აი!.. კინაღამ დავიღუპე.

— ნულა გეშინია!.. რაკი გამობრუნდი, აღარაფერი გიშავს, — აიძვებდა ბიჭი. — ხომ არ გტკივა რამე?.. რა გაწუხებს?

— არა მიშავ რა!.. — გამოცოცხლდა წუთის წინ გულშემოყრილი კაცი, — დავეცი და მგონი ვინარჩობოდი... კარგად არც კი ვიცი, რა მომივიდა. ფეხი რომ დამისხლტა, მახსოვს... ცოტა მტკივა კიდევ მარჯვენა. ეტყობა, ბორბლის ქვეშ მომყვა...

— აბა, ვნახო, — თქვა ბესომ და კოჭი მოუსინჯა. ხელი გააკარა თუ არა, გიგომ ისეთი იღრიალა, ბიჭი შიშისაგან შეხტა.



შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ჭიაჩელის დაბადების 100 წლისთავი.

დიდა ლეო ჭიაჩელის ღვაწლი ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების საქმეში. მძლავრი მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი მისი რომანები და მოთხრობები — „ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“, „მთის კაცი“, „შაკი აძბა“, „თავადის ქალი მათა“, „ალმასგირ კიბულანი“ მთელი ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნული ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ.

ლეო ჭიაჩელი მოწარდი თაობის მოსიყვარულე და მეგობარი იყო. მისთვის ქმნიდა გულის სითბოთი გათბარ ნაწარმოებებს, რომლებითაც ნორჩ მკითხველს მამულის, კაცთმოყვარეობის, სიმართლის, სიკეთის ერთგულ დარაჯად და მსახურად ზრდიდა. მათი დიდი უმეტესობა ჩვენს უურნალში გამოქვეყნდა.

გთავაზობთ ლ. ჭიაჩელის ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელიც „ბიონერში“ თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ დაიბეჭდა.



## სიკოს ხვედრი თქნო

ზ ლ ა კ ა რ ი

იყო ოდესღაც ერთი ღარიბი გლეხი სიკო, პატიოსანი და დიდად გამრჩე, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მუშაობდა, მაგრამ მაინც ღარიბი იყო და წვრილ ცოლ-შვილს ძლივს არჩენდა. ერთი ჯარგვალი ეღვა, ისლით დახურული, იმასაც წვიმა და ქარი ატანდა.

სიკო უწყინარი კაცი იყო და ბედს მაინც არ ემდურა, არც უფიქრია თავის დღეში მუშაობაზე ხელი აეღო ან პატიოსნებისათვის ელატანა.

სიკოს ცოლი ეღუკაცა გამრჩე დედაკაცი იყო, მაგრამ სხვანაირი ხასიათი ჰქონდა. იგი ხშირად ეუბნებოდა ქმარს:

— ვერ ხედავ, ჩემო კაცო, რომ ამ ჩვენი შრომიდან არაფერი გამოდის? დაილიე, აღარ ხარ კაცი. რა შეგმატა შენმა პატიოსნებამ ან ხელი ვინ მოგიმართაო?

— ნუ ხარ, დედაკაცო, სულმოკლე. დღეს არა გვაქვს, ხვალ გვექნება. სიმართლე არ დაიკარგება, — უპასუხებდა სიკო ცოლს, მაგრამ ისე, რომ არ აწყენინებდა, რადგანაც კეთილი იყო.

ერთ დილას გახარებული ადგა ეღუკაცა. სიკოს უთხრა:

— ყური კარგად დამიგდე, ჩემო კაცო, რა გითხრა: წუხელ ბედნიერი სიზმარი ვნახე. მგონია გათავდეს ჩვენი სიღარიბე. ჩვენს გვერდით რომ ტყეა, იქ ვითომ ფიჩხს ვაგროვებდი. გავიხედე: ერთი მუხის ძირში ამოზნექილ ფესვის ქვეშ დიდი ორმოა, ორმოში კი პირამდე ოქროთი სავსე ქვევრი დგას. ისეთი ბრჭყვიალი ამოდიოდა ქვევრიდან, რომ თვალი ვერ გავუსწორე. ადექი ჩქარა, წამოდი, იქნება მართალია.

— ხომ არ გაგიყდი, ადამიანო? რისი ოქრო, რა ოქრო! შენს ქერქში დაეტყე და ბაღლებს მიხედე,

ის გირჩენია, — გაუჯავრდა ცოლს სიკო.

— იცოდე, წინათგრძნობა მეუბნება, რომ ბედნიერება მოგველის. ისე ვნახე ის განძი, როგორც ახლა შენ გიყურებ. გეუბნები, წავიდეთ, ვნახოთ! — არ მოეშვა ეღუკაცა.

— ჭკუაზე მოდი, დედაკაცო! — ესლა თქვა სიკომ. სიტყვა არ გაუგრძელდება, გაიღვა მხარზე თოხი და ყანაში წავიდა.

ეღუკაცამ კი მეზობელი როსტომის დედაკაცს მიაბარა ბავშვები და თვითონ ტყეში წავიდა დასიზმრებული განძის საძებრად.

ძებნა დიდხანს არ დასჭირვებია. ცხადადაც ისე მოხდა ყოველივე, როგორც სიზმარში ნახა. ჩაიხედა ქვევრში თუ არა, სიხარულისაგან იკივლა, იმდენი ოქრო დაინახა.

მოხვია ხელეები ქვევრს ეღუკაცამ, ვითომ შინ წავიღებო, მაგრამ ძვრაც კი ვერ უყო. ქვევრი შუამდე მიწაში იყო ჩაფლული. მიხვდა, რომ მარტო ვერაფერს გახდებოდა. აღარ დაუყოვნებია ტყეში, ქმართან გაიქცა ყანაში.

— ხომ გითხარი, გავკეთდებით-მეთქი, და ასრულდა კიდევაც! —



კიამ. შინისაკენ წალასლად. გაწბი-  
ლებული. შინისაკენ

გზაზე იფიქრა:

— იქნება ის განძი სხვადაც ნახა სიზმარში, თუ დროზე რამე არ ვილონე, დამასწრებენ და წაიღებენო.

წელან სიკოს შესაშინებლად ახსენა როსტომი, მაგრამ ახლა ის აზრი მართლა ჭკუაში დაუჭდა. სხვა გზა არც ჰქონდა. მივიდა როსტომთან, განზე გაიხმო, საიდუმლოება გაანდო და უთხრა:

— ნახევარი შენი იყოს და შინ მომატანინეო.

— სიზმრის ასე ახდომაც არ გაამიგონიაო, — თქვა როსტომმა. ჯერ არ დაიჯერა, მაგრამ მერე იფიქრა: ტყე შორს არ არის, ვნახავ, რა მენადლეებაო. დაიჭირა ბარი და ელუკიას გაჰყვა.

გულმაგარი კაცი იყო როსტომი, მაგრამ ფერი მაინც ეცვალა შინისაგან, როცა ქვევრში ჩაიხედა. ალბათ, ხანდახან კაცს მოულოდნელი დიდი ბედნიერებისაც შეეშინებდა.

შეეტოტა როსტომი ქვევრს, მაგრამ ქვევრი როსტომსაც არ დანებდა. მიეშველა ელუკიაც. ესეც ამაო გამოდგა. მაშინ ბარი მოიმარჯვა როსტომმა. ჩათხარა მიწა გარშემო, გვერდებზედაც და ქვეშიდანაც გამოაცალა, მაგრამ ქვევრი მაინც ვერ დაძრეს ადგილიდან.

— ოქრო ისედაც მძიმეა, ელუკია. აქ კიდევ ძალიან ბევრია, ეტყობა, ვერ ვზიდავთო, — გამოუცხადა გულშემოყრილ ელუკიას როსტომმა მერე ურჩია:

— კიდევ ვინმე მოვიშველიოთ და, როცა კარგად დაღამდება, საქმეს შევუდგეთ. ოქრო იმდენია, ჩანს, რომ ყველას გვეყოფაო.

ელუკიას არ უნდოდა მესამედს დასჯერებოდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, დათანხმდა.

შინ დაბრუნებულმა როსტომმა კი ასე იფიქრა:

— ბედს მოუხედავს სიკოსა და მისი ოჯახისათვის, მაგრამ ამით ვერ უსარგებლიათ. ელუკია ჭკვიანი ქალი მეგონა. რა საჭირო იყო ამის გამომყლავენება. მაგრამ ეს იმიტომ

ახარა სიკოს. უამბო ყოველივე.

— ახლა მაინც არ წამოხვალ და ქვევრს არ ამომათხრევენებო?

— სირცხვილია, ქალო, კიდევ რომ არ იშლი? რას ჰგავს შენი საქციელი? საცაა შუადღე იქნება, სადილი ამოგეტანა, ისა სჯობდა, — მშვიდად უპასუხა ცოლს სიკომ ისე, რომ თოხიც არ შეუჩქრებია.

— რას ამბობ, რა ვქნა? მართლა არ აპირებ წამოსვლას, თუ როგორაა შენი საქმე? ქვეყნის წონა განძი იქ დევს, და შენ აქ სადილზე მელაპარაკები? გაავდე ახლავე თოხი, გეუბნები, და მომყევი, თორემ იმ განძს სხვა ნახავს და შენ თვალები დაგეთხრება.

— ჩემი განძი მე თან მაქვს. ეს ჩემი მკლავების ძალაა. ვისაც საძებარი აქვს, იმან ეძიოს, რაც მე მეკუთვნის, ჩემთან მოვა, შენ კი სიზმრებს ნუ აყოლიხარ, დედაკაცო. შინ გასწი, სადილი არ დამიგვიანო.

— თუ ასეა, როსტომს ვეტყვი, რომ მომეხმაროს. მაგრამ იცოდე კი, რომ ნახევარს ის წაიღებს და შენ კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩები.

— მე ის ვიცი, დედაკაცო, რომ ჩემსას ვერავინ წაიღებს, სხვისი კი მე არ მინდა. მორჩა და გათავდა! — მოჭრა სიტყვა საბოლოოდ სიკომ.

ვერა გააწყო რა ქმართან ელუ-



# ვერო, ვერო დავთომობ

მშობლიურ სოფელს ვერ დავთმობ, ვერა!  
 მე ჩემი თავის და გულის მჯერა.  
 სადაც ავიდგი ფეხიც და ენაც, სად მართვესავით ვისწავლე ფრენა, მე იმ გოროზ მთებს ვერ დავთმობ, ვერა!  
 არ დავივიწყებ ჩემს ლამაზ წარსულს. მე ვიცი ამ გულს რაც უნდა, რაც სურს.  
 ო, მე თუ არა, ვინ შეიყვარებს ტალღებდარწეულ ამ ოქროს ყანებს. აქ სულ სხვა არის ჭიკჭიკი მერცხლის და ყაყაჩოთა სხვა არის ცეცხლი. მე ჩემი სოფლის სუნთქვაც კი მესმის, მამა-პაპათა აქ არის ფესვი. ჩვენ წინაპრების შუქი გვინათებს. ვინ დაივიწყებს, აბა, ვინ ამ მთებს? —  
 აზურმუხტებულთ, ცამდე აწვდილებს, ფრთებს რომ უმაგრებს ამაყ არწივებს.  
 ფრთებს გავიმაგრებ მეც, გავფრინდები, როგორც ფრინველი, და დავპირდები:  
 ცოდნით გონებაგანათებული, კვლავ დავბრუნდები ნათელაცხებული — სოფელს შევმატო იაგუნდები, სოფელს შევმატო ხვაფი, ბარაქა.  
 კერა ჩავაქრო? ღმერთმა არა ქნას! ჩემს ლამაზ სოფელს ვერ დავთმობ, ვერა, მე ჩემი თავის და გულის მჯერა!

მობდა, ალბათ, რომ ის ოქრო ჩემ-  
 თვის ყოფილა განკუთვნილი. ხელი-  
 დან არ უნდა გავუშვა.

ამის შემდეგ დიდი ხნის მსჯელო-  
 ბით არ შეუწყუხებია თავი. გადა-  
 წყვიტა ედუკიასათვის არ ეცადა,  
 არც გარეშე ვინმე გაეხადა მოზია-  
 რედ, მოეშველებინა შინაურები და  
 ქვევრი შინ მიეტანა.

ასეც მოიქცა.  
 ამ კვლობაზე ქვევრი ადვილად  
 დანებდა როსტომს და მისი ოჯახის  
 წევრებს.

— გასაყოფიც არაფერი ყოფი-  
 ლაო, — თქვა როსტომმა სინდისის  
 გასაჩუმებლად.

შემოიტანეს ქვევრი სახლში. კე-  
 რისი წინ დააყენეს. როსტომმა  
 ცოლს ანთებული ჭრაქი მოატანინა  
 და ერთხელ კიდევ ჩაიხედა ქვევრში.  
 ჩაიხედა თუ არა, განზე გადახტა და  
 იყვირა:

— არ მიეკაროთ, გაეცალეთ!

ქვევრი წითელი გველებით სავსე  
 აღმოჩნდა. სისინით ამოეყოთ თავე-  
 ბი და ორკაბი ენები საკბენად მოე-  
 მზადებინათ.

— ასე როგორ მოვტყუვდი! თუ

ეძინათ ამ უხსენებლებს მაშინ... ამა-  
 თი ფერი ოქროსას როგორ მივამსგა-  
 ვსეო, — თქვა როსტომმა. მარჯვედ  
 წააფარა ნაბადი ქვევრს თავზე და  
 ყელს კი გარშემო თოკი შემოაკრა.

— აი, თურმე რა მტერი გვყო-  
 ლია მეზობლად და ჩვენ კი არ ვი-  
 ცოდით! ეს სულ სიკოს საქმეა.  
 უეჭველია, ცოლი მომიგზავნა, თო-  
 რემ, ოქრო რომ ყოფილიყო ნამდვი-  
 ლად, რა შვილია, მე ჩამრევდა სა-  
 ქმეში! მაგრამ იმასაც ვნახავ, ვის  
 უფრო ადრე დასჭამენ ეს წითელი  
 გველები: მე და ჩემს ოჯახს, თუ მაგ  
 ლატაკს და მის ბოგანო ცოლ-შვილს!

თქვა თუ არა ეს, გაბრაზებულმა  
 აიკიდა ზურგზე ქვევრი და სახლი-  
 დან გავიდა.

სიკოს ეზოში შეიპარა, ავიდა  
 ჯარგვალის სახურავზე და ქვევრი  
 საკვამურიდან ქოხში თავდაყირა  
 ჩაუშვა, თვითონ უკან მოკურცხლა.  
 ის დრო იყო, როცა ახალნავახშმევი  
 სიკო იწვა და ძილს აპირებდა, ხო-  
 ლო ედუკია ქმრის დაძინების მოლო-  
 დინში იმყოფებოდა. დაძინებდა  
 თუ არა სიკო, როსტომთან უნდა  
 წასულიყო, როგორც დაპირებული  
 ჰქონდა.

მალლიდან ჩამოვარდნილი ქვევრი  
 ისე მაგრად დაენარცხა მიწის გამ-  
 ხმარ იატაკს და ისეთი ხმა გაიღო,  
 თითქოს ჯარგვალაში მეხი გავარდაო.

წამოვარდა ლოგინიდან შეშინე-  
 ბული სიკო. გაიღვიძეს ბავშვებმაც.  
 ენაჩავარდნილი ედუკია კუთხეში  
 მიმდგარიყო და პირჯვარს იწერდა.

ბოლოს, როცა ქვევრის ნამსხვრე-  
 ვებთან დიდიან-პატარაიან თავი მოი-  
 ყარეს, ნახეს, რომ იატაკი ბაჯაღლო  
 ოქროს ბრჭყვილა ზოდებით იყო  
 მოფენილი.

— სასწაული! — იკვილა ედუკიამ.

— რა უყუოთ ახლა ამდენ ოქროს?

— აკი გითხარი, დედაკაცო: რაც  
 მე მეკუთვნის, ჩემთან მოვა-მეთქი!  
 ნუ გეშინია, ვერავინ შეგვეცილება:  
 ალბათ, ჩემი ხვედრია, — თქვა სი-  
 კომ. — დილაშდის კი ხელს ნუ ვა-  
 ხლებთ, თორემ ძილი დამაკლდება  
 და ხვალინდელი დღე გამიცდებოა,  
 — და ისევ თავის ლოგინს დაუ-  
 ბრუნდა.

მხატვარი ი. სამსონაძე



# ორენი

ალექსი ნაპროსავილი

მხატვარი ზ. ზარაფიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

აგვისტოს შუა რიცხვები იყო. შვებულელებს ჩემს მშობლიურ სოფელ ხომში ვატარებდი. ერთ საღამოს ჩვენი მეზობელი იოსები მოვიდა და შემომჩივლა, დათვი შემოეჩვია ჩემს ხეხილს და რამდენიმე მსხლის ხე დაღეწაო. ყოველ ღამე დაბარებულევით მოდისო. ოღონდ ის თავხედი მომამორე და რაც გინდა, მთხოვეო.

შევბირდი, ხვალ საღამოს აუცილებლად მოვალ-მეთქი.

გავაცილე თუ არა ბერიკაცი, მაშინვე შევეუდექი სამზადისს. მსხვილი ტყვიებით საგულდაგულოდ გავტენე ექვსი ვაზნა, მოვიმზადე ჯიბის ფარანი და თბილი ტანსაცმელი, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ღამე ღია ცის ქვეშ გამეთენებინა.

ვაზნებს რომ ვტენიდი, ოთახში ჩემი ძმისშვილი, ცხრა წლის ქეთინო შემოვიდა, რომელიც ზაფხულს სოფელში ბებიასთან და პაპასთან ატარებდა. გოგონა ჩემს ირგვლივ ტრიალებდა და ათას რაღაცას მეკითხებოდა. ისიც მკითხა, რა უნდა მოკლა ამ ტყვიებითო. შველი უნდა მოვკლა და მისი მწვადი გაჭამო-მეთქი, ვუთხარი. ქეთინო ყელზე ჩამომეკიდა და შემეხვეწა:

— ნუ მოკლავ, ძია ალექსი, შველს, ბებია კერძს აკეთებს და ხვალ ის ვჭამოთ.

მეორე დღეს მე და მამაჩემი თივას ვთიბავდით. ქეთინო დროდადრო მოდიოდა ჩვენთან და ცივი წყალი მოჰქონდა. შუადღისას, როცა ხის ჩრდილში ვისვენებდით, ჩემთან მოირბინა, ხელში ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობების კრებული ეჭირა. ერთი მოთხრობა უნდა წავიკითხო და მომისმინეო, შემეხვეწა. ვიცოდი, რისი წაკითხვაც სურდა, და სამუშაო მოვიმიზეზე.

ბინდებოდა, ძია იოსებთან რომ მივედი. მან ადგილზე მიმიყვანა,

დამათვალიერებინა ბილიკები, საიდანაც შეიძლებოდა დათვი გამოჩენილიყო და მიჩრია, მსხლებთან, ხშირ ბუჩქნარში ჩავსაფრებულყავი. ადგილი მართლაც მოხერხებული იყო: იქიდან კარგად ჩანდა მსხლის ყველა ხე და ნადირის გამოჩენის ყველა სავარაუდო ბილიკი.

მოხუცი შინ დაბრუნდა. მისი წასვლიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ ხეხილის მარჯვნივ მომავალ ბილიკზე ვეება დათვი გამოჩნდა. იგი სწრაფად უახლოვდებოდა მსხლის ხეებს და აშკარად ეტყობოდა, სულ არ ფრთხილობდა. სავახშმოდ სწორედ ჩემთან ახლოს მდგომი ხე აირჩია. უცებ შეჩერდა და ჰაერი მოყნოსა. „ალბათ სუნი იკრა და შეიძლება უკან გაიქცეს კიდევ“, — გავიფიქრე. მაგრამ არა, დათვი მსხლის ხესთან მივიდა და სწრაფად აცოცდა ზედ. ისე ახლოს იყო ჩემგან, შემეძლო მისთვის თუნდაც თავში მომეხვედრებინა ტყვია, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძლია და თავი შევიკავე, მაინტერესებდა, როგორ ივახშმებდა.

დათვი მსხლის ყველაზე მოზრდილ ტოტზე გავიდა და შეარხია. ნაყოფმა დაბლა პარტყაპურტყით იწყო ცვენა. შემდეგ რამდენიმე მსხმოიარე ტოტი მოიზიდა თავისკენ და სწრაფად დაიწყო ჭამა. ხრაშუნისა და გმინვის მავგარ ხმას გამოსცემდა... მეტისმეტად გაერთო.

დარწმუნებული ვიყავი, გრძნობდა ადამიანის სიახლოვეს, მაგრამ ეს ნაკლებად აფიქრებდა: მისთვის მთავარი იყო, მუცელი ამოეყორა.

წამოვდექი, თოფი სასროლად მოვამზადე და ხმამაღლა დაუწყვირე, ჩამოდი-მეთქი. დათვი ერთი წუთით შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო ჭამა. მაშინ კი მშვიდად დავუმიზნე და ვესროლე ისეთ დროს, როცა იგი უკანა ფეხებით ხის მოზრდილ ტოტზე იდგა, ერთი თათით ზემო ტოტზე იყო ჩაჭიდებული, მეორეთი კი ცდილობდა მსხმოიარე ტოტი თავისკენ მოეზიდა. გავესროლე, მაგრამ დათვს აინუნშიც არ ჩაუგდია. ჩემდა გასაოცრად, ტყვია ასცდა. საგულდაგულოდ ისევ თავში დავუმიზნე და მეორე ლულიდან ვესროლე. დათვს ნირიც არ შეცვლია. მცირე ხნის შემდეგ მშვიდად ჩაცუცქდა უკანა თათებზე, ხის ღეროსკენ მიიწია და გაინაბა. ისევ ავაცდინე-მეთქი, გავიფიქრე. თოფი ახალი ვაზნებით დავტენე და ახლა ბეჭებში დავუმიზნე. მანძილი ჩვენს შორის ისე მცირე იყო, რომ ხელით ნასროლი ჭვაც კი არ ასცდებოდა. ორივე ლულიდან თითქმის ერთდროულად გავისროლე. დათვი არც განძრეულა, მხოლოდ თავი შეატრიალა და ჩემს მოპირდაპირე მხარეს დაიწყო ცქერა, ვინაიდან თოფის ექო სწორედ იქიდან ისმოდა. აღელვებულმა



აქთან დღე მუხრანში

მშვიდობა

მშვიდობა მარადჟამს  
გულით გულის გათბობა,  
სიყვარულით ცხოვრება,  
სწავლა, შრომა, გართობა.  
მშვიდობა უღრუბლო  
ზეცაზე მზის ნათება  
და მამულში სხივების  
შვიდფრად ათინათება.  
მშვიდობა სიცოცხლე,  
მეგობრობა, შენება...  
მშვიდობა სამყაროს  
საოცარი მშვენება.

შემოდგომა

შემოდგომის მზემ ოქროსფრად  
ააფერადა ტევრები...  
მეზვრემ დაკრიფა ყურძენი,  
დაწურა ლალის მტევნები.  
შინ ფუხფუხობენ ქვაბები,  
მარანში - სავსე ქვევრები.  
ხილი დახვავდა ბედლებშიც,  
სხვენებზე დაუტევრები.  
კეკლუცები და ახლები,  
აივსნენ ოდა-სახლები...  
მზეზე შრებიან აკიდო,  
ჩამიჩი და ჩურჩხელები...  
ისვენებს გარჯით დაღლილი  
მშრომელი კაცის ხელები.

ჩარგალში

აქ ვაჟას ნაფხურები  
ბევრჯერ ალოკეს ირმებმა,  
ეს ჭალა მისი ლექსებით  
მრავალჯერ მოისირმება.  
წყაროც კი ვაჟას ლექსებზე  
მუდამ საამოდ იმღერებს,  
გალაღებული შვლის ნუკრი  
სიამით ყელს მოიღერებს.  
მშობულ ჩარგალში მგოსანი  
ყველაფერს ემანსოვრება,  
აქ უსასრულოდ იჩქეფებს  
ვაჟას ლამაზი ცხოვრება.

გელაო,  
გიჟო გელაო!

ოქროდ საღირალ დროს კარგავ,  
უქმად დადიხარ, გელაო,

ყანა კი თვალწინ ყვითლდება,  
მოედო სარეველაო,  
დაიღუპება სიმინდი,  
სასწრაფოდ უნდა შველაო.  
როგორც მას თოხი აამებს,  
ისე მოგეცეს ლხენაო.  
პერანგი გამოიცვალე,  
თოვლივით ქათქათელაო.  
თოხი აიღე, ყანაში  
შეცურდი ფეხშიშველაო.  
თუ დაგცხა, წყალი მოგინდა,  
აქვეა ციციველაო.  
დაიღლები და - დაჯექი,  
ჩრდილს არ მოგაკლებს თელაო.  
ოლონდ შენ ყანა გამარგლე, -  
მადლობას გეტყვის ყველაო...

მიყვარს

მიყვარს მზიანი დღეები,  
უქარო, წყნარი, ნათელი...  
მიყვარს მამული, მამულზე  
შეყვარებული ქართველი,  
ადამიანი სწავლული  
და ფუტკარივით მშრომელი,  
მიყვარს ბუნება, ციფწყარო, !  
მჩქეფარე, დაუშრობელი.  
მთლად საქართველოს მთა-ბარი, -  
ჩემი მზე, ჩემი მშობელი.  
მიყვარს მშვიდობის მოყვარე,  
სულ ერთი არის, ვინც არის.  
იგი ჩემს და-ძმად, ჩემს შვილად  
და ჩემს მეგობრად ვიცანი.  
მიყვარს ბავშვი და ბავშვები,  
მათი ხალასი სიცილი...  
ღმერთო, აშორე ყველა ბავშვს:  
ომი, შიმშილი, სიცივე!..

სიო

დაშარიშურობს სიო  
ყანა-ბალებში, ტყეში...  
დღეა თუ ბნელი ღამე,  
მზეა თუ წვიმის თქეში,

უჩინარი და მშვიდი,  
დადის მთასა და ბარში,  
დაშარიშურობს სიო -  
ქარის პატარა ბავშვი...

უკანასკნელი ორი ვაზნაც ჩავდე  
თოფში, დაეუმინე და ზედიზედ  
გავისროლე. სიმწრისაგან გამეცინა,  
— დათვი ისევ გაუნძრევლად  
იდგა ადგილზე. მაშინ თოფის ლუ-  
ლას ბოლოში წავავლე ხელი, მთელი  
ძალით მოვიქნიე და დათვის მიმა-  
რთულებით, გავტყორცნე. თოფი  
მსხლის ტოტებს მოხვდა და ხმაუ-  
რით დაეცა დაბლა. ნადირი უცბად  
შეკრთა, მერე თათები თავზე მოი-  
ხვია და ძირს მოადინა ბრაგვანი.  
მაშინვე მოცოცხა. ბუჩქებიდან გა-  
მოვედი, გაოგნებული მივუახლო-  
ვდი მსხლის ხეს. სისხლის წვეთიც  
კი არსად ჩანდა. თოფი, რომელიც  
იქვე ეგდო, ავიღე. ამ დროს იოსე-  
ბიც მოვიდა, ხელში ხანჯალი ეჭი-  
რა. მოვუყევი ყველაფერი, როგორც  
იყო.

— არაფერია, — დამამშვიდა მო-  
ხუტმა, — თუ კიდევ დაბრუნდება,  
შეგატყობინებ და მაშინ აუცილე-  
ბლად მოკლავ.

დაეჭვებული წამოვედი შინისა-  
კენ. ალბათ მართალია, რომ ამბო-  
ბენ, ეშმაკმა შეიძლება გასროლილ  
ტყვიას მიმართულუბა შეუცვალო-  
სო, ვფიქრობდი.

ჭიშკართან მისულს ქეთინო შე-  
მომეგება და შორიდანვე მომაძახა:

— მოკალი შველი, ძია ალექსი?!

— შველი არ მინახავს, მაგრამ  
დათვი კი ვნახე და ვერ მოგვკალი,  
— ვუბასუხე დაღონებულმა.

— უჰ, დათვს როგორ მოკლავდი,  
ძია ალექსი, მე ხომ შენი ვაზნები-  
დან ტყვიები ამოვიღე და შიგ ქა-  
ღალი ჩავტენე! — წამოიძახა ქე-  
თინომ ბავშვური გულახდილობით.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გა-  
ხდა: ბავშვს ეგონა, მართლა მო-  
ვკლავდი შველს, ამიტომ, დრო რომ  
იხელთა, ტყვია ამოიღო მასრები-  
დან და მათ ნაცვლად ქაღალდის ნა-  
კუწები ჩაჩურთა... ზღურბლზე ჩა-  
მოვჯექი და ქეთინო მუხლებზე და-  
ვისვი. აბა რა უნდა მეთქვა ბავშვი-  
სათვის, თუმცა ნაწყენი კი ვიყავი...

მას შემდეგ იოსები აღარ გამოჩე-  
ნილა ჩვენსა. არ ვიცი, დათვი გა-  
დაიკარგა მისი ბალიდან თუ იოსე-  
ბმა ხელი ჩაიქნია ჩემზე, როგორც  
მონადირეზე.



ტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა ეწყობა „დასახელებული“ წერილიც დაწერო.

ეს იყო 1948 წლის 12 სექტემბერს. დამთვალეიერებელთა შეუსწავტელი ნაკადი მოკრძალებით შედიოდა გამოფენის დარბაზში. გალაკტიონი იქვე პატარა ოთახში ბოლთას სცემდა, ლელავდა...

დადგა დიდი ხნის ნანატრი ჟამი. ბიბლიოთეკარს ვუთხარი, რომ მე გაზეთის კორესპონდენტი ვარ და პირადად მსურს პოეტის ნახვა. როცა მოახსენეს, გალაკტიონი თვითონ გამომეგება, ხელი ჩამომართვა და შე-

ელენე  
ლილიბაიშვილი

# მეჩვენებდას კლასიკური პოეზია

გალაკტიონ ტაბიძე სკოლების ხშირი სტუმარი იყო. ბავშვები სულმოუთქმელად ელოდნენ ხოლმე მასთან შეხვედრას. ერთხელ თბილისში, ლერმონტოვისა და მახარაძის ქუჩის კუთხეში სკოლის მოსწავლეები ჟივილ-ხივილით გარს შემოსვდნენ გალაკტიონს.

— თქვენ რომელ კლასში ხართ, ბიბიკო? — ჰკითხა ერთ ქერა ბიჭუნას (ბავშვსაც კი „თქვენობით“ მიმართავდა).

— მეოთხეში...  
— ბევრი ლექსი იცით ზეპირად? — ღიმილით ეკითხება პოეტი.

ბიჭუნას შერცხვა, თავი დახარა, მერე გასწორდა და გაუბედავად დაიწყო:

უნდა აჰმადღეთ ვარეთ,  
უნდა განმტკიცდეთ შიგნით —  
თუ სადმე წახვალ არედ,  
წიგნით და მხოლოდ წიგნით!

გალაკტიონმა გაიღიმა, ეს ხომ მისი ლექსი იყო.

— უნდა გიყვარდეთ სკოლა, წიგნი, — თქვა მან, — სამშობლო უნდა ასახელოთ... მერე კი ბავშვებს ლექსით მიმართა:

მშენებლობა მოდის, ქვეყნად  
ჯერ რომ არსად ნახულა,  
პიონერო, ეს დღეები  
შენთვის გამოსახულა.

პირველად გალაკტიონი ჩემი სტუდენტობის დროს ვნახე. მწერა-

ლთა სასახლეში მისი შემოქმედებითი საღამო იყო. პირველად მოვისმინე მისი წაკითხული ლექსი: „მე და ღამე“. კითხულობდა მეტად თავისებურად, ხანდახან აჩქარებით, მაგრამ დიდი შინაგანი განცდით.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან არსებობდა ახალგაზრდა მწერლების ტრადიციული წრე, რომელსაც იმხანად პოეტი შალვა ამისულაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს იყო 1948 წელი. მე, როგორც ამ წრის გამგეობის წევრი, წრის მუშაობის შემდგომ საათებშიც ვრჩებოდი ხოლმე. ვადგენდით გეგმებს გაზეთის ლიტერატურული გვერდისათვის, ვბჭობდით, რომელი პოეტი ან მწერალი მოგვეწვია წრის მეცადინეობაზე და ა. შ.

იმ დროს წრის წევრებს თითო-ოროლა ლექსი და ლიტერატურული წერილი უკვე დაბეჭდილი გვექონდა ჟურნალ-გაზეთებში და ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა სახელმძღვანელო მწერლებს ვხვდებოდით.

ერთხელ, ჩვენი გაზეთის რედაქტორმა (მე მაშინ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში ვმუშაობდი) გამომიძახა და მითხრა: თუ გინდა, ხვალ, კვირა დღეს, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაისეირნე, იქ გალაკ-

მიწვია. მერე გვარი მკითხა, მცირე ნაბიჯით განზე გადავა და მითხრა: თქვენი ლექსები წაკითხული მაქვს... მე გაცოცხლებ შეგვხედე. ნუთუ ამ ბუმბერაზმა შემოქმედმა ჩემი ლექსებისათვის მოიცალა, გვარიც კი დაიხსომა-მეთქი! — გავფიქრე. ათასი მადლობის გრძნობა აღიძრა ჩემში. მან ალბათ იგრძნო ეს, მხარზე ხელი მომკიდა, გამოფენის დარბაზში შემიყვანა და ერთ-ერთ გრაფიკულ ნამუშევართან შემაჩერა. ეს იყო მოჩუქურთმებული ქვა. ქვევით კი პოეტის ხელით მინაწერი მისივე ლექსის სტრიქონი: „აი, ამ ქვასთან გავატარე ბავშვობა ჩემი“... გალაკტიონმა მითხრა, რომ ხშირად, ქუთაისის ძველი ციხისა და ტაძრის ნანგრევებში, აი, სწორედ ამ ქვასთან ვიჯექი, ვოცნებობდი და ვკითხულობდი წიგნებსო. აქვე თქვა, რომ 1908 წელს დაწერილი ლექსი „პირველი მისი“ სწორედ აქ წაუკითხა ამხანაგებს. ამ გამოფენიდანვე გავიგე, რომ 1919 წელს გამოცემულ მის მეორე წიგნში დაიბეჭდა ლექსი „ლენინზე“ და ქართულ პოეზიაში ეს შემთხვევა პირველი იყო. მესაუბრებოდა უბრალოდ, შინაურულად. ხალხი ახლა მე მიყურებდა: ალბათ ფიქრობდა, ვინ არის ეს ბედნიერი, ასე ახლოს რომ იცნობს პოეტსო. ასე ხელჩაკიდებულმა მთელი დარბაზი შემომატარა.



პოეტის არაჩვეულებრივმა სიფაქი-  
ზემ და უბრალოებამ ცოტა გამათა-  
მამა, როგორც იყო შევკადრე: ხომ  
შეიძლება თქვენი შემოქმედების ასე-  
თი ბრწყინვალე გამოფენა ქალაქში  
მუდმივად არსებობდეს-მეთქი. მან  
ფიქრიანად შემომხედა და მითხრა:  
თქვენ კარგი რამ მითხარითო... ამა-  
ზე მეტი აღარაფერი უთქვამს.

იგი არც ერთი დამწყები პოეტის  
ლექსს არ სტოვებდა უყურადღებოდ.  
ბავშვივით სათუთი გული ჰქონდა,  
თავმდაბალი იყო. გალაკტიონის  
რთულ ბუნებას, მის მრავალწახნაგო-  
ვან ხასიათს ერთი ძვირფასი სამკაუ-  
ლი ამშვენებდა — ეს იყო უაღრესად  
მაღალი კულტურა. შეხვედრისას სა-  
ლამს ვერ ვასწრებდი, ხელს ჩამომა-  
რთმევდა და ყოველთვის მომიკითხა-  
ვდა. ერთხელ გაზეთ „ახალგაზრდა  
კომუნისტის“ რედაქციიდან დამირე-  
კეს, მარჯანიშვილის სახელობის  
თეატრში გალაკტიონისადმი მიძღ-  
ვნილი საღამო ჩატარდება და მონა-  
წილეობა შენც უნდა მიიღო. ეს  
იყო 1948 წლის 9 ნოემბერს. ასეთი  
დიდი პოეტის საღამოზე, დიდი აუ-  
დიტორიის წინაშე გამოსვლა ადვი-  
ლი არ იყო. ჩემი პირველი საზრუ-  
ნავი იყო, რა წამეკითხა...

თეატრში ზღვა ხალხს მოეყარა  
თავი. გალაკტიონი უკვე მოსულიყო.  
სცენის ოსტატი შალვა ღამბაშიძე  
საღამოს მონაწილეთა სიას აზუსტე-  
ბდა და პრეზიდენტში იძახებდა. აქ  
იყვნენ პოეტები: ანდრო თევზაძე,  
ილია ხოშტარია, კალე ბობოხიძე,  
ვერა შუბლაძე, შალვა ამისულაშვი-  
ლი, ზაქარია შერეზადაშვილი, ვახ-  
ტანგ გორგანელი, მწერალი იონა  
ვაკელი, მსახიობები და მომღერლე-  
ბი. ყველანი დიდი მოწიწებითა და  
სიყვარულით მიესალმნენ ძვირფას  
პოეტს. მეც ჩემი ახალი ლექსი წავი-  
კითხე. გალაკტიონმა ყველას სიყვა-  
რულით ჩამოგვართვა ხელი და სულ  
რამდენიმე საათის წინ დაწერილი,  
ჩვენადმი მიძღვნილი ლექსი „ახალ-  
გაზრდებს“ წაგვიკითხა, როცა გალა-  
კტიონის წიგნს გადავშლი და ამ  
ლექსს ვკითხულობ, გული სიხარუ-  
ლით მეგვსება, რადგან ამ ლექსის  
დაწერის მიზეზი იმ საღამოს მონა-

წილე ახალგაზრდები ვიყავით. ახლა  
კი ეს ლექსი ყველას, ჩვენს შემდგო-  
მი დროის ახალგაზრდებსაც ეკუ-  
თვნით.

ერთხელ ერთი პატარა ლექსი  
დავბეჭდე ჩვენს გაზეთში. ეს იყო  
1952 წელს. ლექსი ბავშვობას და  
წიგნის სიყვარულს ეხებოდა და იქ  
ორი სტრიქონი ასეთი იყო:

მერე კი ვკითხულობთ ტაბიძეს,  
ვკითხულობთ ოსტროვსკის, გაიდარს.

გაზეთი იმავე დილას ენახა გალა-  
კტიონს. მითხრეს, გალაკტიონს გა-  
ზეთის ნომერი უნდაო. მაშინვე მი-  
ვუტანე შინ. ერთი თვალის მოვლე-  
ბით დამამახსოვრდა, რომ მის სამუ-  
შაო კაბინეტში უამრავი წიგნი იყო.  
ის ბევრს კითხულობდა, მაგრამ ბევ-  
რი ლაპარაკი არ უყვარდა. კრებებზე,  
სადამოებზე მუდამ სიტყვაძვირი იყო.  
მასსოვს, მწერალთა ერთ-ერთ ყრი-  
ლობაზე, როცა ის ტრიბუნაზე გამო-  
ჩნდა და მოზღვავებული ტაში ოდ-  
ნავ მიწვდებოდა, ჯიბიდან დაკეცილი  
ვიწრო ქალაღი ამოიღო, სიგრძეზე  
გაშალა. მასზე მიჯრით იყო ამოხა-  
ტული სხვადასხვა ხალხთა ენებზე  
გამოცემული მისი წიგნების ყდები.  
ტაშის გრიალში ძლივს გავიგონეთ  
მისი ორიოდ სიტყვა: კიდევ ბევრი  
მუშაობა მმართვესო.

გალაკტიონი ყოველ ლექსს დიდი  
პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყო-  
ველი ახალი ლექსის დაბეჭდვას  
მთელი არსებით განიცდიდა, ახალ  
გაზეთს უდარაჯებდა. ერთი ასეთი  
შემთხვევის მოწმე მე თვითონ გავხ-  
დი. ლიტერატურულ გაზეთში მისი  
ახალი ლექსი „იდიდე, მშვიდობა“  
იბეჭდებოდა. როგორც ჩვენი, ისე  
ლიტერატურული გაზეთიც, კვირაში  
ერთხელ, ერთსა და იმავე დღეებში  
გამოდიოდა. სწორედ იმ საღამოს  
სტამბაში მორიგე რედაქტორი ვიყა-  
ვი. ჩვეულებრივად, მთელი ღამე ვუ-  
თიე ჩვენს გაზეთს. ჯერ ლიტერატუ-  
რული გაზეთი დაიბეჭდა, მერე ჩვე-  
ნი. დილით დაღლილი ამოვყევი  
სტამბის კიბეს, ვხედავ გალაკტიონი  
კიბის თავზე ჩაფიქრებული დგას,  
ეტყობოდა, გაზეთს ელოდებოდა. და-  
მინახა თუ არა, სიხარულით შევსძა-  
ხე: თქვენი ლექსი დაიბეჭდა, ახლავ  
ამოგიტანთ-მეთქი გაზეთს, და უკან-

ვე დავეშვი კიბეზე. როცა მეწვენილი  
გადავეცი, მან ხელზე მაკოცა.  
რამდენიმე ხნის შემდეგ მწერალ-  
თა კავშირში შევხვდი. ვერანდაზე  
იდგა. ჩემს პირველ წიგნზე მესაუბ-  
რა. ის წიგნი მას ორი კვირის წინათ  
ვუსახსოვრე. რაოდენ გავოცდი, რო-  
ცა ჩემი ერთ-ერთი უბრალო ლექსის  
სტროფი ზეპირად მითხრა:

ქალაქს ხალისი შევწვდებო,  
ზღვა სიხარულის მწინი,  
რამდენი სასლიც შენდებო,  
ყველა მგონია ჩემი!..

მერე დასძინა: უთუოდ კარგია,  
ამაზე შეიძლება კაცმა იოცნებოსო...  
მინდოდა, იმ წუთებში მუხლი მომე-  
ყარა მის წინ და ისე მეთქვა მადლო-  
ბა ასეთი დიდი ყურადღებისათვის.  
ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ  
გალაკტიონმა მოიცალა ჩემი პატარა  
წიგნისათვის, უფრო მეტიც: მან ზე-  
პირადაც დაიხსომა ლექსი! ახლა კი  
გაგებდე და ვუთხარი, რომ ის უსა-  
ზღვროდ გულისხმიერია. მან გაი-  
ლიმა.

...ეს იყო 1959 წლის მარტში. მწე-  
რალთა კავშირის კლუბში გალაკტი-  
ონი ესვენა. თითქოს ეძინა, სახის  
კლასიკური ნაკვთები უცვლელი ჰქო-  
ნდა. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი.  
21 მარტს მწერალთა სახლიდან დაი-  
ძრა პროცესია. გაისმა იოსებ გრი-  
შაშვილის, კონსტანტინე გამსახურ-  
დიას და სხვების გამოსათხოვარი  
სიტყვები. მაჩაბლის ქუჩიდან მთა-  
წმინდის მისადგომამდე ზღვა ხალხი  
იყო. რეპროდუქტორებიდან ისმოდა  
დიდი მგოსნის ლექსთა სტრიქონები:

სამშობლოვ, მარად მსასოვარი,  
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,  
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი,  
ყველას რაიმე აქვს სასოვარი...

ხალხმა მთაწმინდამდე მიაცილა.  
იქ, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერ-  
დით დაიდო გალაკტიონმა საუკუნო  
ბინა. აკაკი გაწერელიამ ზუსტად აღ-  
ნიშნა: როცა ვანო სარაჯიშვილს ასა-  
ფლავებდნენ, სიმღერას ასაფლავებ-  
დნენ, როცა ნატოს — სილამაზეს, ხო-  
ლო როცა გალაკტიონს — სიტყვის  
მუსიკალობას, ჰარმონიას ასაფლა-  
ვებდნენო... პოეტი მარად და მარად  
ხალხის გულში განაგრძობს ცხოვ-  
რებას.

საქ სსრ კ. მარტის  
საბ. სახ. რესპუბ.

# ტუნაჩის ფინაჩის ოსთაშისკა

ფერთა ტონალობა იცვლება დამიწის ზედაპირზე მზის სხივთა დაცემის კუთხის შეცვლასთან ერთად. ანალოგიური ცვლილებები ხდება სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებითაც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენს თვალსაწიერ სამყაროს სურათი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურ, განსაკუთრებულ, განუმეორებელ ფერებში წარმოუდგება. წუთების განმავლობაში შეიძლება ზეცის ლაქვარდი იისფრით შეიცვალოს, ცოტა მოგვიანებით კი ყველა ეს იმედის ფერი უკუნმა შთანთქმას. ასევეა ზღვის მომხიბლავი სილურჯეც, რომელსაც უამინდობის წინ მოსაწყენი, კაეშნისა მომგვრელი ცივი — ფოლადისფერი ცვლის.

ბუნების ფერთი აღქმა იმ მანძილზეც არის დამოკიდებული, რომელიც ჩვენი მხედველობის საწყისს მზერის ობიექტისგან აშორებს. ახლო მანძილიდან ტყე მწვანეა, მაგრამ რაც უფრო ვშორდებით მას, მისი ბუნებრივი შეფერილობა ქრება, მტრედისფერ ნისლში გახვეული ლურჯი ფერით იცვლება.

გარდა ამისა, არსებობს ფერთი ტონალობის და ლანდშაფტთა შეფერილობის ცვალებადობათა საერთო პლანეტური, წმინდა გეოგრაფიული კანონზომიერებანი. ევროპაში, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობასთან ერთად, ლანდშაფტთა მწვანე ფერი ცივი მოლურჯო-მწვანე ტონალობიდან თანდათანობით იცვლება თბილი მომწვანო-მოყავისფროსკენ. ეს საერთო მოვლენა უშუალო კავშირშია კონტინენტური კლიმატის შეც-

ვლასთან ზღვის კლიმატით. ლანდშაფტთა ტონალობის მსგავსი ცვლილებები შეინიშნება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობისასაც, იმ შესწორებებით, რაც უკავშირდება გეოლოგიურ და წელიწადის დროთა თავისებურებებს.

მსგავს გავლენას განიცდის წყალიც: ზღვები, ტბები, მდინარეები. ამინდთან ერთად, რომელიც გარკვეული ზონალური მდგრადობით ხასიათდება, ისინიც იცვლიან თავიანთ ფერთს ტონალობას. ამიტომ სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვა ფერთი ტონალობა ჭარბობს. მაგალითად, ბალტიის ზღვისთვის დამახასიათებელია მომწვანო-ყავისფერი ან მუქი მწვანე ფერი, შავი ზღვისთვის — ღია-მწვანე ფერი, ხმელთაშუა ზღვისთვის — ლაქვარდისფერი.


ფერებისა და საღებავების რეალურ სამყაროში ზოგჯერ ადგილი აქვს ზღაპრულ, ფანტასტიკურ მოვლენებსაც, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ ადამიანი, გზა-კვალი აურიონ, სულ სხვა რეალური სამყაროს ილუზია შეუქმნან მას. ეს განსაკუთრებით იტქმის უდაბნოს მირაჟებზე. ისინი განსაკუთრებით რელიეფურნი არიან ზაფხულის ცხელ შუადღეზე. ხდება ხოლმე, რომ ხვატით შეწუ-

ხებულ მოგზაურებს ჰორიზონტზე მთელი სიცხადით წარმოუდგებათ წალკოტად აყვავებული ოაზისები სახლებით, ციხესიმაგრეებით დამშვენებული ქალაქებით, მოშრიანე ტყე, მოციმციმე ვარსკვლავები. ამ მოჩვენებით ეფექტს ქმნის თბილი ჰაერის ნაკადში გამრუდებული სინათლის სხივები. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ემოციებისათვის მთავარია აღწერილი მოვლენის არა არსი, არამედ ჩვენზე მოხდენილი ეფექტი.

შეიძლება ვილაპარაკოთ მთვარეანი ღამის თავისებურებაზედაც. ამ შემთხვევაშიაც ბუნებას, გარემოს დაჰკრავს ხოლმე ჩვენთვის რალაც გამოუცნობი, იღუმალი, უჩვეულო ელფერი.

როგორც წესი, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფერებისა და მათი ტონალობის შეფასების მთავარ კრიტერიუმად მიღებულია ბუნება და მისი მოვლენები. უწინარესად ეს ეხება მცენარეთა სამყაროს. რაიმე საგნის ფერთი ღირსების აღნიშვნისას ყველაზე ხშირად ვხმარობთ მცენარეთა შემდეგ ფერებს: ვარდისფერს, ღიმილისფერს, ალუბლისფერს, ყაყაჩოსფერს, ყოლოსფერს, იისფერს, ყავისფერს და ა. შ. მინერალების სამყაროდან — იაგუნდისფერს, ლალისფერს, ზურმუხტისფერს, ქარვისფერს და სხვ., გლობალური ობიექტური მოვლენების სამყაროდან — ცისფერს, მწვამულს. არჩევენ ზღვისფერს, ოქროსფერს, რძისფერს, კვამლისფერს...

სამყაროს ესთეტიკური აღქმისთვის ფერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ფერის აღქმა სუბიექ-



ბახმარო.

ტურია, გაცილებით უფრო სუბიექტური, ვიდრე საგანთა ფორმების, სივრცისა და სხვათა აღქმაა. აქ მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფერთი მხედველობის სიმახვილეს, ესთეტიკურ გემოვნებას, ინტელექტს და სხვ. ცნობილია, რომ თვალხილულთა შორის არიან ფერების წინაშე ბრმები, ე. წ. დალტონიკები. რაც შეეხება ფერების ნორმალურად მხედველ ადამიანთა ძირითად მასას, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავის ტვინის მხედველობის მარეგულირებელი ცენტრებ-

არჩევენ 150 ფერსა და ფერთი ტონალობას. მაგრამ ასეთები ცოტანი არიან.

სხვადასხვა ფერისადმი სვი თუ კარგი განწყობა პიროვნების პირადი ესთეტიკური გემოვნების საჭიროება. მიუხედავად ამისა, ფერებისადმი სუბიექტური დამოკიდებულების აბსოლუტიზირება არ იქნებოდა მართებული. სხვადასხვა ფერზე მეტ-ნაკლებად დაკანონებული შეხედულებები არსებობს. ადამიანებს ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების განთიადისას სჯეროდათ ფერის მაგიურობისა. დღესაც, ჩვეულებრივ ცხოვრებაში ხშირად ვიტყვით ხოლმე, რომ ოპტიმისტი ცხოვრებას ვარდისფერი სათვალთო უყურებს, ხოლო პესიმისტი — შავით. აქედან გამომდინარე ისმება კითხვა — ნუთუ ფერები მართლა მოქმედებს ადამიანის განწყობილებაზე, გრძნობებზე, აზრებზე? მეცნიერება ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა.

თითოეული ფერი თავისებურ რეაქციას ახდენს ადამიანის ტვინზე. მაგალითად, ლურჯი ფერი იწვევს სიმშვიდეს, კმაყოფილების გრძნობას, მუქი-ლურჯი ან მომწვანო-ლურჯი — უშიშროების გრძნობ-


ბას. შეუძლია თუ არა ფერს პირდაპირი ზემოქმედების აღდგენა ადამიანზე? გამოკვლევებით დადგინდა შემდეგი: როდესაც უკიდურესად აღზნებულ ადამიანს ბრდვიალა-ვარდისფერ ოთახში ათავსებენ, იგი სწრაფად მშვიდდება და რაული ეკიდება.

წითელი ფერი კარგის, დიდებულის, ხარისხობრივად სხვაზე უპირატესის სიმბოლოაა მიჩნეული. შავი — ღრმა მწუხარების, მწვანე — ახალგაზრდობის, სიციცხლის, ლურჯი ან ცისფერი ოცნების სიმბოლოაა მიჩნეული.

ბუნების ფერთა პოეზია, უწინარეს ყოვლისა წლის სეზონების მიხედვით შეიგარძნობა.

ნებისთ თუ უნებლიეთ თითოეული ჩვენგანი წელიწადის დროთა ზღაპრულ გარდასახვას მზეს უკავშირებს. სწორედ ამ დიად მნათობს უპყრია ხელთ ჯადოსნური პალიტრა, სწორედ ის არის შემოქმედი ბუნებრივ ფერთა სასწაულებრივი თამაშისა.

**არნოლდ გეგეჰორნი,**  
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ბის განვითარების ხარისხით. მაგალითად, ყველაზე გავარჯიშებულ მხედველობის მქონე ადამიანები

**ჩაბი ღაბით ილიანი**

**შეგონებანი:**

ვამბობთ: „ვფიქრობდი, ვფიქრობ, ვიფიქრებ“ — ეს სიბრძნის პირველი საფეხურებია. არიან ადამიანები, რომლებმაც არ იციან, რომ კიბე უსაფეხურებოდ არ არსებობს. ახალგაზრდობა აბობოქრებული ზღვაა, სიბრძნე — მშვიდი ოკეანე.

**რა არის უველაზე ძვირფასი**

ხანდაზმულობას მიღწეული ბრძენთაბრძენი ახიკარი ნაშუადღევს სასახლის პარკში მერხზე იჯდა. მასთან ორი მოკამათე მივიდა, ჰკითხეს, რა არის ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასიო.

მან სიყვარულით უპასუხა: — ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ყველაფერზე ძვირფასი ამ ქვეყნად სამშობლოა, სამშობლო, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, სადაც შევქმენით ჩვენი წმინდა კერა და სადაც ცხოვრობს ჩვენი ამაყი ხალხი.

**შეგონებანი:**

უსამართლობა უდიდესი დანაშაულია. კანონი გულისა და სინდისის ძახილია ყველა დროში და ყველასათვის.

**სიცელქიდან სიბრძნემდე**

ბრძენთაბრძენი ახიკარი ამბობდა: — სიცელქე ბავშვობაში — ჭკუაა მოწიფულობაში; ხოლო ჭკუა მოწი-

ფულობაში — სიბრძნეა სიბერისას, ოღონდ აუცილებელია მათი მართვა.

**ვინ არღვევს კანონს**

ბრძენთაბრძენ ახიკარს ჰკითხეს: — ვინ ჩაითვლება, შენი აზრით, კანონისა და მართლწესრიგის ყველაზე საშიშ დამრღვევად? — ხარბი და თავაწყვეტილ ვნებებს აყოლილი ადამიანო, — მიუგო ახიკარმა.

**შეგონებანი:**

გიყვარდეთ დედასამშობლო! მას შია თქვენი წარსული, აწმყო და მომავალი! სამშობლო თვალის სინათლეა!  
თარგმან მარინა ფერიფილია



# მეა ხელისგულზე



ნორკ კორკასონდონდოთა ჟურნალი № 10

## გ ა ვ ვ ვ მ ბ ა

ვილაცამ დახატა  
სივრცე უსასრულო  
თეთრი ყვავილები  
და გზა...  
ნახატს კი ეწოდა  
ლამაზი სახელი:  
„ბ ა ვ ვ ვ მ ბ ა“.

## ქ ა რ ი

თითქოს რაღაცას დაეძებს ქარი,  
რომ ვერ იპოვის, გაბოროტდება,  
ხეებს უნაზეს რტოებს დაუმტვრევს,  
მერე კი სადმე განმარტოვდება  
და ალბათ ცოდვებს მოინანიებს.

ნანა კვაზილავა,

ქ. ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლთან არსებული ნორკ შემოქმედთა წრის „კვირტების“ წევრი.

## წვიმს

წვიმს. გადაუღებლად წვიმს. ასე იცის შემოდგომის წვიმამ.

გაკვეთილები დამთავრდა, ყველა ნელ-ნელა გაიკრიფა ოთახიდან. დავრჩი მარტო ფიქრებთან.

ფანჯრიდან მოჩანს ორი ჭადარი, ფოთლებშემოძარცული, ტოტებგადახვეული. მათ უკან თხილნარია... აქა-იქ გუბეებია. ვცადე დამეხატა ეს პეიზაჟი, მაგრამ ვერ შევძელი — მხოლოდ ორი უშნო ბოძი გამოვივიდა...

გაივლის წლები, ჩემს მერხზე სხვა დაჯდება, შემდეგ კიდევ სხვა... ალბათ რომელიმეს თვალს მოსტაცებს შემოდგომის წვიმიან ამანდში ეს პეიზაჟი, დაეუფლება სურვილი რომ დახატოს, და ალბათ დახატავს კიდევც...

წვიმს... გადაუღებლად წვიმს. ასე იცის შემოდგომის წვიმამ.

ცხელა... ზღვის სანაპიროზე ხალხი ირევა. მზისაგან მოფარებული ადგილი ამოვირჩიე და გავყუჩებულურჯ, უკიდევანო სივრცეს.

„რამხელა!“ — ვფიქრობ ჩემთვის.

თითქოსდა ცოტათი დაცხრა აღმური, მოსაღამოვდა. „მზე უნდა დავისვა ხელისგულზე, — ვფიქრობ მე. — როგორმე უნდა დავისვა. სიოცარია, როგორ ახერხებს დედიკო ამას?“ ვეხვეწები მასწავლოს, მაგრამ დედიკო მხოლოდ იცინის — გაიზრდები და შეძლებო.

„დედას თუ შეუძლია, მეც უნდა შევძლო“. დედა გასცქერის ზღვას. ველოდები, როდის მეტყვის: — აბა ნახე, როგორ მიზის მზე ხელისგულზეო. მაგრამ დედა ხმას არ იღებს. ვდგები მის შორიასლოს და ხელებს წინ ვიწვდენ. ცალ თვალს ვკვუტავ და მარჯვენა ხელს ვაყოლებ მზეს. როდესაც ჰორიზონტის ხაზი მზის დისკოს პირდაპირ გავაჩერე, დავინახე, მზე როგორ გადმოვიდა ჩემს ხელისგულზე.

— დედიკო! — ვყვირი მთელი ხმით, — მზე! მზე ხელისგულზე!

დედიკო იცინის.

მე საოცრად ბედნიერი ვარ.

ეთერ მაჰაჯარიბა,

ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლთან არსებული ნორკ შემოქმედთა წრის „კვირტების“ წევრი.

## უამოსხვაა ტყუი

ერთ უღრან ტყეში, ბებერი წიფლის ძირას გათხრილ სოროში, ცხოვრობდა მელია. იქვე ახლოს, მის მეზობლად, თავისი მოხერხებულობით ცნობილი კურდღელი სახლობდა.

ტყის ყველა ბინადარმა იცოდა, რომ მელია ქათმებს იპარავდა, მაგრამ უბედურება ის იყო, ვერასოდეს ვერავინ წაასწრო.

ერთ დღეს მელიამ ტომარა აიღო და სოფლისაკენ გასწია. შუალამე გადასული იყო, სოფელს ღრმა ძილით ეძინა. მელაკულამ ჩამოუარა საქათ-

მეებს, ტომარა ქათმებით გაწავსო და უკან გამობრუნდა. ყურადღება რომ არ მიეპყრო, ვითომც აქ არაფერიაო, ნელი ნაბიჯით, არხინად მიდიოდა. ტყის პირას წყაროს რომ მიუახლოვდა, კურდღელს შეეფეთა. არ ესამოვნა, მაგრამ რა ექნა?...

— გამარჯობა, ძმობილო! — მიესალმა ნაძალადევი ღიმილით.

— ვაგიმარჯოს. ეგ რა მოგაქვს? — კურდღელმა ტომარაზე მიუთითა.

— ნათლიდედამ დამპატიჟა, ქეიფი ჰქონდა, დიდებული სუფრა გაეშალათ. რაც ვჭამე — ვჭამე რაც არა და — გამომატანეს. შენ საითლა გაგიწევია ასე უთენია?

— როგორ გითხრა, — დაცქვიტა ყურები კურდღელმა, — მეგობრებმა ბოსტანში დამპატიჟეს, შემომითვალეს, რომ არ მოხვიდე, ძალიან გვეწყინებაო.

ასე საუბრობდნენ, როცა უცებ კურდღელს ენა დაუფრქველდა ტყუილების გამო, მელიას კი თათი — ქურდობის გამო. მათ ჯერ ერთმანეთს დაუწყეს დაცინვა, შემდეგ კი მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და გაჩუმდნენ, მაგრამ გვიანდა იყო.

კურდღლისა და მელიას უბედურებას ზეზე შემოსკუბებული ყვავი შეესწრო. მან ხარხარი ატეხა, ორივეს თავზე დასჩხავლა, ტყეს მიაშურა და ელვის სისწრაფით მოსდო ეს ამბავი ყველა ფრინველსა და ცხოველს.

გათენდა. მზემ ოქროს ჩქერში გახვია ქვეყანა.


ქურდბაცაცა მელია და მატყუარა კურდღელი წყაროსთან საცოდავად ისხდნენ და სირცხვილისაგან მწარედ მოსთქვამდნენ.

ტყის ბინადარნი ყოველი მხრიდან აქ მოსულიყვნენ: ნიანგი გენა და ჩებურაშკა, სპილო და მაიმუნი ბიბლო, დათუნია და ზღარბი... მგელსაც გაეგო, გამოქცეულიყო და კურდღელს ემუქრებოდა: „აბა დამაცადე!!!“

დათო ჯაფარიძე,

თბილისის 24-ე საშუალო

სკოლა, VI კლასი.



# დახასიათება

იან რანაძი

ესტონელი მწერალი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი

ირინა ბარანოვა

ბოლო გაკვეთილი ესტონური ენა იყო. გაკვეთილის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კლარკი მასწავლებელმა ბავშვებს მორიგი სიტუაციები მიუძღვნა:

— ახლა — საშინაო დავალება ხვალისთვის! თითოეულმა თქვენგანმა უნდა დაწეროს თავისი მერხის ამხანაგის დახასიათება.

ბავშვებს თვალები გაუფართოვდათ. ეს გაუგონარი რამ იყო და, როგორც ყველაფერმა გაუგონარმა, ამ ამბავმაც შიში მოჰგვარათ.

— არ შეგვიძლია! — წაიღუღუნეს გოგონებმა, — რა ვიცით, როგორ უნდა გვაკეთოთ!

კლარკი მასწავლებელმა ფანქრით დააკაუნა მაგიდაზე.

— აბა, აბა, მეშვიდე კლასო, რა ლაპარაკია! როგორ არა გრცხვენიათ? შვიდი წელიწადი ერთ კლასში ხართ და ერთიმეორეს არ იცნობთ?

მასწავლებელი გავიდა და კლასი დაბნეული დატოვა. მოსწავლეები

უხალისოდ დაიშალნენ და შინისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. ეედი და ტინისი, როგორც ყოველთვის, ლორეიდა ლაიუსთან ერთად მიდიოდნენ. კუდში ედის ძმა ხანესი მისდევდათ. როგორც მეოთხე კლასის მოსწავლეებს შეეფერება, მან თავისი ადგილი იცოდა და არ ცდილობდა უფროსების საუბარში ჩარეულიყო.

საუბარი მხოლოდ საშინაოდ მოცემულ დავალებას ეხებოდა.

— ბიჭებო, რას ფიქრობთ, როდის მოამზადებთ დავალებას?

ეედიმ სახე შეიჭმუნა.

— არაფერსაც არ ვფიქრობ, ნეტა კი მალე მომამზორებინა თავიდან.

ყველამ იცოდა, რომ ეედის წერითი სამუშაო არ უყვარდა, ამიტომ მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, თუმცა არც არავის შეუტანია ეჭვი; მხოლოდ ტინისმა შეიტანა პატარა დამატება:

— იქნება როგორმე გავძვრეთ!  
— ოი, არა, ბიჭებო, ამჯერად ვერ

გავძვრებით!

ლორეიდა ზოგჯერ ჩვესტონურ ამბავს ისე იტყოდა ხოლმე, თითქოს რაიმე განსაკუთრებულ აღმოჩენაზე იყო ლაპარაკი, ახლაც ხმას აუწია:

— არ გამოვა, ბიჭებო! თავი უნდა ვიტეხოთ, მეტი რა გზა გვაქვს. უბრალოდ, არა გვაქვს სხვა გზა.

ტინისმა სხვა მოსაზრება გამოთქვა.

— ეედის მაინც აქვს ერთი პატარა შესაძლებლობა, — განაცხადა მან, — მე შემიძლია მის მაგივრად დავწერო, რომ ტინისი ძალიან თავაზიანი და ყურადღებიანი ბიჭია. მაგას მარტო თავის რვეულში გადაწერა დასჭირდებოდა. გინდა, ეედი?

— არა.

— კი გინდა, მაგრამ ლორეიდას თანდასწრებით ამის თქმას ვერ ბედავ.

ერთ ხანს სამივენი უხმოდ მიდიოდნენ. ეედის წარბები მოეჭმუნა. არც ლორეიდას ეტყობოდა სახეზე კმაყოფილება. მარტო ტინისს უთამაშებდა ტუჩებზე ღიმილი, იგი თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობდა, სულ არ აშინებდა კლარკის მიერ მოცემული საშინაო დავალება.


— მე არ მენანება მეგობარზე კარგის დაწერა, — თქვა ტინისმა. — დავწერ, რომ ეედიმ პატარაობიდანვე გამოამყლავნა შრომისადმი მიდრეკილება.

ეედიმ ახლა უფრო მეგობრულად შეხედა თავისი მერხის ამხანაგს. მას მუდამ ხიბლავდა ტინისის ნიჭი — გატაცებით ელაპარაკნა სრულიად ჩვეულებრივ ამბებზე. შრომისადმი მიდრეკილება — ეს ისე ედერდა, როგორც გაზეთში — უბრალოდ, ნათლად და ლამაზად. ოღონდ, შეიძლება ეს მხოლოდ ეედის ეჩვენებოდა ასე, ასეა თუ ისე, ლორეიდამ დაუხსტება მოინდომა:

— რაში გამოიხატება მისი ეს მიდრეკილება?

ტინისმა ფართოდ გაიღიმა.

— შენ ყოფილხარ მაგათთან დიდ ოთახში?



— ვყოფილვარ.  
— საქანელა-სავარძელზე მჯდარხარ?

— ვმჯდარვარ.  
— მაშინ, ალბათ, შეამჩნევდი, რომ ამ სავარძელს სახელურები მომძვრალი აქვს. ეს ამის ნამუშევარია. — ტინისმა ეედიზე მიუთითა.

— მე მაშინ ოთხი წლისა ვიყავი, — ჩაიბურტყუნა ეედიმ, — ვილკას ხერხი უპატრონოდ დაეტოვებინა.

— მეც სწორედ შენს ადრეულ ბავშვობაზე დავწერ, — ჩაიხიბითა ტინისმა. — თუ, შენ გინდა, რომ ოთხი წლისაზე სხვანაირად ვთქვა?

— მამ, — ჩაიბურტყუნა ეედიმ. მან თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა, თუმცა არა, ეს მთლად ასე არ იყო. მას უნდოდა, რომ ტინისს არ ეხსენებინა გაფუჭებული სავარძლის ამბავი, მაგრამ თავმოყვარეობა არ აძლევდა ნებას, ეს ეთხოვა. — მამ, — კიდევ ერთხელ გააგრძელა ეედიმ და ფეხსაცმლის წვერით თხრილში გადაუძახა გაყინულ მიწის გორბს.

— საერთოდ დახასიათებაში საჭიროა დაიწეროს, როგორი ადამიანია, — ჩაერია ლორეიდა, რომელმაც შეამჩნია, როგორ მოიღუშა ეედი; მას ძალიან უნდოდა, საუბარი ეედის სასარგებლოდ წარმართულიყო.

— დახასიათებაში, — გაიმეორა ლორეიდა, — უფრო მეტი უნდა დაიწეროს ადამიანურ თვისებებზე.

ამის თქმით მან ეედის დათვური სამსახური გაუწია.

— ამაზეც დავწერ, — თავაზიანად დაჰპირდა ტინისი. — ეედის ხასიათში მე ბევრი ქალური თვისება შევნიშნე.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ეედიმ გაბრაზებაც კი ვერ მოასწრო.

იგი შეჩერდა და თავისი მერხის ამხანაგს მიაშტერდა, თითქოს უნდოდა გაეგო, სრულ ჭკუაზე იყო ის თუ არა. ლორეიდაც გაჩერდა.

ეედი ყველაზე ღონიერი ბიჭი იყო მეშვიდე კლასში. როცა ვინმესთან ანგარიშის გასწორებაზე მიდგებოდა საქმე, მუშტების ტრიალი

არ სჭირდებოდა, უბრალოდ მოწინააღმდეგეს ხელზე ხელს მოუჭერდა მარწუხივით. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მასში ქალური?

ტინისმა ახსნა:

— მე შევამჩნიე, რომ ეედი მწველავის პროფესიისადმი იჩენს ინტერესს. ამ ნათქვამმა სიცილილა მოკვარა ეედის.

— ხა-ხა-ხა! — გაიცინა მან ისე, როგორც ზოგჯერ თვითმოქმედი მსახიობები იცინიან ხოლმე სცენაზე. — ეგ რომ დაწერო, მაშინვე ორიანს მოვარტყამენ.

— რატომ?

— ტყუილისათვის. როდის იყო, მწველავის პროფესია მაინტერესებდა?

მაგრამ ტინისმა იცოდა, რასაც ლაპარაკობდა.

— მაშ ის ვინ იყო, გასულ კვირას ჭრელას რომ წველიდა? ვინ რეცხავდა იმავე კვირას თეთრეულს? საჯიმო ფერმაში ვინ უვლიდა ლიზიი სარმიკუსკოს ძროხას, როცა სარმიკუსკო კირკლაში დაბადების დღეზე წავიდა და თავის დროზე არ დაბრუნდა?

ეედი ისე მიაბიჯებდა გზაზე, რომ უკვე აღარ არჩევდა მშრალ ადგილს, წახრილი მიტოპავდა გუბებში, თავს ისე გრძნობდა, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო.

მაგრამ დამნაშავესაც აქვს თავის დაცვის უფლება, ანდა სასჯელის შემსუბუქების იმედი.

— მთელი ეგ ამბავი, რაც ფერმაში მოხდა, შენ ჩემზე ნაკლებად არ იცი, — თქვა მოღუშულმა ეედიმ. ის ტინისს ელაპარაკებოდა, მაგრამ რატომღაც ლორეიდასკენ შეებრუნდა.

— ავარია მოხდა... მექანიკოსი ვერ იპოვნეს... მე მოსაწველად არ მივსულვარ, ქალებმა მილის შესაკეთებლად დამიძახეს. როდესაც შევაკეთე... ლიზიი ჯერ კიდევ არ ჩანდა... მოწველა კი გვიანდებოდა... მაგრამ მე მაინც არ მომიწველია, მხოლოდ მივუმარჯვე მწველავს ჯიქანი.

სამწუხაროდ, ეედის ნათქვამს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუ-

ხდენია ტინისზე. ტუჩებზე მას წინანდებურად დამცინავი ღიმილი უთამაშებდა.

— საუცხოოა, — თქვა ტინისმა, — ვერაფერს იტყვი. მაშ, არ წველიდი? არა? თუ არა, მაინც ვინა წველიდა ნეტავი?

ამჯერად მან სწორი პასუხი მიიღო.

— ელექტრობა, — თქვა ეედიმ.

ტინისს ლამის თმის ძირებიც კი გაუწითლდა, ამაში ალბათ დამნაშავე ეედი იყო, რომელმაც ოდნავ გაიღიმა; ლორეიდამ ჩუმად ჩაიფრუტუნა, ხანესმაც ეჭვიანად დაიწრობინა.

— ეგრე ხომ? — გესლიანად წარმოთქვა ტინისმა. — მაშ ელექტრობა, არა? შენთან სახლშიც ასეა? რომელი მარკის საწველი მანქანა გიდგათ თქვენს ძველ ბოსელში? იქნებ მიუღერ-ბეკერი? ან რომელი მარკის სარეცხი მანქანა გაქვთ? იქნებ, ფორძონ-ლორძონი? — გეგონებოდა, ტინისი მერხის ამხანაგს კი არ ელაპარაკებოდა, არამედ დაუძინებელ მტერს.

ეედის ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ჭრელა მე ხელით მოვწველე, — წყნარად თქვა ეედიმ. — სარეცხიც მე დავრეცხე, რადგან დედას თითში ხიჭვი შეესო.

— მე ჩემს სიცოცხლეში ერთი ძროხაც კი არ მომიწველია, — დაიწყო ტინისმა, მაგრამ უცბად გაჩუმდა. აქ ინიციატივას ეედი დაეთვლა.

— გაგვაკვირვე, რა! შენ სამი და გყავს შინ.

ერთ ხანს ხმაამოუღებლად მიაბიჯებდნენ. მხოლოდ ლორეიდა მიიღინებდა, თან ფარულად უთვალთვალეებდა ბიჭებს. ყველაფრით ჩანდა, რომ გუნება არ გაფუჭებია.

მაგრამ ტინისზე ამას ვერ იტყოდით. იგი კამათში ყოველთვის გამარჯვებას იყო ჩვეული. საბოლოო სიტყვა მას უნდა ეთქვა ხოლმე, ამჯერად კი დარწმუნებული არ იყო, ვის დარჩა ბოლო სიტყვა. მაგრამ ტინისი ასე იოლად იხტიბარს არ გაიტყვდა, რა გარემოებაც არ უნდა შეხვედროდა. თუ საჭირო



იყო, მას შეეძლო უარი ეთქვა თავის ნათქვამზე და საუბარი ერთიანად შეეტრიალებინა.

— ნუ გეშინია, — თქვა მან, — არ დაგწერ, როგორ წველიდი ძროხას, ვიხუმრე, ძმაო, დაწყენარდი. არც იმას დაგწერ, რომ ხასიათში ქალუღი თვისებები გაქვს, ამის დამალვა მერხის მეზობლის წმინდა ვალია. იბრჩით, იმას დაგწერ, რომ ვაჟკაცი ხასიათი გაქვს... რომ დილით, ადგები თუ არა, ცივ შხაპს ლებულობ, ყინულივით ცივი წყლის ქვეშ დგები. გესმის, ლორეიდა! ამისათვის ხეზე გახვრეტილი კასრი უყიდა. ჰო, მერე ორჯერ შემოუბრუნე ხოლმე საძოვარს...

— ერთხელ... — თავმდაბლად შენიშნა ეედიმ.

— ორასი ჩაჯდომა...

— ასი, — შეუსწორა ეედიმ.

— სამოცდათხუთმეტჯერ წელში

მოხრა!

— ორმოცდაათჯერ...

— დაბოლოს, შტანგა! — უფრო და უფრო ეშში შესულმა წამოიყვია ტინისმა. — აჭიმვა, ატაცი, აკვრა! ბიძგი! მაგრამ შტანგა საიდანღა გაჩნდა? ყოჩაღ, ყოჩაღ, ეედი! თავისი ვაჟკაცი თვისებების წყალობით კოლმეურნეობის სახელოსნოდან აწაპნა შტანგა.

ტინისმა იცოდა, როდის ელაპარაკა და როდის გაჩერებულყო. ახლა ის ისე დადუმდა, თითქოს პირი ამოუქოლესო. ეს განსაკუთრებულად ეფექტური პაუზა იყო. ისეთი სიჩუმე იდგა, მას ტოროლას გალობაც კი ვერ არღვევდა.

— მმმ, — ამოღერდა ბოლოს ეედიმ. — მმმ... სახელოსნოდან კი არა... სახელოსნოს გვერდით ეგდო...

— პარაგრაფი 89, -ზეტი — თანაგრძობით საესე ხმით წარმო-

თქვა ტინისმა, — საზოგადოებრივი საკუთრების წინასწარი განწესებით დატაცება.

— ძველი ურიკის ღერძისა? ის ხომ იმათ საერთოდ არა სჭირდებოდათ!

— სამიდან ხუთ წლამდე, — შენიშნა ტინისმა და, ლორეიდა რომ არ ჩარეულიყო, უფრო მეტად გაუწყალებდა გულს თავის საცოდავ მერხის ამხანაგს.

— დახასიათებაში ისეთს არაფერს წერენ, რომ ადამიანს ჩრდილი მიაყენოს. მე ეს ვიცი. მე ვნახე უნო სირიეს დახასიათება, სწორედ ბოლო ჩხუბის შემდეგ ხე-ტყის სახერხიდან რომ გააძევეს, იმის მერე. ჰოდა, დახასიათებაში უნოს თაოსნობაზეც ეწერა, ყამირზე მიღებულ ჯილდოებზეც, მაგრამ გამყიდველს რომ თავი გაუტეხა და ფარდული გადაწვა, ეს ნახსენებიც არ იყო.

ბავშვების საქმიანი საუბარი სწორი იყო. და, რაც ყველაზე მთავარია, მან აიძულა ისინი სერიოზულად დაფიქრებულებიყვნენ მომავალ დავალებაზე. იცოდნენ, კადარიკ მასწავლებელს ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ ვერ იტანდა დაუდევარ ნამუშევარს. ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც წესი და რიგია.

— ჯილდოებზე ჩვენ დასაწერი არაფერი გვაქვს, — შენიშნა ტინისმა. — ხოლო რაც შეეხება თაოსნობას, ამაზე შეიძლება ვილაპარაკოთ; ეედის თაოსნობები თავზე საყრელად აქვს. მთავრად პაიუ აქამდე ვაოცებულია, რანაირად მოხვდა მისი „ბელორუსი“ მალაზიიდან გარაჟში.

აქ საკითხავი არაფერი იყო, მთელმა სოფელმა იცოდა მთავრად პაიუს ტრაქტორის ისტორია. მთავრად ტრაქტორით წავიდა არყის საყიდლად. შევიდა მალაზიაში, ყველაფერი იყიდა, მაგრამ ველარ დაბრუნდა, რადგან ამასობაში ტრაქტორი გაქრა. მილიციამ მხოლოდ სადამოს აღმოაჩინა ის. არავის აზრად არ მოსვლია, ტრაქტორი სახელოსნოს სადგომზე ეძებნათ.

საკითხავი მართლაც არაფერი





იყო, მაგრამ ლორეიდან მაინც იკითხა:

— ეედი, მაინც რატომ გააკეთე ეს?

— ის ხომ უზომოდ მთვრალი იყო.

— გეშინოდა, ვინმე არ გაეტანა?

— არა. ხალხი გზიდან გადაეცლებოდა. მეშინოდა, ახალი ტრაქტორი არ დაემტვრია.

— ნეტავი იქა ვყოფილიყავი და მიარტისთვის შემეხედა, — გაიცინა ლორეიდან. — რა თქვა ნეტავ, როცა ტრაქტორი აღმოაჩინა...

ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რას იტყოდა მიარტი. ლორეიდან უცბად შეწყვიტა ლაპარაკი.

— ბიჭებო, ეგ ხომ საშიში იყო; სიმთვრალეში მიარტი პაიუ საშინლად ავია, შემთხვევით იმ დროს რომ გამოსულიყო მალაზიიდან, ხომ ოთხში ამოიღებდა ეედის.

— არავინ იცის, ვინ ვის ამოიღებდა ოთხში, — წაიბურტყუნა ეედიმ, მერე კი ხმამალა თქვა:

— ტრაქტორი მალაზიიდან საკმაოდ მოშორებით იდგა, „ბელორუსი“ სწრაფად დადის, მიარტი ვერ დაეწეოდა.

ტინისი დიდხანს დუმდა, იგი მაშინ გაჩუმდა, როცა სწორ გზაზე გავიდნენ, ბოგირზე გადასვლას აპირებდნენ და ეედიმ ლორეიდას ჩანთა გამოართვა. ჩანთა ახლაც მას ეკავა ხელში, ორი ჩანთის ერთად ტარებას რა უნდა, როცა ყოველ დილით შტანგას წევს კაცი.

მაგრამ ჩანთების დანახვაზე ტინისს მოაგონდა, რომ ჯერ კიდევ არ ელაპარაკნათ ერთ რამეზე.

— კარგი, — თქვა მან. — როგორც არის... შეიდი წელი ერთ მერხზე... მე მოვალე ვარ ვიცოდე, რა და როგორ... მაგრამ ერთი რამე, ეედი, თვითონ უნდა მითხრა, რა დავწერო შენს ოჯახურ მდგომარეობაზე?

ეედი პირდაღებული მიაჩერდა ტინისს.

— რა ოჯახურ მდგომარეობაზე?

— აი, მაგალითად, უცოლო ხარ თუ ცოლიანი?

ეედიმ თავისუფალი ხელი ცხვირზე მოისვა — ეს ნიშნავდა, რომ

ფიქრში წავიდა. ის მართლაც ფიქრობდა, ოღონდ რა თქმა უნდა, არა თავის ოჯახურ მდგომარეობაზე, არამედ იმაზე, თუ რა ეპასუხნა ტინისისათვის.

— ნუ ლაყბობ, — თქვა ბოლოს. მაგრამ ტინისს ასე უბრალოდ ვერ გააჩუმებდი.

— რას ქვია, ვლაცობ. ფაქტები თვითონ დალაღებენ. იქნებ მითხრა, რომ ორშაბათ საღამოს წისქვილის ჯებირზე ვიივი როოპალოს არ ეკურკურებოდი?

ეედი აშკარა გაცხებით შეპყურებდა ტინისს, უნდოდა ეთქვა, რაებს ჩმახავო, მაგრამ ველარ მოასწრო, ლორეიდა მობრუნდა და და ეედის ხელიდან თავისი ჩანთა გამოგლიჯა.

— მომეცი აქ! — მისი ხმა სულაც არ უღერდა ისე, ეედის რომ მოსწონდა. და არა მარტო ეედის.

— მომეცი აქ, — გაიმეორა ლორეიდან, ეედი გონს მოეგო.

— როდის იყო, რომ წისქვილის ჯებირზე ვიივის ვეკურკურებოდი? — სახელოში სტაცა ხელი თავის მერხის ამხანაგს, — ვინ დაინახა ეგ? რას მიედ-მოედები!

მაგრამ ტინისი სულაც არ ფიქრობდა უკან დახევას.

— არაფერი არ დაიმალება, — თქვა ტინისმა. — თუ გინდა იცოდე, მე თვითონ გნახე. კოლმეურნეობის ავტობუსით ჩაგხარეთ, თქვენ ჯებირზე იდექით და მოაჯირზე გადახრილები წყალს დაპყურებდით.

ეედიმ კვლავ მოისვა ხელი ცხვირზე, ხანესი სულ ახლოს მივიდა უფროს ბიჭებთან და ხარბად უყურებდა მათ ქვემოდან, ლორეიდა მოშორებით იდგა, თავი ისე ეჭირა, თითქოს ეს ამბავი სრულებით არ ეხებოდა, სინამდვილეში კი გაფაციცებით უსმენდა.

— საიდან... საიდან იცი, რომ იმ ხიდზე მე ვიყავი? — ჰკითხა ეედიმ ტინისს.

— ბრმა ხომ არა ვარ. შენ მაშინაც ზუსტად ეს პომპონიანი ქუდი გეხურა, ახლა რომ გახურავს.

— ის საიდანღა იცი, რომ ის გოგო ვიივი იყო?

— სხვა ვინ შეიძლება იყოს... ლიყო. მე კარგად დავიხსენებ... ლი პალტო. თანაც, იგი იქვე ახლოს ცხოვრობს.

ხანესს ერთი სული ჰქონდა, სიტყვა ჩაერთო, და აი, მიეცა ამის საშუალება.

— წითელი პალტო? სხვა გოგონებსაც ხომ აქვს წითელი პალტო...

ეედის გაავებულმა გამოხედვამ აიძულა სიტყვა შუაზე გაეწყვიტა და გაჩუმებულიყო, თან ყოველი შემთხვევისათვის ორი ნაბიჯით უკან დაეხია.

მაგრამ ამჯერად ეედის არავითარი სურვილი არ ჰქონდა უმცროსი ძმისთვის შეეხსენებინა, რომ უმცროსებმა უფროსების საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყონ. იგი ისევ ტინისს მიუბრუნდა.

— გამოდის, რომ ბრმა ყოფილხარ... ყოველ შემთხვევაში, ორშაბათს, გვიან საღამომდე, სახელოსნოში ვიყავი. თუ არა გჯერა, მოხუც მიატიკს შეუძლია დაადსტუროს ეს, წერილობითი მტკიცება გინდა?

ტინისი დაფიქრდა. წერილობითი მტკიცება არ უნდოდა.

— მამასადამე, ეს იყო... დაიცა, როდის იყო, მასწავლებელთან ერთად რომ მივიდიოდი ქალაქში? ჰო... რასაკვირველია... სამშაბათს. სამშაბათს იყო, და სადავო აქ არაფერია, — გამარჯვებულის ხმით დაამთავრა მან. — მეც მყავს მოწმეები.

ამგვარად ჭეშმარიტება აღდგენილია. როგორც ყოველთვის, ბოლო სიტყვა ტინისს დარჩა. ეედი მეტს აღარ დავობდა. ტინისს უნდა ეხეიმა, მაგრამ, ის მაინც წუხდა და თვითონაც არ იცოდა, რატომ!

ლორეიდა კი ერთბაშად შესანიშნავ გუნებაზე დადგა... ჩანთის ტრიალი და უმიზეზო სიცილი დაიწყო. მისი ხმა ისევ ზარივით აწკრიალდა:

— აზოვეთ, რა, საკამათო! თუ გინდათ იცოდეთ, ოჯახურ მდგომარეობას დახასიათებაში არ აღნიშნავენ. უნო სიარეს ორი ცოლი ჰყავს, მაგრამ დახასიათებაში არც ერთი მათგანი არ არის ნახსენები.

მეცხოველეობის ფერმამდე ცო-  
ტადა დარჩა. შიშველ ხეებს შორის  
კოლმეურნეობის ცენტრის ნაგებო-  
ბები გამოკრთა. აქ გზები იყრე-  
ბოდა. ტინისმა მდინარისკენ ჩაუ-  
ხვია. დანარჩენები პირდაპირ უნდა  
წასულიყვნენ.

— მაშ ასე, — სცადა ტინისმა  
გალიმება, — ყველა ჩიტმა თავის  
ბუდე იცის. — მან საკმაოდ მხიარუ-  
ლადაც მოახერხა ამის თქმა. სისუ-  
ლელე იქნებოდა, ისეთი სახით წა-  
სულიყო, თითქოს იჩხუბტეს.

— კადარისკ არ უთქვამს, ბევრი  
დაწერეთო. ჩვენ უბრალო ხასია-  
თები გვაქვს, რა საჭიროა ბევრის  
წერა, ნახვამდის, როგორმე გადავა-  
გორებთ.

მაგრამ, როცა დანარჩენებმა თა-  
ვიანთ გზაზე გასწიეს, ტინისმა თვა-  
ლი გააყოლა მათ, ხედავდა, რომ  
ეედი სულ ახლო და ახლო იწევდა  
ლორეიდასკენ. ხედავდა, როგორ ჩა-  
მორჩა მათ ხანესი, და ერთბაშად თი-  
თქოს თავში ცულის ყუა დაარტყე-  
სო! აკი ლორეიდასაც წითელი პალ-  
ტო ეცვა!

მეორე დილით ტინისი მანქანით  
მოვიდა სკოლაში, ზარის დარეკვა-  
მდე გადაწერა თავისი ნამუშევარი.

„ედუარდ ტამევესკის 1958 წლი-  
დან ვიცნობ, — წერდა ტინისი. —  
ედუარდ ტამევესკი კარგი ამხანაგია,  
კეთილსინდისიერად ეკიდება თავის  
მოვალეობას. მუშაობაში და სხვა სა-  
ქმიანობაში ავლენს ინიციატივას. ის  
სახელოვანი ლენინური ორგანიზაცი-  
ის წევრია“.

თითქოს რაღაც აკლდა ნაწერს.  
ტინისმა პირში ჩაიდო ბურთულია-  
ნი კალმის ბოლო და ერთ ხანს ჩა-  
ფიქრდა.

და უცებ მიხვდა, რაც აკლდა.

„ედუარდ ტამევესკი, — დაწერა  
ტინისმა, — დაჯილდოებულია დიპ-  
ლომით ტომრით სირბილში“.

ცნობისმოყვარეებმა მერხის გარ-  
შემო მოიყარეს თავი. ვილაცამ იკი-  
თხა:

— თვითონ ეედი სად არის?

— ჰეჰ, — თქვა ტინისმა. — რო-



დის ყოფილა, რომ სკოლაში გამო-  
ჩენილიყოს, როცა საშინაო დავა-  
ლება გვაქვს!

თარგმნა მანანა სიღამონიძე



ტომდაც მე ამირჩიეს. რაზმში  
ყველაფრის გაკეთება მინდოდა,  
მაგრამ არ ვიცოდი, რით დამე-  
წყობა მომეწვია, მაგრამ ბავშ-  
ვები აღრე არ მოვიდნენ; არ-  
ჩვენები უნდა მოწყობილიყო,  
მაგრამ პიონერსკლემდევანელი  
არ იყო. რა ვქნა, რა ვიღონო,  
— არ ვიცი. კვდლის ვაზეთიც  
ვერ გამოვუშვით სხვადასხვა  
მიზეზების გამო. მირჩიეთ, რა

ლაძის პიონერული აქტივის  
მომზადებისა და ვადამზადების  
პიონერთა ბანაკ „ვარსკვლავე-  
თში“ ჩამოსული რაზმეულების  
და რაზმების საბჭოების თავ-  
მჯდომარეებს ვავაძანით. მათ  
შორის ბევრს პირველად ჰქო-  
ნდა მიღებული პიონერისათვის  
ეს მეტად საპატიო და საპასუ-  
ხისმგებლო დავალება, ზოგს  
მეორედ, და ზოგსაც მესამედ.  
„ვარსკვლავეთში“ მათ ორი

### ბავშვებს უნდა უყვარდენ

ჩემი ქალაქიდან გამოგზავნი-  
ლმა წერილმა ამაღელვა, არც  
კი ვიცი, რა ვურჩიო ისეთ რა-  
ზმის საბჭოს თავმჯდომარეს,  
რომელიც რაზმის საქმეებს  
თავს ვერ ართმევს. ამ მოვა-  
ლეობის შესასრულებლად ისე-  
თი პიონერი უნდა ავირჩიოთ,  
რომელიც თანარაზმელებს შო-  
რის დიდი ავტორიტეტით ხარ-  
გებლობს, რომელიც უყვართ  
და პატივს სცემენ. არ ვამარ-  
თლებ მისი რაზმის პიონერებს.  
რაკი ამირჩიეს, მხარშიც უნდა  
ამოუდგნენ, რაზმის მეთაური  
მებრძოლი ხასიათისა უნდა  
იყოს. მას არაფრის არ უნდა  
შეეშინდეს, არ უნდა შედრკეს;  
ჩემის აზრით, სწორედ სიმწე-  
ლეებთან ბრძოლაში ყალიბდებ-  
ა აქტივისტის ხასიათი.

მ. ნაპაშიძე,  
ფოთი, 1-ლი სკოლა.

### იძნებ ბაბამაძე?

ბავშვებს გულკეთილად მო-  
პყრობა სჭირდებათ. თანარაზ-

## კანათიჭი ვარსკვლავეთიდან

ბასუხი შპაიტხვაზა.  
პიონერული აპტივის კლუ-  
ბის — „კომუნის“ ბავშვ-  
ლელი შპარბა კომპაზი-  
რულ ძალაზ ბორის ძნე ა-  
ქეში.

მეთაურად აბირჩიეს?  
— ესა იბი ბენდნი!

„მირჩიეთ რამე. ჩემზე კარ-  
გებიც იყვენ, მაგრამ რაზმის  
საბჭოს თავმჯდომარედ რა-

გავაკეთო, პიონერებო, რაზმის  
საბჭოს თავმჯდომარეებო. რო-  
გორ მოვიქცე?“

„კოცონის“ სახელზე გამოგ-  
ზავნილ ამ ბარათს ავტორმა  
არ მოაწერა არც თავისი ვინა-  
ობა, არც მისამართი, ალბათ  
გამბედაობა არ ეყო. კონვერ-  
ტზე დარტყმული ბუჭდით მიე-  
ხვდით, რომ წერილი ფოთიდან  
იყო გამოგზავნილი.

აღნიშნული წერილი კომ-  
კავშირულ ქალაქ ბორის ძნე-

კვირა ჰქონდათ საკამათოდ,  
საოცნებოდ, პიონერული მუ-  
შაობის შესასწავლად. აქტივი-  
სტები ფოთიდანაც იყვნენ.

პიონერულმა აქტივისტებმა  
ამ წერილის თითოეულ პუნქ-  
ტზე, თითოეულ წინადადებაზე  
საქმიანად იმსჯელეს და იკა-  
მათეს.

ბევრმა თავისი მოსაზრებები  
კლუბის სახელზე გადმოცე-  
მულ ბარათშიც გამოთქვა; ვთა-  
ვაზობთ რამდენიმე მათგანს:



მელები იმიტომ არ ამოუდგნენ მხარში თავიანთ თავმჯდომარეს, რომ არჩევის დღიდანვე მუშაობა ალბათ ბრძანებულის გაცემით დაიწყო; საქმეში მომთხოვნელობა საჭირო. რაზმის საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება ერთი და ბრძანება მეორე, მე მეონი, სწორედ ეს ვერ შენიშნა ამ ბარათის ავტორმა და ამიტომაც გაუჭირდა. ან იქნებ ვაამაყდა?

**მამუქა ღარჩია,**  
მასხარაძე, მე-3 სკოლა.

**პტხოვ გადამირჩიონ**

რაზმში მუშაობა რომ აშეწყო, არავინ დაეტოვებ, რომ პიონერული დავალება არ მიმეცა; ისინიც ჯერ-ჯერობით უყოყმანოდ ასრულებენ ნებისმიერ დავალებას. თუ ვერას გავხდები, დასახმებლად რაზმეულის საბჭოს ან საქალაქო შტაბს მივმართავ, თუ შევატყვევ, რომ ვერ ვმუშაობ, ორგანიზატორული ნიჭი არა მაქვს, თანარაზმელებს ვთხოვ აუცილებლად გადამირჩიონ; ჩემს გამო მუშაობა სომ არ უნდა ჩაიშალოს?! ჩემი რაზმის საბჭოს ვთხოვ უფრო პატარა დავალება მომცეს, რომლის შესრულებასაც შევძლებ.

**ნათია კოზარჩია,**  
რუსთაის მე-10 სკოლა.

**ხველა სავახურის გავლით**

წერილის ავტორი რატომღაც ნაძალადევად არჩეული გოგონა მგონია. იქნებ იმიტომ გაუჭირდა, რომ თავიდანვე რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობა მიანიდეს. პიონერმა, რგოლის ხელმძღვანელობიდან დაწყებული, აქტივისტის ყველა საფეხური უნდა გაიაროს; საზოგადოებრივი დავალების შესრულებასაც ასე თანდათან მიეჩვევა.

**ბაია შაიშველაშვილი,**  
ონი, პირველი სკოლა.

**მაც პირველად ამირჩიას**

წელულს პირველად ამირჩიეს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ, ვიცი ეს ჩემგან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მართალი ვითხრათ, გამოუცდელი ვარ. რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები ჩემზე უფროსები არიან, მათი დახმარება მე ნამდვილად მჭირდება, უიმათოდ ვერაფერს გავრდებოდი და ალბათ იმ ფოთელი პიონერებით გამიჭირდებოდა.

წელიწადი წარწევიან, ცხაკაია, 1-ლი სკოლა.

**ქოჩალი თავმჯდომარე გვყავს**

ჩემი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ძალიან ყოჩაღია. მისი თაოსნობით პიონერულ მუშაობაში რგოლი რგოლს ეჯობება. ხშირად ვაწყობთ სხვადასხვა კონკურსებს. თითქმის ყველა მის თაოსნობას მივყვებით. მისი იმიტომაც გვჯერა, რომ ყოველთვის, ყველა საქმეში იგი ჩვენს გვერდით არის, სწავლის მოწინავეა და დისციპლინაინი. რაზმში დიდი ავტორიტეტი აქვს. ალბათ ამიტომ არ უჭირს ჩვენთან მუშაობა. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგებთან კარგ დამოკიდებულებაში უნდა იყოს, მაშინ თანარაზმელებიც მხარში ამოუდგებიან.

**ნანა თავზარჩია,**  
ზესტაფონი, სოფელ ხასხხლის სკოლა.

**წერილმა ჩამაფიქრა**

წერილის ავტორისთვის პასუხის გასაცემად ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელიც მე თვითონ გადამხდა. მე-4 კლასში ვიყავი, რომ რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. ახალბედა ვიყავი და არ ვიცოდი, როგორ დამეწყო მუშაობა. დახმარება კლასის ხელმძღვანელს ვთხოვე. მითხრა, თვითონ უნდა მოახერხო. ამან უფრო დამაბნია. ფარ-ხმალი დავყარე. ამხანაგები ნელ-ნელა ჩამომშორდნენ, მიზეზიც მითხრეს — არ გვეგონა, ასეთი ზარმაცი და არაფრისგამკეთებელი თუ იყავი.

გადაწყვიტე, რაზმი შემიკრიბა, — არავინ გამიკარა, ბოლოს ხერხს მივმართე, სამი გაკვეთილის შემდეგ, შესვენებაზე კარბში ჩავდექი და გარეთ არავინ გაუშვი. კლასის ხელმძღვანელმა მიზეზი მკითხა.

— რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ვარ და მაინტერესებს, რატომ გამირბიან, პიონერულ

მუშაობას თავს რატომ არიდებენ-მეთქი.

ამ პასუხზე მთელი რაზმი აირია, მასწავლებელს სთხოვეს, ახლა მაგის გარჩევის დრო არ არის, დიდ დასვენებაზე უნდა დავისვენოთო. აღარ განერდნენ. მართოდ დარჩენილი, მთელი დასვენება ვფიქრობდი, თვითონ ამირჩიეს, ახლა კი ყურს არ მივდებენ-მეთქი. მაინც არ შევუბუე მათ: ვუკვირდებოდი თითოეულის ხასიათს, ყველასათვის შესაფერისი დავალება მოვიფიქრე, დაავალე კიდევ, ის კი არა, ყველა თავისი სურვილით სხვადასხვა წრეებში გავაერთიანე. ერთი კვირის შემდეგ ჩემი მიცემული დავალება შევახსენე, თანაც მოვკითხე, თუ დადიოდნენ წრეებში და რას აკეთებდნენ. ასე ნელ-ნელა ავაწვეე მუშაობა. მე არ ვიცი, შენ როგორი ხასიათის ხარ, ერთს კი გირჩევ, უპირველეს ყოვლისა, ამხანაგების ხასიათი გაიგე. უფრო მტკიცედ და პრინციპულად მოითხოვე დავალების შესრულება.

**სოფიკო ბაბუხაღია,**  
ზესტაფონი, სოფ. კვალითის სკოლა.

**პიონერულ მუშაობას სწავლა უნდა**

„კრების მოწვევა“, — წერ წერილში. ეს სომ პიონერული მუშაობის არცოდნაა. პიონერი, რომელიც ერთმანეთისაგან ვერ ანხვავებს კრებას და პიონერულ შეკრებას, აქტივში არც უნდა აირჩიონ. მეორეც — ამხანაგებს შორის ისეთი რა დამოკიდებულებაა, რომ მისი ნათქვამი არავის ესმოდეს, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს აბუჩად იგდებდნენ. არ ვამართლებ პიონერხელმძღვანელს, რატომ არ გესმარება?

**ია სოპელია,**  
წალენჯიხა. ჩაის საბჭოთა მეურნეობის სკოლა.

**მერედ რატომ აირჩიეს?**

რატომ აირჩიეს ასეთი პიონერი რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ, თუ მის რაზმში მასზე უკეთესები იყვნენ? თუ ირჩიეს, რატომ შემდეგ მხარა

არ დაუჭირეს? შეკრებაზე რატომ არ გამოცხადდნენ? რატომ არ მოვიდა პიონერხელმძღვანელიც? მამ ვისი არჩეულია ეს პიონერი, რომ ყველამ გარიყა და მართოდ დატოვა?

ჩვენ სკოლაში რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს თვითონ პიონერები ვირჩევთ და მხარსაც ვუჭერთ.

**ნათია ჩხაიძე,**  
ლანჩხუთი, 1-ლი სკოლა.

**პასუხი შაპარბაბ მოსტხოვოს**

იქნებ თანარაზმელებს არ უნდოდათ მისი არჩევა და წყენა ამით გამოხატეს? ჩვენთანაც მოხდა ასეთი რამ. როდესაც რაზმის საბჭოს თავმჯდომარე რაზმის შეკრება გამოაცხადა, ატყდა ერთი ამბავი. ყველამ მოუცვლოდა მოიმიზუნა. ზოგი სპორტულ სექციანო იყო ვითომ წასასვლელი, ზოგი მუსიკაზე, ზოგმა — ცეკვის წრეზე მეჩქარება, და შეკრებაც გადაიდო. ეს რომ კლასის ხელმძღვანელმა გაიგო, გაწყრა.

შემდეგ ასეთი რამ არ განმეორებულა. იქნებ, იმ წერილის ავტორს კლასის ხელმძღვანელისათვის რომ ვთხოვა დახმარება, მისი ხატობით მაინც ყველა დარჩებოდა. ისეთ პიონერს, რომელმაც მისი თუ რაზმის საბჭოს დავალება არ შეასრულა, პასუხი რაზმის შეკრებაზე უნდა მოსთხოვონ, ამ უფლებას კი ჩვენ ყოველთვის ვერ ვიყენებთ.

**ლელა ნიშარაძე,**  
კასპი, 1-ლი სკოლა.

**არ ყოფილა შენი რაზმი მებობრული**

ორი წელი ვიყავი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

თავიდან არც მე დამიჯერეს თანარაზმელებმა, მაშინ რაზმის ხელმძღვანელი მომეხმარა, მისი დახმარებით პიონერის წითელი ყელსახვევის, პიონერთა ორგანიზაციის ისტორია გავაცანი ამხანაგებს. პიონერები დაინტერესდნენ. მალე თვითონაც სიამოვნებით ჩაერთვნენ მუშაობაში. არ ყოფილა თქვენი რაზმი მეგობრული.

**ნინო პაპანაშვილი,**  
წითელწყარო, მანხანაი.

## ყველაფერს ტბილი სიტყვით უმალავს

ჯერ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი, შემდეგ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს; როცა პიონერებმა დამასახელეს და ნდობა გამომიცხადეს, იცი როგორ გამიხარდა? შენ პიონერებს ბრძანებით, ქედმაღლურად არასოდეს მიმართო. ტბილი სიტყვით ყველაფერს შეძლებ, დროზე გაუნაწილე მათ პიონერული დავალებები, შესრულებამდე მიეხმარე თითოეულს. მე მუდამ ასე ვაკეთებ და პიონერულ მუშაობასაც კარგად ვართმევ თავს.

მსამ ნორაკიძე,  
წყალტუბო. მე-2 სკოლა.

### ბირჩხვ

რჩევებს ჩემი პიონერული ცხოვრების მაგალითებით მოგვცე. ჩვენი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე შეკრების ჩასატარებლად ისეთ დროს ირჩევდა ხოლმე, როცა ყველა მუსიკით თუ სპორტით ვიყავით დაკავებული. ამის თაობაზე მასთან დიდი კამათიც მოგვივიდა. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ შემოგვხედა და გვითხრა, „დიან, მე როცა მანყობს, მაშინ ჩავატარებ რაზმის შეკრებას“. მისმა სიტყვებმა გული გვატრიალა; ამიტომაც არც ერთი არ დავრჩით შეკრებაზე კედლის გაზეთზე ლაპარაკი

ზედმეტი იყო. ერთხელ ლაზარაზად გაფორმებული გაზეთი „ცისარტყელა“ ბიჭებმა სულ ნაკუნებად გვიქციეს. მთელი დღის შრომა წყალში ჩაგვეყარა. საბჭოს თავმჯდომარე კი შორიანლო იღდა და ილიმბოდა. საანგარიშო შეკრებაზე იგი გადავირჩიეთ.

თანარაზმელები პატივს რომ არ გცემენ, იქნებ შენი ხასიათის მიზეზია? მონდომებს და მეგობრების მხარდაჭერას ბევრის მოტანა შეუძლია, ჩვენ ხომ დამოუკიდებლად უნდა ვიმუშაოთ; სხვისი შემყურე პიონერულ დავალებას თავს ვერასოდეს გაართმევს.

ირმა ინაშვილი,  
ბორჯომის 1-ლი სკოლა.  
უმაჯობისა  
ბადაბირჩხვი

იქნებ არ სურთ შენ იყო მათი მეთაური? იცი, ჩვენთან როგორ მოხდა? რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ავირჩიეთ, მაგრამ მალე ისევ გადავირჩიეთ, მუშაობა არ მოინდომა. ახლა სხვა ავირჩიეთ, მუშაობა ჯერ-ჯერობით კარგად მიდის. თუ ატყობ, რომ საქმეს მარტო თავს ვერ ართმევ, სთხოვე ბავშვებს, პიონერულმძღვანელს, კლასის ხელმძღვანელს, რაზმის ხელმძღვანელს და უარი თქვი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობაზე. შენს გასაჭირში იქნებ პიონერულმძღვანელი ტყუის? მაგრამ მე მაინც თა-

ნარაზმელებს ვამტყუნებ, არ ვარგა ამხანაგის ასე გარიყვა.  
ნინო ოსაქა,  
გურჯაანი. სოფ. შაშიანის სკოლა.

### სტოგვი ამხანაგებს, მოგისმინონ

მთავარი ის კი არ არის, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე გერქვას. მთავარია, როგორ ვართმევ თავს დავალებას, როგორ იმუშავებ, როგორ ავტორიტეტს დაიმსახურებ. მოდი, ერთხელ კიდევ სთხოვე ამხანაგებს, მოვისმინონ, დავგვხარონ; შენც იფიქრე, როგორ მოავგარო შენი საქმე. თუ არა და რაზმეულის საბჭოს მიმართ, გაარჩიოს შენი და შენი თანარაზმელების დამოკიდებულება. ასეთი რამ ხომ შეუფერებელია პიონერისათვის?

სათუნა ნაპირელი,  
თელავი.

### ყველა ლელასთანა უნდა იყოს

ჩვენი რაზმეულის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლელა დოლიძე (ახლა ის სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანია) ძალიან კარგად მუშაობდა და ახლაც კარგად მუშაობს, მისგან წყენინება არავის ახსოვს. ამიტომაც ყველა ღონისძიება ორგანიზებულად ტარდებოდა. თუ არ გიჯერებენ, შენივე ბრალია; ლელას, მაგა-

ლითად, ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამოხატვა. ლელა დოლიძეს და პატარებთან, შეეძლო გაეზიარებინა სხვისი სისხარული თუ მწუნარება. ჩემის აზრით, პიონერული აქტივისტი ლელა დოლიძესთან უნდა იყოს. ასეთს არ გაუჭირდება. ახლა იმაზე ვოცნებობ, მალე გავხდეთ კომკავშირული, კომკავშირის კომიტეტის მდივანს გვერდში ამოვუდგევ, მასთან მუშაობა ხომ ასე სახალისოა.

თამარ გალაშვილი,  
ახალციხე, 1-ლი სკოლა.

ქალაქ ფოთის პიონერულ აქტივისტებს ვურჩევ — ბართები „ვარსკვლავეთიდან“ ყველა სკოლის რაზმეულის საბჭოს შეკრებაზე განიხილონ. წერილში დასმული პრობლემების ირგვლივ პიონერთა საქალაქო შტაბის სსდომავზე იკამათონ. თუ სურვილი ექნებათ, ყურნალ „პიონერის“ კვლავი „კოცონიც“ მიიღებს მონაწილეობას მათ პოლეშიკაში.

ბირჩხვით, თუ შენიშნეთ, რომ პიონერულ აქტივში თქვენივე ამორჩეულ პიონერს უძნელდება პიონერული დავალების შესრულება, — დაეხმარეთ!

ბახსოვდათ, რაკი რაზმისა თუ რაზმეულის მეთაურად ავირჩიეს, გენდნეს; ეხადეთ გამართლოთ ეს ნდობა.



## კვთიანთუნი ტელეფონი ღელას და ხვალ

ბევრი თქვენთაგანი ხშირად სარგებლობს ტელეფონით: ესაუბრება მეგობარს, ნათესავს, შეიძლება სხვა ქალაქშიაც რეკავს ავტომატურად (კოდის მეშვეობით). ეს ახლა ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ვიდრე აქამდე მოვიდოდა, ტელეფონმა განვითარების გრძელი გზა გაიარა.

ზუსტად 50 წლის წინათ, 1934 წლის აგვისტოში, თბილისში ხმა დაირბა, მალე პირველი ავტომატური ტელეფონის სადგური ამუშავდებოდა. იმ დროს ქალაქში მხოლოდ 3200 ტელეფონი მუშაობდა, ახალი სადგური კი 10 000 აპარატის დადგმის საშუალებას იძლეოდა. მა-

გრამ მარტო ამან როდი დააინტერესა თბილისელები. საქმე ისაა, რომ მაშინდელ ტელეფონებს არ ჰქონდათ ნომრის ამკრეფი დისკოები, ერთ აპარატს მეორესთან ტელეფონისტი ქალები აერთებდნენ: „მომეცით 22-34“, „შემაერთეთ 35-24-თან“, „ქალბატონო, 50-21 ნომერთან დამაკავშირეთ“, — წამდაუწუმ გაისმოდა სადგურში. ახალ ავტომატურ ტელეფონის სადგურს კი ტელეფონისტები სულაც არ სჭირდებოდა, მასთან დაკავშირებულ აპარატებს ნომერამკრეფები ჰქონდათ. სწორედ ისეთი, დღეს რომ აქვს ყველა აპარატს.

1934 წლის 17 აგვისტოს ამუშავდა საქართველოში პირველი თბი-

ლისის ავტომატური ტელეფონის სადგური. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქალაქის ცხოვრებაში.

მას შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა. დღეს თბილისში 150 ათასზე მეტი ტელეფონი და 19 ავტომატური ტელეფონის სადგურია. მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, თვით ტელეფონის მუშაობის პრინციპი და მისი „შრომისუნარიანობა“ უცვლელი დარჩა. თქვენ შეგიძლიათ აიღოთ ყურმილი, მერე აკრიფოთ ნომერი, დაუკავშირდეთ აბონენტს და ისაუბროთ. ეს არის და ეს.

— კი მაგრამ, — შეიძლება იკითხოთ თქვენ, — განა ტელეფონის აპარატს სხვა რამ კიდევ მოეთხოვება? კიდევ შეუძლია რამე? თურმე ნუ იტყვით, შეუძლია.

1986 წლის დასაწყისში თბილისში ამუშავდება ეგრეთ წოდებული ელექტრონული სისტემის ავტომატური ტელეფონის სადგური.

მისი მოქმედების პრინციპი დაამუშავეს შვედმა ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა, რომლებიც სტოკჰოლმის ცნობილ ერიკსონის სახელობის ქარხანაში მუშაობენ (ლარს ერიკსონი გამოჩენილი შვედი გამომგონებელი და სატელეფონო ტექნიკის უდიდესი სპეციალისტი იყო).

ელექტრონული ტელეფონების სადგურების ამუშავება მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებაში, შეიქმნება არა მარტო ახალი ტელეფონების დადგმის, არამედ თვით ტელეფონების მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამიტომ იყო, რომ 1984 წლის 14 იანვარს თავის სიტყვაში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXIX პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ საგანგებოდ აღნიშნა: „ახლა ჩვენ ვყიდულობთ ახალ, ავტომატიზებულ, სავსებით თამამედროვე მოწყობილობას 60 ათასი ნომრისათვის“. დიახ, ეს ამბავი მართლაც იმსახურებს სპეციალურ აღნიშვნას.

ახლა კი ელექტრონული ტელეფონის სადგურების ზოგიერთ არა-

ჩვეულებრივ თვისებაზე ვიამბობთ.

დავუშვათ, რომ მთელი ოჯახი სტუმრად წახვედით ნათესავთან. ამ დროს რომ რომელიმე ნაცნობმა სახლში დაგირეკოთ, იგი პასუხს, ბუნებრივია, ვერ მიიღებს. მაგრამ შეგიძლიათ სპეციალური ნომრის აკრეფის შემდეგ სადგურს გადასცეთ თქვენი ნათესავის ტელეფონის ნომერი. ამ ნომერს „დაიმახსოვრებს“ სადგურის მოწყობილობა და თუკი ვინმე შინ დაგირეკავთ, ავტომატურად შეაერთებს მას ნათესავის ბინაში დადგმულ ტელეფონთან. ისე გამოდის, თითქოს თქვენი ტელეფონი დროებით ნათესავის ბინაში გადაეტანათ. ხომ საინტერესოა?

ახლა სხვა მაგალითი. თქვენ ტელეფონით ესაუბრებით თამაზს.

— მოდი, დღეს საღამოს კინოში წავიდეთ, — წინადადებას გაძღვეთ მეგობარი.

— კარგი, — ეთანხმებით და თავაზობთ: — იქნებ გვიც წამოსულიყო? აბა, დავურეკო...

თქვენ ისე კრეფთ გვიცის ნომერს, რომ ყურმილს აპარატის უნაგირაზე არ დებთ. ხაზში ჩაირთვება გვიცის ტელეფონი ისე, რომ თქვენ, თამაზი და გვიცი, სამივენი ერთად იწყებთ ერთმანეთთან საუბარს.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთი კავშირი ძალზე ხელსაყრელია დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის. მართლაც, მათ ხელმძღვანელებს შეეძლებათ პატარა თათბირი ტელეფონებით ჩაატარონ.

იქნებ მამათქვენი ხშირად უკავშირდება ტელეფონით თავის ძმას — თქვენს ბიძას? ასეთ შემთხვე-

ვაში მამას შეუძლია ავტომატურ

ტელეფონის სადგურს „შეუკვეთოს“ თავისი ასეთი სურვილი: ნომრის აკრეფის გარეშე პირდაპირი კავშირი დამყარდეს ძმასთან. სადგურში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა ამ სურვილს დაიმახსოვრებს. ამის შემდეგ, როგორც კი ყურმილს აიღებთ, ნომრის აკრეფის გარეშე ბიძათქვენი ბინაში ტელეფონი დარეკავს.

კი მაგრამ, თუკი სხვასთან მიწოდებთ დარეკვას? სადგური ხომ მყისვე ბიძასთან დაგაკავშირებთ? არა, თუ სხვაგან რეკავთ, ყურმილის ალბისაანავე აკრეფთ ტელეფონის ნომერს. ამით სადგური „გაიგებს“ რომ სხვა ნომერთან გასურთ ილაპარაკოთ, და სწორედ მასთან დაგაკავშირებთ.

როგორც იცით, დღეს თბილისის ტელეფონების ნომრები ექვსნიშნანია. იმ მიზნით, რომ აბონენტი უფრო მარტივად და სწრაფად გამოიძახოთ, ელექტრონულ სადგურს წინასწარ ატყობინებთ, რომელ აბონენტთან გინდათ დაკავშირება ერთი ან ორი ციფრის აკრეფით. ამ ნომრებს სპეციალური მოწყობილობა იმახსოვრებს. და თუ თამაზთან დასაკავშირებლად დღეს საჭიროა 22-22-98-ის აკრეფა, ახალი სადგურის ამუშავების შემდეგ, ვთქვათ, მხოლოდ ციფრ „2“-ის აკრეფა იკმარებს.

გარდა ამ ახალი და უჩვეულო თვისებებისა, ელექტრონული ავტომატური ტელეფონის სადგურები თვით ტელეფონებს მიანიჭებენ მუშაობის დიდ სიზუსტეს. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი ამბავია.

უთუოდ შეამჩნევდით: დღეს



ტელეფონით საუბრის დროს ზოგჯერ სხვა ვინმე ჩაგერთვებოდა, ან იქ არ მოხვდებოდა, სადაც რეკავთ. ამაში ხშირად ტელეფონის სადგურის ხელსაწყოებს მიუძღვით ბრალი. ხელსაწყოები უამრავ მექანიკურ მოძრაობას ასრულებენ, ამიტომ მათი ნაწილები თანდათან ცვდება და ზუსტად ვეღარ აკავშირებენ ტელეფონის ხაზებს ერთმანეთთან. სწორედ მექანიკური კონტაქტების უზუსტობაა იმის მიზეზი, რომ ზოგჯერ შეიძლება სხვის ლაბარაკში ჩაერთოთ, ან პირიქით. ახალ ელექტრონულ ავტომატურ ტელეფონის სადგურებს კი სრულებით არა აქვთ მოძრავი მექანიზმები და ყველა ავტომატური პროცესი აქ ელექტრონული ბლოკებისა და ელემენტების დახმარებით მიმდინარეობს. თუ რომელიმე ელექტრონული ბლოკი დაზიანდება, იგი სიგნალს გამოსცემს, დამეხმარეთო. ტექნიკოსს ისლა დარჩენია ახლით შეცვალოს.

როცა მეგობარს ესაუბრებით, განა კარგი არ იქნებოდა, დაგენახათ კიდევ პატარა ეკრანზე მისი სახე?

ტექნიკური მიზეზების გამო ვიდეოტელეფონების ფართოდ გამოყენება დღემდე ძალზე შეზღუდული იყო. ახლა, როცა მეცნიერებმა და ინჟინრებმა დაამზადეს ეგრეთ წოდებული ოპტიკური კაბელები, შეიქმნა რეალური ნიადაგი ვიდეოტელეფონების დასადგმელად, უპირველესად — წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მერე კი, ცხადია, ისინი ჩვენი ბინის „სტუმრებიც“ გახდებიან.


როდის მოხდება ეს?

ზუსტად ამაზე პასუხის გაცემა ახლა ძნელია, მაგრამ თქვენ აუცილებლად იქნებით ამის მოწმე 2000 წელს, ან უფრო ადრეც, ვთქვათ, 1995 წელს. საბჭოთა სპეციალისტებს ამ მხრით უკვე აქვთ გარკვეული მონახაზები.

ანდრე პარბელაუზვილი,

საქართველოს კავშირგაბმულობის ტექნიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი.

მხატვარი ლ. ზარაფიშვილი



ბაბრიელ ბარჯაძე,  
სპორტის ოსტატი.

მარტივი კონსტრუქციის ამ ჯუჯა მანქანებით თავდაპირველად პატარა ბიჭუნები დაინტერესდნენ, გამომგონებლებად კი ამერიკელი სამხედრო მფრინავები ითვლებიან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრენისაგან თავისუფალ დროს ისინი აეროდრომზე დააჯირითებდნენ თვითნაკეთ მინიავტომობილებს — კარტინგებს.

მაღე ამერიკაში ძალზე პოპულარული გახდა 9-15 წლის ბიჭების შეჯიბრება კარტინგში. თავდაპირველად მანქანას ხისგან ამზადებდნენ. 1951 წელს ქალაქ ფენიქსში ერთმა ბიჭუნამ მოისაზრა, სარეცხი მანქანის ძრავა ჩაედგა თავისი მანქანისათვის.

შეიქმნა პატარა მანქანების პირველი კლუბი. სპორტის ახალი სახეობის ენთუზიასტებმა განსაზღვრეს მანქანის ტექნიკური მოთხოვნილებანი: კარტინგის სიგრძე უნდა ყოფილიყო 1,5 მეტრი, საბურავების დიამეტრი — 30 სანტიმეტრი, წონა — არა უმეტეს 92 კილოგრამისა.

ევროპაში კარტინგი პირველად 1958 წელს გამოჩნდა, როცა ლონდონში ჩაიტანეს ხუთი კარტინგის მანქანა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ინგლისში უკვე ათასზე მეტი კარტინგის კლუბი იყო.

საბჭოთა კავშირში კარტინგი ორი წლით გვიან მოვიდა. 1960 წლის ბოლოს ჟურნალ „ზა რულიომ“-ის

ფურცლებზე გამოჩნდა იულია კლემანოვას კორესპონდენცია „კარტინგი — ავტოსპორტის ახალი სახეობა“. 1961 წლის დასაწყისში მოსკოვში ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა მოტორბოლა ყინულის მოედანზე. შეჯიბრების შემდეგ ყინულზე გამოიყვანეს ორი კარტინგი. ამ დღეს პირველად ნახეს აქ შეკრებილმა სპორტის გულშემატკივრებმა კარტინგების რბოლა.

1961 წლის მაისში ლატვიაში, ვენტსპილის ველოტრეკზე, ჩატარდა პირველი შეჯიბრება კარტინგში. 1962 წელს რიგაში გაიმართა პირველი ოფიციალური საკავშირო პირველობა, რომელშიც 80 მრბოლელი მონაწილეობდა.

დღეს კარტინგი ავტოსპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა. მოტოციკლისძრავიანი სპორტული მანქანა სრულებით უსაფრთხოა მრბოლელისათვის. დაშვებულია თვითნაკეთი კარტინგებით ასპარეზობაც. შეჯიბრებები ტარდება კარტოდრომებზე, საავტომობილო სპორტის წრიულ ტრასაზე, მოასფალტებულ მოედნებზე ან ქალაქის საგზაო მაგისტრალებზე.

მოზარდთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩემპიონატები გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ პრიზზე და შეჯიბრებები „პიონერის“ კლასში.

კარტინგი ვაჟაკობის შესანიშნავი სკოლაა. აქ აღზრდილი სპორტსმენები შემდგომში სპორტული მანქანების მრბოლელები, ავტომობა-



## მზობრივი ნუკრი

ირმის ნუკრი მარს-იენისში იბადება. მისი სხეული პირველ ხანებში დაფარულია უწესრიგოდ გაბნეული თეთრი ხალებით. ამ შეფერილობით იგი კარგად ეხამება ყვავილოვან გარემოს და მტრისათვის ძნელი შესამჩნევი ხდება. თავდაცვისა და გადარჩენის ეს საშუალება ბუნებამ თვითონ უწყალობა ამ კეთილშობილ ცხოველს.

ნუკრის აღზრდა ფუტურემსა აქვს მინდობილი. ხარირემი ამ საქმეში არ მონაწილეობს. ამ დროს ის ცალკე ცხოვრობს. ფუტურიემი პირველ ხანებში შვილს თან არ ატარებს. მალალ ბალახებში მალავს. თვითონ შორიახლოს ძოვს და დროდადრო ძუძუს მოსაწოვებლად თვითონ მიდის მასთან, ასე მიტოვებული ნუკრი ზოგჯერ უღედოდ, თავის ნებაზე დადის, ადგილს იცვლის და დედა მას ვეღარ პოულობს. ასეთ

დაიჭირა. ნუკრმა ადამიანის ხელის შეხება იუცხოვა, დაიბრუნდა და გაქცევა სცადა. მეხრემ მარულაქისა და გაუშვა. ამის შემდეგ ეს ნუკრი ხარებსა და მწყემსს აღარ მოსცილებია, მთელი დღე უკან დასდევდა. რამდენჯერმე მეხრემ მისი ტყეში გაგდებაც კი სცადა, მაგრამ ნუკრი ვეღარ მოიცილა. საღამოს ნუკრი ხარებს სოფელში ჩამოჰყვა. მეხრეს მეტი გზა არ ჰქონდა და ის ნაკრძალს ჩააბარა. ნუკრს ძროხის რძით კვებავდნენ. მალე გაიზარდა, ხალები გაუხუნდა, რქებიც ამოუვიდა. თამამი და მოურიდებელი გახდა, თან ერთი ავი ზნე დასჩემდა: ქალს სადაც დაინახავდა, ერჩოდა, მამაკაცს კი არაფერს უშეგებდა, თითქოს ერიდებოდა კიდევ. ბოლოს, მაინც ტყეში გააგდეს.

შემთხვევაში უბატრონოდ დარჩენილი ნუკრი ზოგჯერ შიმშილით იღუპება ან მტაცებლის მსხვერპლი ხდება, ხან კიდევ დაკარგული, დაბნეული ნუკრი მტერ-მოყვარეს ვერ არჩევს და სხვას მიეკედლება ხოლმე.

ერთხელ, ბორჯომის ნაკრძალში, მწყემსმა ხარებს შუა ჩაწოლილი ირმის პატარა ნუკრი დაინახა და

მსგავსი შემთხვევა მოხდა საგურამოს ნაკრძალშიც: ტყიდან გამოსული ირმის ნუკრი საძოვარზე სოფლის ნახირს შეერია. უცხო

ვალჭიდის, ბავის, წრიული რბოლისა და რალის ოსტატები ხდებიან.

60-იანი წლებიდან კარტინგმა ფეხი მოიკიდა საქართველოშიც. ოთარ ხარაძე, ილია აკოფოვი, ვლადიმერ ბერბერაშვილი, თამაზ ცხაკაია, რევაზ ზუკაკიშვილი, თემურ ხიდუშელი, ლევან ლლონტი — აი, ის სპორტსმენები და მწვრთნელები სპორტის ამ საინტერესო სახეობის პირველი „მერცხლები“ რომ იყვნენ. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა რანგის საკავშირო პირველობებში.


დღეს კი არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც კარგადაა ცნობილი თბილისელი ინჟინრის, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის განარჯვებულის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, მეკარტინგე რობერტ აკოფოვის სახელი.

ჩვენი ქვეყნის ბევრ დიდსა და პატარა ქალაქში, სოფელსა თუ დაბაში ამჟამად აუარებული სპორტულ-ტექნიკური კლუბები მოქმედებს, სადაც

ათასობით ყმაწვილი ეუფლება კარტინგს. ამ პატარა, მაგრამ ძალზე სწრაფი მანქანის მართვის ხელოვნებას. ჩვენი ქვეყნის ორი საავტომობილო ქარხანა სერიულად უშვებს კარტინგის მანქანებს. მრავლადაა სპეციალური სარბოლო სტადიონებიც, ე. წ. კარტოდრომები. სსრ კავშირში ყოველწლიურად ტარდება ორმოცამდე მაღალი რანგის შეჯიბრება, სამატჩო და ტრადიციული შეხვედრები. ჩვენი ქვეყნის ნაკრები წარმატებით გამოდის სოციალისტური ქვეყნების ტრადიციულ „დრუჟბას“ თასის გათამაშებაში.

მასობრივობით გამოირჩევა ჭაბუკთა კარტინგი. თითქმის ყველა პიონერთა სასახლეში თუ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში გახსნილია კარტინგის წრეები და სექციები. ჩვენს ქვეყანაში არის ბავშვთა საკავშირო კარტინგ-კლუბი.

მეკარტინგეთა რიგები თვალდათვალ იზრდება. ბიჭები უფრო და უფრო მეტი გატაცებით ეწერებიან კარტინგის წრეებში. ტექნიკური სპორტის ეს მიმზიდველი სახეობა სავსებით აკმაყოფილებს მოზარდთა დაუოკებელ სწრაფვას — გამოსცადონ თავიანთი ძალა, დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში.



ცხოველის დანახვაზე საქონელმა  
ბლავილი ატეხა. აქაოდა ნადირის  
სუნი უდისო, მიესიგნენ და რქებით  
სიკვდილის პირამდე მიიყვანს. ამ  
დროს საქონელს ერთი დიდცურიანი  
ძროხა გამოეყო, გალახულ ნუ-  
კრთან მიიბინა, გაშმაგებული გა-  
მოესარჩლა, საქონელი მიფანტ-მო-  
ფანტა, დასისხლიანებულ, ნაცემ და  
ნაგვემ ნუკრს მიუალერსა, ჭრილო-  
ბები აულოკა. ნუკრმა დედური  
სითბო იგრძნო და მაშინვე დედო-  
ბილს მიეკედლა. თურმე იმ ძრო-  
ხას ახლად მოგებული ხბო ჰყოლო-  
და და მშობლიური ინსტინქტი ამო-  
ძრავებდა. ნუკრს ძუძუ მოაწოვა  
და არც შემდეგ მოუკლია შვილო-  
ბილისათვის ზრუნვა და სითბო.  
ობოლი ირმის ნუკრი თავის ხბო-  
სთან ერთად გამოზარდა. ის ირმის  
ნუკრი ლამაზი ხარირემი დადგა და  
ახლა ჩვენი კომკავშირული ქალაქის  
— ბორის ძნელაძის პარკს ამშვე-  
ნებს.

ალ. არაბული

# უსხოური რუმორი

## სივრთხილა

შოტლანდიელი და მისი ვაჟიშვილი თე-  
ატრში ჭანდარაზე იხსდნენ. ანტრაქტის დროს  
ვაჟიშვილი მოაჩირს დაეყრდნო და მაყურებ-  
ლებს თვალღებება დაუწყო.  
— ფრთხილად, შვილო, — უთხრა მამამ,  
— არ გადავარდე, გახსოვდეს, რომ პარტე-  
რში ბილეთი ამ ადგილზე ორჯერ უფრო  
ძვირია.

## გაკვეთილება

მასწავლებელი: გაიმეორე, რა ვთქვი!  
მოსწავლე: ახლა არ გვარიგებდით, სხვის  
ნათქვამს თუთყუშვით ნუ იმეორებთო.

## თავის დაჯიშვა

გამოსაშვებ სადამოშე კურსდამთავრებუ-  
ლმა უმაწვილმა გერმანული ენის მასწავლე-  
ბელს მადლობა გადაუხადა და დასძინა:  
— თუ რამეში გამოგადგებით, გთხოვთ  
მიმსახუროთ.  
— ჩემი თხოვნაა, — უთხრა მასწავლებე-  
ლმა, — არავის არ უთხრათ, რომ გერმანულ  
ენას ჩემთან სწავლობდით.

## გაუბებრობა

ალშფოთებულმა მამამ მალაზიაში დარეკა:  
— თქვენთან ჩემი შვილი გამოგვჯანვე  
ორი კილოგრამი ქლიავის საყიდლად; შინ  
კი ერთი კილოგრამი მოიტანა, ალბათ თქვე-  
ნი სასწორი მოშლილია!  
— ჩვენი სასწორი სრულ წესრიგშია!  
სჯობს თქვენი შვილი აწონოთ.

## უნდობლობა

სტუდენტმა ოთახი იქირავა და შთაბეჭდი-  
ლება რომ მოეხდინა, სახლის პატრონს უთ-  
ხრა:  
— ძველი ბინიდან რომ წამოვედი, სახლის  
პატრონი ატირდა.  
— ჩემთან ეგ გამორიცხულია! მე ქირას  
წინასწარ გადაგახდევინებთ.

## საკვირვებლობა

— დღეს მასწავლებელმა მთხოვა მეპოვნა  
საერთო უმცირესი ჭერადი.  
— ყოვლად შეუძლებელია! — გაუკვირდა  
მამას, — ნუთუ აქამდე ჭერ კიდევ არ უშო-  
ვიათ. მაგას ჭერ კიდევ ჩემი სკოლაში სწავ-  
ლის დროს ეძებდნენ.  
გერმანულიდან თარგმნა  
შ. შოთაძემ



როცა ქარიშხალი  
სასარბებლმა

ინდოეთის ნავსადგურ ბჰა-  
ნაგარზე გადავილიმა ქარიშხა-  
ლმა ნაგებობებს ზარალი კი  
არა, საგებლობა მოუტანა.  
სულ რამდენიმე წამში ქარიშ-  
ხალმა ჰაერში რამდენიმე ათასი  
ტონა სილა და ქვა აიტაცა და  
ოკეანეში გადაყარა. ამის შე-  
დეგად ნავსადგურის აკვატო-  
რია რამდენიმე ასეული მეტ-  
რით გაფართოვდა და სამი  
მეტრით გაღრმავდა. სპეცია-  
ლისტებმა გამოითვალეს, რომ  
ასეთი სამუშაოების ჩასატარე-  
ბლად 2 წელი მაინც დასჭირ-  
დებოდათ.

## სკოლა ნიუზაუნდლენდე- ბისათვის

საფრანგეთში, ქალაქ გრა-  
მატში გახსნილია სკოლა ნიუ-  
ზაუნდლენდის ჯიშის ძაღლები-  
სათვის. აქ მათ წყალწაღებუ-  
ლთა გადარჩენას ასწავლიან.  
სქელი ბეწვი საშუალებას აძ-  
ლევს ძაღლებს, დიდხანს იყუ-  
ნენ წყალში და შორ მანძილზე  
გაცურონ. მათ ზურგზე პლას-  
ტმანის სახელურს უმაგრებენ,  
რომლის საშუალებითაც ადა-  
მიანს შეუძლია მოხერხებუ-  
ლად ჩაეჭიდოს თავის ოთხფე-  
ლა მშველელს: თუ ადამიანი  
გონებდაკარგულია ან სერიო-  
ზულადაა დაშავებული, ძაღ-  
ლი მას „ხელმკლავს“ უკეთებს  
და ისე გადაჰყავს ნაპირამდე.

## ფრთხილანი პარისკაცი

ამაოდ გაისარჯა სან-დიეგოს  
(აშშ) ზოოპარკის ადმინისტრაცია —  
ვერაფრით ვერ მიაჩვია  
დამთვალეიერებლები, გაეხდათ  
ფეხსაცმელი მაიმუნთა სადგო-  
მში შეხვლისას. არ გაჭრა არც  
მრისხანე განცხადებებმა, არც

სოლიდურმა ფულადმა ჯარიმამ.  
ასიდან ერთი სტუმარი მაინც  
აუცოდებლად არღვევდა ხოლ-  
მე დადგენილ წესს. ასე გრძე-  
ლდებოდა მანამ, სანამ მეკარის  
თანამდებობა არ ჩააბარეს გაწ-  
ვრთნილ ყვავს, რომელსაც სა-  
ხელად ვიკილანტი (ქართულად  
— „უხიზელი“) ჰქვია. წესის  
დამრღვევს იგი უბოდიშოდ ექ-  
ცევა ხოლმე: ისე, რომ ჩნავი-  
ლისთვის დროსაც არ კარგავს,  
მნახველს მაშინვე უხსნის ფეხ-  
საცმლის თასმის კვანძს და იმა-  
საც რაღა დარჩენია, სურს თუ  
არა სურს, ფეხზე უნდა გაიხა-  
ლოს.



## პრიზი — ღორმუცელას

სპორტის ამა თუ იმ სახეო-  
ბაში შეჯიბრების ჩატარება  
ჩვეულებრივი ამბავია. ჩემპი-  
ონი ცხოველებს შორის? —  
კი, ესეც ხდება ხოლმე. მაგ-  
რამ რაც შეეხება მცენარეთა  
ჩემპიონატს... მაგრამ, თქვენ  
წარმოიდგინეთ, რომ ასეთი კუ-  
რიოზული შეჯიბრების ფაქტიც  
არსებობს: არცთუ ისე დიდი  
ხნის წინათ საფრანგეთის ქა-  
ლაქ კლერმონ-ფერანში ჩატარ-  
და ხორცისშეამულ მცენარეთა  
ევროპის პირველობა მწერების  
დაჭერაში. გაიმარჯვა ადგი-  
ლობრივმა მოქალაქე ემილ მე-  
რსიემ, რომელსაც პირველი  
პრიზი გადაეცა: მის გამოზრ-  
დილ დროზერას პირდაპირ სა-  
რეკორდო მადა აღმოაჩნდა —  
8 საათის განმავლობაში ამ  
მცენარემ 52 კოლო დაიჭირა.

## კეკლების „სახლი“

საუთმემპტონის (ინგლისი)  
მასლობლად აგებულია შუშის  
სახლი, სადაც თავისუფლად  
დაფარფატებს 50 სახის 1000-  
მდე ევროპული და ეგვოტიკუ-  
რი პეპელა.



მომცრო კანკიების, ქანჩებისა და მისთანათა შესანახავად ძალზე მოხერხებულია მინის ქილა, რომელსაც მისანახანი ხუფი აქვს. ორი ლურსმნით ან სვეალით ქილის ხუფი თაროს ქვემოლან მიაკარი და, სხვა სიეთესთან ერთად, ადგილის ეკონომიის პრობლემაც გადაწყდება.



ფურცლოვან მასალაში დიდი ხვრელის ამოჭრა სულ ადვილად შეიძლება: გირაჟში ჩაამაგრე ლურსმანი (იგი




ფრჩხილის ლაქის ცარიელ ფლაკონს, რომელიც პაწია ფუნჯითაა აღჭურვილი, ნუ გადააგდებ: აახვე იგი თქვენი ავტომანქანის შესაფერისი საღებავით და მანქანის მცირე განაკაწრების შესაღებად მუდამ ხელთ გექნება ფუნჯით და საღებავიც.



ღერძის მაგივრობას გასწევს) და ბურღის ნატეხი (ეს საჭრისი იქნება). დაატრიალე ფურცელი ღერძის გარშემო და ხვრელიც ამოიჭრება.



საძირკვლის აგებისას დონის თარაშულობა შეგიძლია შევეუღას და საქმაო სიგრძის გვერდების მქონე მართკუთხა სამკუთხედის დახმარებით შეამოწმო. ერთი ლარტყა-კათეტი შეფიცვრის კიდეზე დაამაგრე და შევეუღასთი გაასწორე, მეორეს გასწვრივ კი გრძელი ზონარი გაჭიე. აი, სწორედ ამ ზონარით შეგიძლია შეამოწმო საძირკვლის თარაშულობა.



რება, თუ მას მაგარი რეზინისაგან გამოჭრი და ზუმფარით ისე შემოჩარხავ, რომ კონუსის ფორმა მიიღოს. ამით, სხვათა შორის, ონკანის ზუზუნსაც აიცილებ.

# საპიონერო

თემურელთა მე-3 საკავშირო შეკრების მონაწილეთა მიმართ-  
3ა გარეკ. 2

ნ. ფაილოძე — მეგრულ თემურის ვარსკვლავი სამშობლოს ერთგულების ნიშნისა! (წერილი) 1

ა. ლორია — კვამლი მთაში (მოთხრობა. გაგრძელება) 4

ლ. ქიაჩელი — სიკოს ხვედრი ოქრო (ზღაპარი) 11

ქ. მიქაძე — ვერა, ვერ დავთმობ (ლექსი) 13

ა. ნავროზაშვილი — ოინი (მოთხრობა) 14

ა. მეგრელიშვილი — მშვიდობა; შემოდგომა; ჩარგალში; გელო, ბიჭო გელო; მიყვარს; (სიო (ლექსები) 15

ე. დიდიმამიშვილი — მარად ახლობელი პოეტი (მოგონება) 16

ა. გეგეჭკორი — ბუნების ფერების ესთეტიკა (წერილი. დასასრული) 18

რ. დ. ილიანი — შეგონებანი 19

აისი 20

ი. რანაძი — დახასიათება (მოთხრობა) 21

კოცონი 25

ა. კარბელაშვილი — ავტომატური ტელეფონი დღეს და ხვალ (წერილი) 27

გ. ბარჯაძე — კარტინგი (წერილი) 29

ა. არაბული — ობოლი ნუკრი (ნატურალისტის ჩანაწერი) 30

უცხოური იუმორი 31

ჯადოსნური სარკე 31

გამოგადგები 32

ცხრაკლიტული გარეკ. 3

დებულება ლიტერატურული კონკურსისა „პიონერიის ქვეყანა“ გარეკ. 4

## გარეკის 1-ლ გვერდზე ი. ნაწმუნაძის ნახატი.

### მთავარი რედაქტორი ბაბუღიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ნუზარ აფსაზაშვილი, ზურაბ გომეზაძე, აბთაწილი გურგენიძე, დოდო ვალაგორია, გაიოზ ფოცხი-შვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ძლიზაძე, რომარტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინაძე (პ/მგ. მდივანი), ლინანა შაფირული, ზურაბ ვაგრიკაშვილი, ზურაბ ვუგუშარიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი. ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 17. 08. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 10. 84 წ. ქალაქის ფორმატი 60 90<sup>1</sup>/<sub>3</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 5,85, შეკვ. № 1851 ტირაჟი 156.000 ეგზ, უე 15440.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 156.000 экз. Цена 20 коп.

პ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 7. პირადი მოხმარებისათვის საჭირო სხვადასხვა წვრილმანი ნივთი; 8. სოფელი ვანის რაიონში; 9. ჩარჩოებზე გადაკეცილი თეთრი

ან პროცენტების სახით; 19. ადამიანების ან ორგანიზაციების გაერთიანება, კავშირი; 21. სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენ

ლექი; 29. ესპანეთში დიდებულითა მემკვიდრეობითი წოდებულება; 30. სპეციალური გადახურული ადგილი, ნაგებობა ავტომობილების სადგომად; 31. ცემენტით გამაგრება ან დაფარვა.

შვეულად: 1. მარადმწვანე ფოთლოვანი ხე; 2. ძველ რომში მონათა აჯანყების ბელადი; 3. უზარმაზარი ქანდაკება; 4. ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 5. მაღალი მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 6. ყველაფრისადმი გულგრილობა, უხალისობა; 10. ევროპის სახელმწიფო; 11. ავადმყოფი (თავისი მკურნალი ექიმის მიმართ); 12. ხე-მცენარე, ნეკერჩხლის სახეობა; 18. თურქეთის ქალაქი სომხეთის საზღვრის ახლოს; 14. ორი ალგებრული გამოსახულების (წვერის) ჯამი ან სხვაობა; 15. ერთი ხელი თამაში ჭადრაკში; 18. საქართველოს მდინარე; 20. ხვიარა მცენარე; 22. საგანგებოდ მოწყობილი მოედანი თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად; 28. მანგანუმი ანუ?... 25. ოთხკუთხედი, რომლის მხოლოდ ორი გვერდი პარალელური; 26. მიწის ღრმად დამუშავება; 27. კანის ანთებითი დაავადება; 28. მტაცებელი ფრინველი.

შეადგინა ალ. გორგიშვილმა




შ ა რ ა ლ ა

ლურსმნის ამოსაძრობად რა ხელსაწყოც გჭირდება, ნაწილია პირველი, ბოლო ხმოვნით მცირდება, მეორე კი ბოჭკოა, გრძლად და წვრილად დართული,

წყვეილი ასო აიღე, სიტყვის შუა ჩართული. ნახნავს კიდევ რა ჰქვია, ისიც მითხარ ემაწვილო, ოღონდ ბგერა მეორე უნდა ჩამოაცილო. შეაერთე სამივე, დასრულდება შარადა, ყვავილებით გვეწვია, გულის გასახარადა.

შ. ამირანაშვილი



ქსოვილი ან სხვა ზედაპირი, რომელზედაც უჩვენებენ კინოფილმებს; 16. ციმბირის მდინარე; 17. ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შემოსავალს იძლევა მოგების

ნიმე სახელმწიფოსაგან იქმნება ერთი სახელმწიფო; 23. არქიტექტორული ან სკულპტურული ნაგებობა გამოჩენილი პიროვნების უკვდავსაყოფად; 24. სევდიანი ლირიკული

პესუნი 1984 წ. № 9-ში  
მოთავსებულ  
„სხრაპილიგულზე“

პ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 5. ეიზენშტეინი, 7. ლიონი; 8. ფერია; 11. ლენა; 13. ქარი; 14. იგავი; 15. „ლონდრე“; 17. ტატამი; 18. კანტილენა; 21. ევლახი; 22. აპურტი; 28. პეპია; 25. ელჩი; 26. ბაია; 27. აგარა; 29. მწერი; 31. მელიქიშვილი.

შვეულად: 1. ფირი; 2. ბერნისი; 3. მტეხი; 4. ანცი; 6. მეოკიშვილი; 7. ლანდი; 9. აქატი; 10. დრამატურგია; 12. მანდიკაბი; 16. ერაყი; 17. ტანკა; 19. კალია; 20 „ბემბი“; 28. პორტი; 24. არწივი; 28. გრეი; 30. რალი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

კომეტა, ზინაზველეაბი, მუხსუმირა, კაჰაპაპი, ბაჰაჰი.

შ ა რ ა დ ე ბ ი

იალალი, ჩონგური.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

საბერველს ვკეცავ ხელებით — ამოვასუნთქე დევები. ავთამაშე თითები — ავაიკიკიე ჩიტები.

შავჩოხა ბიჭი მოფრინდა — გულთეთრა ბოლოორთითა.

თუ გცალია, მომისმინე და საფიქრალს გაგიჩინე: მოვედი და მთა და ბარი ხელად მოვანალიჩე

ერთ უზარმაზარ დარბაზში შუქი არ აღწევს მზის, შიგ ლოლუა ურიცხვი, ყველას ცრემლები სდის, ზოგი ჭერს დაჰკიდებია, სხვა — იატაკზე ზის.

ფართოდ მკლავებგადაშლილი ზის, ისვენებს ნება-ნება. თვითონ კითხვა არ იცის და სხვას კითხვაში ეხმარება.

ნახშირის ნათესავი ვარ, მაგრამ თვისებით სხვა ვარ: ვარ ყველა ქვაზე მაგარი, თანაც ძვირფასი ქვა ვარ.

იქნებ მიცნო, ვინ ვარ, რა ვარ, (მეგობრებსაც გაენდე): მიწა — ტყეში, ლოლი — ხევში მწვანედ მოვახვერდე.

ტანწერწეტა ემაწვილს თავზე ქული ჰხურავს. ცალ ფეხზე დგას ბიჭი, ყინჩად, მამაკურად. მაგრამ ჩაჰკრეს თავში, დღე დაუდგა ცული: ტანი სადღაც გაქრა, გარეთ დარჩა ქული.

თქვენც გინახავთ უსათუოდ, პირველს როდი მიპოვნია: მოლივლივე სითხეა და, ამავე დროს, ლითონია.

არასოდეს არ მინახვს ჯაღქარი ამისთანა: საგანს არც კი შეხებია, ახლოს ისე მომიტანა.

ნ. მარინია

7-34/23



გაზეთი „კომუნისტური კონსტრუქციის“

# ღებულება

## ლიტერატურული კონკურსის „კომუნისტური კონსტრუქციის“

გაზეთი „კომუნისტური კონსტრუქციის“ რედაქცია ატარებს ლიტერატურულ კონკურსს „კომუნისტური კონსტრუქციის“, რომლის მიზანია, მხატვრული ლიტერატურის საშუალებებით გააღვივოს პიონერული ორგანიზაციის, ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის საქმიანობის პროპაგანდა. საკონკურსო მოთხრობებში უნდა ჩანდეს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მრავალფეროვანი ცხოვრება, ახლანდელ პიონერთა მებრძოლი, მიზანსწრაფული ხასიათი, წარმოებასთან სკოლის მჭიდრო კავშირი, შრომითი აღზრდის როლი ახალგაზრდა თაობის ჰეროიკულ-პატრიოტულ, წინეობრივ აღზრდაში, ასახოს ის პრობლემები, რომელთაც განაპირობებს ახალი სასკოლო რეფორმის წარმოშობა, აგრეთვე—ცხოვრებაში მისი განხორციელების გზები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. იმ მიზნით, რომ გააქტიურდეს ახალგაზრდა ლიტერატორთა მონაწილეობა მოზარდი თაობის აღზრდაში, ნორჩ მკითხველთათვის განკუთვნილი ნაწარმოებების შექმნაში, დაწესებულია სამი სპეციალური პრემია. ისინი მიენიჭებათ 35 წლამდე ასაკის ავტორებს ყველაზე ნიჭიერი პროზაული ნაწარმოებებისათვის. კონკურსზე მიიღება მანქანაზე გადაბეჭდილი 7 გვერდამდე მოცულობის ხელნაწერები. საკონკურსო თხზულება მოთხრობის ჟანრში უნდა იყოს გადაწყვეტილი. კონკურსზე „კომუნისტური კონსტრუქციის“ გაგზავნილ ხელნაწერს რეცენზია არ უკეთდება და ავტორს არ უბრუნდება.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

- ორი პირველი—300 მანეთი თითოეულს;
- ორი მეორე—200 მანეთი თითოეულს;
- ორი მესამე—100 მანეთი თითოეულს;
- რვა წამახალისებელი პრემია—თითოეული 50 მანეთის ოდენობით.

ყველა პრემირებული და დასაბეჭდად მოწოდებული მოთხრობის ავტორი სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდება.

კონკურსი ტარდება 1984 წლის 1-ლი სექტემბრიდან 1985 წლის 1-ლ სექტემბრამდე. შედეგები გამოქვეყნდება 1985 წლის ოქტომბერში.



საქართველოს სსრ

საქართველოს სსრ



გაზეთი „კომუნისტური კონსტრუქციის“



КОНТРОЛЬНЫЕ  
ВЫЗЕМНОСТИ